საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური
განათლების სამინისტროს საზოგადოებრივ მეცნიერებათა
სწავლებისა და სტუდენტი ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური
აღზრდის სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტი

ა. ჩხარტიშვილი

# ეთნიკური ჯგუფის არსებისა
# და
# მის ძირითადი ასპექტების შესახებ
# ბურჟუაზიული სოციოლოგიის კრიტიკა

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი 1982

371.013
74.200.55
371.3:7.01(103)
ჩ 967

წინამდებარე ნაშრომი პასუხს იძლევა ისეთ კითხვებზე, როგორიცაა ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის მნიშვნელობა, რა არის ესთეტიკური აღზრდა, როგორია მისი ადგილი კომუნისტური აღზრდის სისტემაში, რაში გამოიხატება ესთეტიკური აღზრდის ძირითადი ამოცანები განვითარებული სოციალიზმის პირობებში.

წიგნი, პირველ რიგში, განკუთვნილია ესთეტიკური აღზრდის თეორიითა და პრაქტიკული ორგანიზაციის საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის; ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ლაბორატორიების თანამშრომლებისათვის, აგრეთვე სტუდენტებისათვის, რომლებიც ესთეტიკური აღზრდის საფუძვლებს სწავლობენ.

რედ. დოც. ზ.დიბორჯანიძე

რეცენზენტები პროფ. შ.რევიშვილი
დოც. ნ.ზოდელავა

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1982.

Ч $\frac{10507}{М\ 608(06)-82}$

## თავი პირველი: ესთეტიკური აღზრდის ცნება

### § 1. საკითხის ისტორიისათვის

1. ესთეტიკური აღზრდის საერთო და, კერძოდ ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ამოცანები ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე დღეებში დაისვა. ამავე პერიოდს მიეკუთვნება თ ე ო რ ი უ ლ ი პრობლემების დასმაც. სხვანაირად შეუძლებელიც იყო, რადგან პრაქტიკისათვის გზა სწორედ თეორიას უნდა გაეშუქებინა. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ესთეტიკური აღზრდის ორგანიზატორ-პრაქტიკოსებს ხომ უნდა სცოდნოდათ რ ა ა რ ი ს ს ა ე რ თ ო ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი ა ღ ზ რ დ ა, რ ა ძ ი რ ი თ ა დ ი ფ ო რ მ ე ბ ი ს ა დ ა ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს მიემართათ მისი განხორციელებისას. მართალია, ესთეტიკური აღზრდის თეორია სათავეს ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში იღებს და საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე ჩვენს განკარგულებაში ესთეტიკური აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის უმდიდრესი მსოფლიო-ისტორიული გამოცდილება იყო[1], მაგრამ, ჯერ ერთი: ეპოქა, რომელსაც დასაბამი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მისცა, ესთეტიკური აღზრდის პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ ა ხ ა ლ, წინანდელი ეპოქებისათვის ს რ უ ლ ი ა დ უ ც ნ ო ბ ს ა და მ ი უ წ ვ დ ო მ ე ლ ამოცანებს აყენებდა. შრომის განთავისუფლება და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობა ქმნიდა რეალურ პირობებს ხალხის შემოქმედებითი ძალის მრავალსაუკუნოვანი ტყვეობიდან გამოხსნისა და საზოგადოების სულიერი ცხოვრების უღრმესი ფენების დემოკრატიზაციისათვის. თუ კლასობრივი საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე ესთეტიკური აღზრდის მთავარ ობიექტს ე.წ. ელიტა ანუ საზო-

1 დაწვრილებით ამ გამოცდილების შესახებ იხ. გ.ჯიბლაძე, ესთეტიკური აღზრდის პრინციპი, I, თბ., 1967.

გადოების პრივილეგირებული ფენა წარმოადგენდა, ხოლო მისი ყურადღების ცენტრში ხალხი (მასა) ექცეოდა. მეორე: მარქსამდელ ესთეტიკურ თეორიებს არ შეეძლოთ ესთეტიკური აღზრდის არსების მეცნიერული გაგება მიეცათ, ხოლო წინასოციალიზმამდელი საზოგადოებრივი ფორმაციები ესთეტიკური აღზრდის შესახებ არსებული იდეების ნაწილობრივი რეალიზაციის შესაძლებლობასაც არ იძლეოდნენ.

ჩვენი ქვეყნის კულტურული მშენებლობის პირველ ნაბიჯებს ბურჟუაზია საშინელი ირონიით შეხვდა. ერთი შეხედვით, თითქოს მდგომარეობა მართლაც პარადოქსული იყო: კაპიტალიზმის ისტორიაში უ მ ა ღ ლ ე ს ი ესთეტიკური კულტურის - ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი კ უ ლ ტ უ რ ი ს შექმნა, კულტურის ყ ვ ე ლ ა ზ ე დ ა ბ ა ლ ი დონის მქონე სოციალურ ფენას - მ შ რ ო მ ე ლ თ ა მ ა ს ა ს ეკისრებოდა. მაგრამ ეს ერთი შეხედვით ყველაზე უკულტურო სოციალური ფენა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი პ ო ტ ე ნ ც ი ი ს მ თ ა ვ ა რ ი მ ა ტ ა რ ე ბ ე ლ ი იყო. მიუხედავად იმისა, რომ კლასობრივი საზოგადოება განუწყვეტლივ ახშობდა მასების ესთეტიკურ პოტენციას, კაპიტალიზმის კულტურულ ფასეულობათა ძ ი რ ი თ ა დ შ ე მ ო ქ მ ე დ ა დ მაინც მ ა ს ა (ხ ა ლ ხ ი) გვევლინება[1].

2. ესთეტიკური აღზრდის არსების გარკვევის ერთ-ერთ პირველ ცდას ვხვდებით განსახკომის დოკუმენტში "ერთიანი შრომითი სკოლის ძირითადი პრინციპები", რომელიც ჯერ კიდევ 1918 წელს შეიქმნა ლუნაჩარსკისა და კრუპსკაიას უშუალო მონაწილეობით. ამ დოკუმენტში, სახელდობრ, ნათქვამია: "ესთეტიკურ განათლებაში უნდა ვიგულისხმოთ არა რაღაც გაუბრალოებული სწავლება სახვითი ხელოვნებისა, არამედ გრძნობის ორგანოებისა და შემოქმედებითი უნარების

-----------

1 დაწვრილებით ამის შესახებ იხ. დ. ჩხიკვიშვილი, ხალხი და კულტურა, თბ., 1977; ა. ჩხარტიშვილი, ხალხი და ხელოვნება, თბ., 1977.

ს ი ს ტ ე მ უ რ ი განვითარება, რაც აფართოებს სილამაზით ტკბობისა და მისი შექმნის შესაძლებლობას"[1]. თითქმის იმავდროულად გამოსცა განსახკომმა მეორე დოკუმენტი "ესთეტიკური აღზრდა ერთიან შრომით სკოლაში", რომელშიც ესთეტიკური აღზრდის ძირითად მიზნად გამოცხადებული იყო შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ნ ე ბ ი ს ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ე ბ ა მოზარდ თაობაში[2].

ამრიგად, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გაღრმავებისდა კვალობაზე, იზრდება ინტერესი ესთეტიკური აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებისადმი. 20-30-იანი წლების ესთეტიკურ-პედაგოგიურ ლიტერატურაში ესთეტიკური აღზრდა წარმოდგენილი იყო როგორც: სილამაზის არა. მარტ. დანახვის, არამედ შექმნის უნარის აღზრდა, შეურიგებელი დამოკიდებულების გამომუშავება ცხოვრებისეულ სიმახინჯის ყოველგვარი გამოვლენისადმი (ლუნაჩარსკი), ჩამოყალიბება ყოველმხრივ განვითარებული ადამიანებისა, რომელთაც შეეძლებათ აშენონ გონიერი, ლ ა მ ა ზ ი და მხიარული საზოგადოებრივი ცხოვრება (კრუპსკაია); ხელოვნების მეშვეობით ადამიანის უნივერსალური თვისებების აღზრდა, პიროვნების ხელოვნებასთან, მრავალმხრივ შემოქმედებით მოღვაწეობასთან თანაზიარობა, მასში ცხოვრებისეულ მშვენიერისადმი სიყვარულის გაღვიძება (შაცკი), ადამიანის შემოქმედებითი უნარების განვითარება (ბლონსკი). სილამაზის მეშვეობით საკუთრივ სილამაზის აღზრდა (მაკარენკო) და ა.შ.

სისტემურ-ესთეტიკურ ხასიათს ესთეტიკური აღზრდის პრობლემების კვლევა ჩვენში მაინც უკანასკნელ ორი-ორნახევარი ათეული წლის მანძილზე იღებს. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა მნიშვნელოვანი მონოგრაფიული გამოკვლევები თუ თემატური კრებულები, რომლებიც სპეციალურად ესთეტიკური აღზრდის არსების, მისი ფორმებისა და

---

1 Революция-искусство-дети, материалы и документы. М., I966, с.I02.

2 იხ. Основы эстетического воспитания. М., I975, с.224.

მეთოდების, ხერხებისა და საშუალებების საკითხებს ეძღვნებიან[1]. ზოგიერთი მათგანი ესთეტიკური აღზრდის თეორიის პრეტენზიით, ხოლო ზოგიერთი სახელმძღვანელოს (ან დამხმარე სახელმძღვანელოს) გრი-ფითაც გამოიცა[2]. ზედმეტი, ცხადია, არ იქნება თუ ამ გამოკვლევებ-ში, აგრეთვე ენციკლოპედია-ლექსიკონებსა და სხვ. განსაკუთრებით მნიშვნელოვან გამოკვლევებში მოცემულ ესთეტიკურ აღზრდის განსაზ-ღვრებებს, შერჩევით მაინც გავეცნობით.

ა) სახელმძღვანელოები და ზოგად-თეორიული ხასიათის ნაშრომები:

ესთეტიკური აღზრდა ფართო ცნებაა. იგი ით-ვალისწინებს უწინარეს ყოვლისა ადამიანის იმგვა-რად აღზრდას, რომ მან მიზანსწრა-ფულად აღიქვას და სწორად გაიგოს, შეიყვაროს და დაიცვას მშვენიე-რება მთელი თავისი მრავალფეროვა-ნი გამოვლინებებით, როგორც სინამ-დვილეში, ისე ხელოვნების ნაწარმოე-ბებში. გარდა ამისა, მან ადამიან-ში უნდა აღზარდოს მისწრაფება და

--------------------

1 ქართულ ესთეტიკურ-პედაგოგიურ ლიტერატურაში ამ მხრივ მნიშვნე-ლოვანი მოვლენაა აკად. გ.ჯიბლაძის ფუნდამენტური გამოკვლევა "ესთეტიკური აღზრდის პრინციპი" (I, თბ., 1968). წინამდებარე მონოგრაფია მთლიანად ორიგინალურ გამოკვლევას ეფუძნება და არ-სებითად მასში დასმული ზოგად-თეორიული პრობლემების შემდგომი გაღრმავების ცდას წარმოადგენს.

2 იხ. Марксистско-ленинская эстетика, М., 1973: Основы эстетического воспитания, М., 1975; Эстетическое развитие и воспитание молодежи, М., 1978: Теория эстетического воспитания, под редакцией Н.А.Кумаева и З.И.Дейбсона, М., 1978: Теория эстетического воспитания, под ред.Н.И.Киященко и Н.Л.Лейзерова, М., 1979: Эстетическое воспитание, М., 1979: Эстетическое воспитание студентов, М., 1980.

უნარი იმისა, რომ თვითონვე შეიტანოს მშვენიერების ელემენტები ცხოვრებასა და შრომაში, იბრძოლოს სიმახინჯისა და უხამსობის წინააღმდეგ ცხოვრებასა და ხელოვნებაში". (კომუნისტური აღზრდის საფუძვლები, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1963, გვ. 386); "ესთეტიკური აღზრდის ქვეშ იგულისხმება, ჯერ ერთი: ადამიანებში ხელოვნების ნაწარმოების სწორად გაგებისა და მისგან ტკბობის მიღების უნარის განვითარება". "ესთეტიკური აღზრდის ქვეშ იგულისხმება ადამიანთა პირველადწყებითი პრაქტიკული მხატვრული ჩვევების, ხელოვნების სფეროში მათი შემოქმედებითი უნარის განვითარება". "ხელოვნების გაგებისა და შექმნის უნარის განვითარებასთან ერთად, ესთეტიკური აღზრდა გულისხმობს, აგრეთვე ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას" (Марксистско-ленинская эстетика, М., 1966, с.с.420, 422, 426); "ესთეტიკური აღზრდა - ეს არის სისტემატური, მეცნიერულ-მეთოდოლოგიური მიმართვა ადამიანური ემოციებისადმი, სილამაზის ისტორიულად განვითარებადი სულიერი გრძნობებისადმი. ასეთი აღზრდის პირდაპირი დანიშნულებაა - ყოველი ჭეშმარიტად მშვენიერისა და ამაღლებულის აღქმისა და განცდის უნარის აღზრდა" (Вопросы теории эстетического воспитания, М., 1970, с.21-22). "ესთეტიკური აღზრდა არის ადამიანში ესთეტიკური დამოკიდებულე-

ბის ჩამოყალიბება ყველაფრისადმი, რაც ესთეტიკურ ღირებულებას ფლობს, ე.ი. ესთეტიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბება ბუნებისადმი, სხვა ადამიანებისადმი, საკუთარი თავისადმი, ადამიანის სასიცოცხლო მოქმედების ყველა ფორმისადმი. ადამიანის მიერ შექმნილი "მეორე ბუნების" – ნივთების სამყაროსადმი, მისი ხელოვნებისადმი, როგორც ესთეტიკური ღირებულების თავისებური მატარებლისადმი" ( М.Каган, Лекции по марксистско-ленинской эстетике, М.,1971, с.222); "ადამიანის ესთეტიკური აღზრდა ნიშნავს მასში მთელი სამყაროსადმი და არა მარტო ხელოვნებისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და ეს დამოკიდებულება აირეკლება არა მარტო ხელოვნებით, არამედ ადამიანის მოღვაწეობის ყველა ფორმით". (ნ.ჯაში, ესთეტიკის ნარკვევი, თბ.,1973); "ესთეტიკურად აღზრდა ადამიანი ნიშნავს ვასწავლოთ მას ესთეტიკურ ღირებულებათა არა მარტო "მოხმარება", არამედ შექმნაც. ესთეტიკურ ღირებულებებში იგულისხმება ადამიანის მიერ შექმნილი საგნები, ბუნების მოვლენები, ხელოვნების ნაწარმოებები, რომლებიც ადამიანებში ღრმა ემოციებს იწვევენ, ახარებენ მათ თავისი სრულყოფილებით, აღაფრთოვანებენ თავისი სილამაზით". (Марксистско-ленинская эстетика,1973, с.438); "ესთეტიკური აღზრდა სოციალისტურ საზოგადოებაში უშუალოდ არის დაკავშირებული კომუნისტურ მშენებლობასთან და აყალიბებს მოზარდის ფიქრის ხასიათს. მისი ამოცანაა: აღზარდოს ყოველმხრივ და ჰარმონიულად განვი-

თარებული ადამიანი, რომელსაც უნა-
რი ექნება აქტიურად ჩაებას ცხოვ-
რებაში და საზოგადოებრივ-ესთეტი-
კური პოზიციიდან შემოქმედებითად
გარდაქმნას იგი (Основы эстетического воспита-
ния, М., 1975, с.239); "ესთეტიკური აღზრდა ეს არის მიზან-
დასახული სისტემა ადამიანის ქმე-
დითი ჩამოყალიბებისა, რომელსაც
შეეძლება კომუნისტური იდეალის
პოზიციიდან აღიქვას და შეაფასოს
მშვენიერი, სრულყოფილი ცხოვრება-
სა და ხელოვნებაში, შეეძლება
ცხოვრობდეს და ქმნიდეს "სილამა-
ზის კანონების მიხედვით". ესთეტი-
კური სრულყოფის კანონების მიხედ-
ვით" (Теория эстетического воспитания, М.,1979,с.14);
"ესთეტიკური აღზრდის არსი ისაა, რომ გამოვლინოს
და განავითაროს ცხოვრების მხა-
ტვრები, ახალი, კომუნისტური სამ-
ყაროს შემოქმედნი. ესთეტიკურად
აღზრდილი ეს ისეთი ადამიანია,
რომლის გრძნობები, აზრები და სა-
ქციელი მიესადაგება კომუნისტურ
შეხედულებებს სრულყოფაზე და სი-
ლამაზეზე". (Эстетическое воспитание,М.,1979,С.21);
"ესთეტიკური აღზრდა, როგორც კომუნისტური აღზრდის ძირითადი
შემადგენელი ნაწილი, მიზნად ისახავს გამოუმუშაოს მოზარდ თაო-
ბას ნათელი ესთეტიკური იდეალი, ისე-
თი ცოდნა-ჩვევებით აღჭურვოს ჩვე-
ნი ახალგაზრდები, რომ მათ შეეძ-
ლა

ლოთ მიზანსწრაფულად აღიქვან და სწორად გაიგონ, შეიყვარონ, დააფას მშვენიერება სინამდვილესა და ხელოვნებაში მთელი თავისი მრავალფეროვნებით, გაუღვიძოს, განუვითაროს მისწრაფება და უნარი იმისა, რომ თვითონვე შეიცანონ მშვენიერების ელემენტები ცხოვრებასა და შრომაში, ებრძოლონ ფორმალიზმს, სიმახინჯეს, ულამაზობას ცხოვრებასა და ხელოვნებაში და მაქსიმალურად განუვითარონ დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობის უნარი ხელოვნების იმ დარგში, რომლისთვისაც საჭირო ბუნებრივი მონაცემები აღმოჩნდებათ" (პედაგოგიკა, თბ., 1969, გვ. 409); "ესთეტიკური აღზრდა პიროვნების ყოველმხრივი განვითარების განუყოფელი ნაწილია. ესთეტიკური აღზრდა მოზარდ თაობაში აყალიბებს ესთეტიკურ გემოვნებასა და იდეალებს, ადამიანის სინამდვილისადმი და ხელო-ნებისადმი ესთეტიკურ დამოკიდებულებას" (პედაგოგიკის შესავალი, თბ., 1978, გვ. 126).

ბ) ენციკლოპედია-ლექსიკონები:

"ესთეტიკური აღზრდა - ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიმარ-ლია ადამიანის მიერ მშვენიერისა და ამაღლებულის აღქმის, სწორი გაგების, შეფასებისა და შექმნის უნრის გამომუშავებისა და სრულყოფისაკენ. მისი მიზანია - ხელი შეუწყოს სა-

ზოგადოების ყოველმხრივ გონებრივ, პოლიტიკურ, ზნეობრივ და ფიზიკურ განვითარებას, სრულყოს ადამიანში მშვენიერის გრძნობა, გამოწვიოს მასში სილამაზის კანონებით შემოქმედების სურვილი" (Краткий словарь по эстетике, М.,1963, с.451);"ესთეტიკური აღზრდა - ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიმართულია ადამიანში მშვენიერისა და ამაღლებულის აღქმის, სწორად გაგების, შეფასებისა და შექმნის უნარის მიზანსწრაფული გამომუშავებისა და სრულყოფისაკენ. მისი მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოების წევრთა ყოველმხრივ გონებრივ, პოლიტიკურ, ზნეობრივ და ფიზიკურ განვითარებას, მათში მშვენიერების გრძნობის სრულყოფას, შემოქმედების კანონების მიხედვით შემოქმედების სურვილის გაღვიძებას "(Педагогическая энциклопедия, т.4,М.,1968,с.799), "ესთეტიკური აღზრდა - ადამიანში სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბების მიზანმიმართული პროცესი... იგი დაკავშირებულია ადამიანის მიერ სინამდვილის მშვენიერის აღქმასთან და გაგებასთან, ამ მშვენიერებით ტკბობასთან და ესთეტიკურ შემოქმედებასთან"( Большая советская энциклопедия,т.30,3-е изд.,М.,1978, с.256); ვ) "ესთეტიკური აღზრდა, პიროვნების ესთეტიკური გემოვნებისა და იდეალების ჩამოყალიბების სისტემა, სინამდვილის ესთეტიკური აღქმისა და მხატვრული შემოქმედების უნარის გამომუშავება" (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.4, თბ., 1979, გვ. 215); გ) კრებულები და ცალკეული გამოკვლევები: "ესთე-

ტიკური აღზრდის ქვეშ საბჭოთა პედაგოგიკურ მეცნიერებას ესმის მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ბ ი ს ს წ ო რ ი გ ა გ ე ბ ი ს ა დ ა მ ი ს ი ს რ უ ლ ფ ა ს ო ვ ა ნ ი ა ღ ქ მ ი ს უ ნ ა რ ი ს ა ღ ზ რ დ ა... ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი ა ღ ზ რ დ ა - ე ს მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ს ა დ მ ი ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ა დ ა ი მ ი ს უ ნ ა რ ი ს ა ღ ზ რ დ ა, რ ო მ თ ვ ი - თ ო ნ შ ე ქ მ ნ ა ს მ შ ვ ე ნ ი ე რ ი." (В.Н.Шацкая, Эстетическое воспитание детей в семье, М.,1954, с.3) ; "საბჭოთა პედაგოგიკა ესთეტიკურ აღზრდას განსაზღვრავს, როგორც უ ნ ა რ ი ს ა ღ ზ რ დ ა ს მ ი ზ ა ნ დ ა ს ა ხ უ ლ ა დ ა ი თ ვ ი ს ო ს, შ ე ი გ რ ძ ნ ო ს დ ა ს წ ო რ ა დ გ ა ი გ ო ს ს ი ლ ა მ ა ზ ე გ ა რ ე მ ო მ ც ვ ე ლ ს ი - ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი, ბ უ ნ ე ბ ა შ ი, ს ა ზ ო გ ა დ ო ე - ბ რ ი ვ ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი, შ რ ო მ ა შ ი, ხ ე ლ ო - ვ ნ ე ბ ი ს მ ო ვ ლ ე ნ ე ბ შ ი" ( О б щ и е вопросы эстетического воспитания в школе". М.,1955, с.6) ; "ესთეტი- კური აღზრდა - ეს მოსწავლეებისთვის კ ა რ გ ი გ ე მ ო ვ - ნ ე ბ ი ს, ს წ ო რ ი ც ნ ე ბ ე ბ ი ს, შ ე ხ ე დ უ ლ ე - ბ ე ბ ი ს ა დ ა მ ს ჯ ე ლ ო ბ ე ბ ი ს ჩ ა ნ ე რ გ - ვ ა ა მ უ ს ი კ ი ს, მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ი ს, ლ ი ტ ე რ ა ტ უ - რ ი ს და ა.შ. სფეროებში" (Вопросы эстетического воспитания в школе, М., 1959, с. 30); "ესთეტიკური აღზრდა, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ი დ ე ა ლ ე ბ ი ს ა ღ ზ რ დ ა... ი გ ი მ ი მ ა რ თ უ - ლ ი უ ნ დ ა ი ყ ო ს ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი გ ე მ ო ვ - ნ ე ბ ი ს ა ღ ზ რ დ ი ს ა კ ე ნ... ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი ა ღ ზ რ დ ა ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ე ბ ი ს ს ი ს ტ ე მ ი ს ფ ო რ მ ი რ ე ბ ა ს გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს... დ ა ბ ო ლ ო ს, ი გ ი გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს ს ა კ უ თ რ ი ვ

მხატვრულ აღზრდას" (Л.Н.Столович, Эстетическое в действительности и в искусстве",М.,1959, с.216): "ესთეტიკური აღზრდა განისაზღვრება, როგორც მშვენიერის სწორი გაგების უნარის აღზრდა, როგორც ესთეტიკური გრძნობების, მსჯელობების და შეფასებების აღზრდა, როგორც მისწრაფების აღზრდა შეიტანო სილამაზის ელემენტები საკუთარ ცხოვრებაში, კოლექტივში და ქვეყანაში" ( Эстетическое воспитание в начальной школе, М., 1959, с.11); "ესთეტიკური აღზრდის ქვეშ გულისხმობენ და არც თუ უსაფუძვლოდ, იმას აღზრდას, რომელიც ხელოვნებით ხორციელდება. ხელოვნება იყო და რჩება ესთეტიკური აღზრდის ძირითად საშუალებად... ესთეტიკური აღზრდის ქვეშ ესმით აგრეთვე ხელოვნების აღქმის უნარისა და ხელოვნების ნაწარმოებების შექმნის უნარის აღზრდა "(Б.Кантор, Эстетическое воспитание и творчество . В кн.: Искусство и коммунистическое воспитание, М.,1960, с.65); "ესთეტიკური აღზრდის ქვეშ იგულისხმება მოსწავლე ახალგაზრდობის შეყვანა მშვენიერების სამყაროში და მისი უზრუნველყოფა სამყაროს შემეცნებისა ხელოვნების ნაწარმოებების საშუალებით... ესთეტიკური აღზრდა აუცილებელი და არსებითი ელემენტია ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდისათვის" ( Н.К.Гончаров, Вопросы педагогики, М.,1960,с.46)

"ესთეტიკური აღზრდა ეს ადამიანებში აღქმის, შემოქმედების, მშვენიერის, ამაღლებულისა და გმირულის განცდის, სწორი გაგებისა და შეფასების უნარის აღზრდაა". ( П.С.Трофимов, Эстетическое воспитание строителей коммунизма, М.,1962, с.4); "ესთეტიკური აღზრდის ძირითად ამოცანებში შედის სინამდვილისადმი ესთეტიკური გრძნობისა და ესთეტიკური დამოკიდებულების აღზრდა, ესთეტიკური მოთხოვნილებების განვითარება, ესთეტიკური იდეალის ფორმირება. ესთეტიკური აღზრდა მიმართულია სილამაზის გრძნობის და გარჩევის უნარის განვითარებისაკენ... უნარების ფორმირებაზე სწორად... შეაფასოს მშვენიერი და აგრეთვე შემოქმედებითად შეიტანოს ეს მშვენიერი ცხოვრებაში. ( Эстетическое воспитание в внекласоной работе в восьмилетней школе, М., 1963, с.4); ესთეტიკური აღზრდა გულისხმობს ხელოვნების საშუალებით ხალხში უნივერსალური ადამიანური უნარების განვითარებას ( В.Ванслов, Всестороннее развитие личности и виды искусства,М.,1963, с.27); ესთეტიკური აღზრდა - ადამიანში სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების ფორმირება და მისი აქტივიზაცია სილამაზის კანონების მიხედვით შემოქმედებით მოღვაწეობამდე "(А.Буров, Марксистско-ленинская эстетика как теоретическая основа эстетического воспитания, М., 1969, с.127);

"ესთეტიკური აღზრდა ეწოდება მეცნიერულად დასაბუთებულ და პრაქტიკულად განხორციელებულ პედაგოგიურ ღონისძიებათა სრულ კომპლექსს, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის, როგორც სულიერი, ისე ფიზიკური ძალების ჰარმონიულ განვითარებას" (გ.კობლაძე, ესთეტიკური აღზრდის პრინციპი, თბ., 1968, გვ. 36); "ესთეტიკური აღზრდა წარმოადგენს რთულ, მრავალსახოვან მექანიზმს ყოველმხრივ განვითარებული, ჰარმონიული ადამიანის ჩამოყალიბებისათვის. ამ პროცესის საბოლოო მიზანია (homo aesthetikus) (ესთეტიკური ადამიანი), თავისი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, რომ სამყაროსთან ესთეტიკურ ურთიერთკავშირში იმყოფება. შრომა, ურთიერთობა, ხელოვნება - ადამიანის სინამდვილისადმი დამოკიდებულების ძირითადი სფეროებია" (Г.И.Яковлев, Эстетическое воспитание как проблема, В кн:Проблемы этики и эстетики, вып.I,Л.,1973,с.92); "ესთეტიკური აღზრდა - რთული პროცესია ცალკეული ადამიანის ცნობიერებაზე, ადამიანთა კოლექტივზე და საზოგადოებაზე მთლიანად მიზანდასახული საზოგადოებრივი ზემოქმედებისა. მისი

მიზანია გარემომცველი სამყაროს სილამაზის აღქმის, შეფასებისა და ამ სილამაზის ტკბობის და რაც მთავარია შემოქმედებითი შრომის პროცესში მრავალმხრივი ესთეტიკური ღირებულების შექმნის უნარის აღზრდა" (Л.Волович, Эстетическое воспитание трудящихся в условиях развитого социализма, М., 1976, с.5–6); "ესთეტიკური აღზრდა კომუნისტური აღზრდის განუყოფელი ნაწილია: იგი გულისხმობს ადამიანში განავითაროს მაღალი მხატვრული გემოვნება, ემოციური დამოკიდებულება გარემომცველ სინამდვილისადმი, კულტურული ჩვევები". (გ.ლომიძე, ესთეტიკური აღზრდის საკითხები, თბ., 1979, გვ. 13); "ესთეტიკური აღზრდა თვითმიზანი არ არის. ესთეტიკური აღზრდის ამოცანა მდგომარეობს არა მარტო ესთეტიკური გრძნობების გემოვნების იდეალების ფორმირებაში, ესთეტიკური ღირებულებების სწორი გაგების უნარის განვითარებაში. ამოცანა მდგომარეობს აგრეთვე იმაში, რომ ადამიანმა იგრძნოს მოთხოვნილება – მშვენიერის და ამაღლებულის დამკვიდრებისა თავის შრომაში, საზოგადოებრივ ურთი

რთობებში, ცხოვრების წესში, ყოფაში, მორალში, ესთეტიკური აღზრდა იდეურ-პოლიტიკურ, შრომით და ზნეობრივი აღზრდის ამოცანებს ემსახურება". ( М.О в с я н н и к о в, Эстетическое воспитание—основная составная часть коммунистического воспитания. В.кн: Эстетическое воспитание студентов, М.,1980, с.5).

ვ. როგორც ვხედავთ, ესთეტიკური აღზრდის ცნების დეფინიციათა უკმარობას არ განვიცდით. და თუ მივიჩნევთ, რომ ციტირებული განსაზღვრებები საერთო არსებული განსაზღვრებების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია, მაშინ სურათი კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდება. მაგრამ აღნიშნული გარემოება სრულიადაც დამშვიდების საბაბს არ იძლევა: აქ საქმე გვაქვს საგანგაშო შემთხვევასთან, როცა სახეზე სწორედ სიღარიბის (და არა სიმდიდრის) ნიშანია: მართლაც, რომ არა სპეციალისტთა მიერ შეუთანხმებლობა-ერთიანი აზრის არ არსებობა, რაც, ცხადია, ესთეტიკური აღზრდის თეორიის სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს, განსაზღვრებათა ეს სიმრავლე არ გვექნებოდა.

ნიუანსობრივი მრავალსახეობისდა მიუხედავად, ესთეტიკური აღზრდის არსებასთან დაკავშირებული შეხედულებები სამ ძირითად

ჯგუფად შეიძლება დაიყოს: პირველი ჯგუფის თანახმად ე ს თ ე ტ ი-კ უ რ ი ა ღ ზ რ დ ა გაგებულ უნდა იქნას, როგორც ა დ ა-მ ი ა ნ შ ი მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ს ა ღ ქ მ ი ს ა დ ა შ ე ქ მ ნ ი ს უ ნ ა რ ი ს ა ღ ზ რ დ ა ; მეორისა - როგორც ა დ ა მ ი ა ნ შ ი ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს ა ღ ქ მ ა - გ ა-გ ე ბ ი ს ა დ ა მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი შ ე მ ო ქ მ ე დ ე-ბ ი ს უ ნ ა რ ი ს ა ღ ზ რ დ ა ; მესამისა - როგორც ყ ო ვ ე-ლ მ ხ რ ი ვ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ ი დ ა ჰ ა რ მ ო-ნ ი უ ლ ი პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ე ბ ა (საქმე საქმეზე რომ მიდგეს, საჭირო გამართლება-არგუმენტაციაც), ალბათ, სამივე თვალსაზრისს მოეძებნება, მაგრამ სამი ერთმანეთი-საგან განსხვავებული თვალსაზრისი ჭეშმარიტი ერთდროულად, ცხა-დია, ვერ იქნება; არა მგონია საჭირო იყოს იმის საგანგებო აღნი-შვნა, რომ ვიდრე ესთეტიკური აღზრდის მკაფიო გამოკვეთილი, ყვე-ლასათვის მისაღები ერთსახოვანი მიდგომა ხელთ არა გვაქვს, ესთე-ტიკური აღზრდის თეორიის და მით უფრო პრაქტიკის წინ წაწევის შე-სახებ სერიოზული ლაპარაკი შეუძლებელია.

## § 2. ესთეტიკური აღზრდის განხილვის ასპექტების შესახებ

1. აზრთა სხვადასხვაობა, რაც სპეციალისტთა შორის ესთეტი-კური აღზრდის ბუნების გაგების საქმეში არსებობს, უპირატეს ყოვლისა, თვით საკვლევი ობიექტის სირთულით და განსაკუთრებუ-ლობით არის განპირობებული. მაგრამ ამ სირთულე-განსაკუთრებუ-

ლობას უთუოდ მოელოდებოდა, რომ გარკვეული იყოს სახელდობრ ვის, რომელ მეცნიერებას ევალება ამის გაკეთება. ერთი შეხედვით, რა რიგ უჩვეულოდაც არ უნდა გამოიყურებოდეს ჩვენში ჯერ ესთეტიკური აღზრდის ბუნების კვლევის კომპეტენციის საკითხი მკაცრად განსაზღვრული არ არის.

ყველაზე მეტ პრეტენზიას ამაზე, რა თქმა უნდა, ესთეტიკა და პედაგოგიკა აცხადებენ. პ ი რ ვ ე ლ ი – როგორც მეცნიერება ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი ს შესახებ, მ ე ო რ ე – როგორც მეცნიერება ა ღ ზ რ დ ი ს შესახებ. ორივეს პრეტენზია, თითქოს კანონზომიერია, მაგრამ შეიძლება კი ო რ ი მეცნიერება ე რ თ დ რ ო უ ლ ა დ და ე რ თ ნ ა ი რ ა დ იყოს დაინტერესებული (და პრეტენზიულიც) ე რ თ ი და ი მ ა ვ ე პრობლემის (ობიექტის) კვლევით? ეს რეზონული კითხვაც რომ არა, განა ესთეტიკას (ან პედაგოგიკას) დამოუკიდებლად, საკუთარ სფეროდან გასვლის გარეშე შეუძლიათ ესთეტიკური აღზრდის არსში ჩაწვდომა-ჩაღრმავება?

ესთეტიკას რომ ესთეტიკურ აღზრდასთან უშუალო კავშირი აქვს, ეს აშკარაა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ესთეტიკა ესთეტიკურის შესახებ მეცნიერებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ესთეტიკურის არსებაც და ადამიანის მიერ სინამდვილის ესთეტიკური ათვისება-გარდაქმნის კანონებიც ესთეტიკამ უნდა შეისწავლოს და რადგან ადამიანის მიერ სინამდვილის ესთეტიკური გარდაქმნის რთულ სისტემაში უმთავრესი ადგილი თვით ადამიანის ესთეტიკურ გარდაქმნას უკავია, ხოლო ეს უკანასკნელი, არსებითად, აღზრდის მეშვეობით ხორციელდება, ესთეტიკას, უეჭველად, არ შეუძლია გვერდი აუაროს ესთეტიკურ აღზრდას. უფრო მეტიც: ესთეტიკური აღზრდის თეორიის გარეშე ესთეტიკა, როგორც მეცნიერება ფრთებშეკვეცილ ფრინველს დაემსგავსებოდა. მაგრამ როგორ ახერხებს (ან ახერხებს

თუ არა საერთოდ) ესთეტიკა ესთეტიკური აღზრდის კანონზომიერების გარკვევას? ვიდრე საქმე ადამიანის, როგორც ესთეტიკური ფენომენის დახასიათებას ან ამ ადამიანის მიერ სინამდვილის ესთეტიკური ასპექტების ფორმებსა და კანონებს შეეხება, ესთეტიკა თავს ისე გრძნობს, ვითარცა თევზი წყალში. მაგრამ როგორც კი იგი საკუთრივ ადამიანის ესთეტიკური გარდაქმნის პრობლემას მიადგება, უმალ ჩნდება ჯკმარობის გრძნობა, რომლის შევსება მხოლოდ პედაგოგიკის მოშველიებით შეიძლება.

რაკი ესთეტიკური აღზრდის საკითხების გადაწყვეტა ესთეტიკას პედაგოგიკის დახმარების გარეშე არ შეუძლია, ხომ არ აჯობებდა იგი საერთოდ პედაგოგიკისათვის, როგორც აღზრდის შესახებ სპეციალური მეცნიერებისათვის მიგვენდო? ერთი შეხედვით, თითქოს "ჰკი" და პედაგოგიკის ზემოთ აღნიშნული პრეტენზიაც სწორედ აქედან გამომდინარეობს. მაგრამ პედაგოგიკამ, რომ ესთეტიკური აღზრდის პრობლემების მართებული გადაწყვეტა შესძლოს, ჯერ უნდა გაარკვიოს რა არის საერთოდ *ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი* , *რ ა შ ი მ დ გ მ ა რ ე ო ბ ს ა დ ა მ ი ა ნ ი ს , რ ო გ ო რ ც ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი ფ ე ნ ო მ ე ნ ი ს ა რ ს ი დ ა ა მ ფ ე ნ ო მ ე ნ ი ს ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ე ბ ი ს ს პ ე ც ი ფ ი კ ა*. სრულიად აშკარაა, რომ აღნიშნული პრობლემების მიგვარებას პედაგოგიკა მხოლოდ ესთეტიკის დახმარებით შეძლებს. თითქოსდა წრე შეიკრა, მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს წრე ესთეტიკური აღზრდის სწორხაზობრივ-ერთგანზომილებიანი განხილვის პროდუქტია. წინამდებარე პარაგრაფის მთავარი ამოცანა სწორედ ესთეტიკური აღზრდის განხილვის ასპექტების შესახებ საკითხის დაყენებაში მდგომარეობს.

2. ესთეტიკური აღზრდა, საერთოდ, მრავალ ასპექტში შეიძლება იქნას განხილული, მაგრამ უმთავრესი, ალბათ, მაინც ორია.

ბიოლოგიზმთან უსათუო ასოციაციის მიუხედავად, მე ერთს ონტოგენეზურ ასპექტს ვუწოდებ, მეორეს - ფილოგენეზურს. პირველში მოიაზრება: ადამიანის, როგორც ინდივიდის ესთეტიკური განვითარება დაბადებიდან სიცოცხლის დასასრულამდე[1], მეორეში - ადამიანის, როგორც სოციალური არსების ესთეტიკური განვითარება წარმოშობიდან, ვიდრე კაცობრიობის საბოლოო მიზნამდე - კომუნიზმამდე.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ესთეტიკური აღზრდის ონტოგენეზურ და ფილოგენეზურ ასპექტებს შორის მჭიდრო დიალექტიკური კავშირია. თუ ერთის მხრივ, ადამიანის, როგორც ინდივიდის ესთეტიკური განვითარება ადამიანის, როგორც სოციალური არსების ესთეტიკური განვითარების ორგანულ ნაწილს (მომენტს) წარმოადგენს, მეორეს მხრივ, სწორედ ადამიანის (საერთოდ ადამიანის) ესთეტიკური განვითარების პროცესი უნდა იქნას გაგებული, როგორც ინდივიდთა ესთეტიკური განვითარების თავისებური ჯაჭვი. ეს ჯაჭვი, რა თქმა უნდა, დიალექტიკურია და არა მექანიკური. საქმე ისაა, რომ თვით ცხოვრება, რომელშიც ხდება ადამიანთა ესთეტიკური განვითარება, საოცრად რთული და მრავალფეროვანი პროცესია. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს "თაობათა ცვლის" ცნება და ეს ცნება სრულიად რეალურ ტენდენციას გამოხატავს, მისი მიჯნების კატეგორიული დადგენა შეუძლებელია. შეუძლებელია არა მარტო ხო-

---

1 აღზრდის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით ესთეტიკური აღზრდა უნივერსალური ბუნებისაა და მოიცავს ინდივიდის განვითარების ყველა პერიოდს, წინასკოლამდელი ასაკიდან მოყოლებული, ვიდრე ღრმა მოხუცებულობამდე.

ციალური, არამედ ბიოლოგიური თვალსაზრისითაც. მაგ. როცა ერთი სიცოცხლე თავდება, მეორე - იწყება, მესამე - ვაჟკაცდება და ა.შ. სიკვდილ-სიცოცხლის სწორედ ეს მარადმონაცვლეობითი ციკლი განაპირობებს საზოგადოებაში ესთეტიკური აზრის პერმანენტულ-ზეაღმავალ ხასიათს.

სპეციალურ განმარტებას, ალბათ, არც ის საჭიროებს, რომ ადამიანის ესთეტიკური განვითარება საზოგადოების ესთეტიკური განვითარებისაგან არის დამოკიდებული. მიმართების დიალექტიკა აქ ზუსტად ისეთივეა, როგორც ინდივიდის ადამიანთან (საერთოდ ადამიანთან) მიმართების დროს. ოღონდ ადამიანის ესთეტიკური განვითარება საზოგადოების ესთეტიკური განვითარების უბრალოდ ნაწილი კი არა, უმთავრეს (განმსაზღვრელ) ნაწილს წარმოადგენს. შემთხვევითი როდია, რომ საზოგადოების ესთეტიკური განვითარების დონეზე, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის ესთეტიკური განვითარების დონის მიხედვით მსჯელობენ.

ესთეტიკური აზრის ორივე ასპექტს (როგორც ონტოგენეზურს, ისე ფილოგენეზურს) თავისი ნაირსახეობა-მოდიფიკაციები გააჩნია. ეს მოდიფიკაციები მრავალი ფაქტორით (თუ ნიშნითაა) პირობადებული, რომელთაგან უნდა გამოიყოს: ასაკი, სოციალური მდგომარეობა, მოღვაწეობის ხასიათი, პროფესია, კულტურის დონე, გარემო (ონტოგენეზისათვის). საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია, ცხოვრების წესი, ეპოქა, განვითარების კონკრეტულ-ისტორიული ეტაპი (ფილოგენეზისათვის). ამისდაშესაბამისად, ესთეტიკური აზრის განხილვის მოდიფიკაციები ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: 1. (ონტოგენეზი): ბავშვის ესთეტიკური აზრი, მოზრდილის ესთე-

ტიკური აღზრდა და ა.შ. (ასაკი); მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა, მუშათა კლასის ესთეტიკური აღზრდა. კოლმეურნე გლეხობის ესთეტიკური აღზრდა, ინტელიგენციის ესთეტიკური აღზრდა (სოციალური მდგომარეობა); ფიზიკური შრომის ადამიანთა ესთეტიკური აღზრდა, გონებრივი შრომის ადამიანთა ესთეტიკური აღზრდა (მოღვაწეობის ხასიათი) დედაქალაქში მცხოვრებთა ესთეტიკური აღზრდა, პერიფერიის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მცხოვრებთა ესთეტიკური აღზრდა, სოფლის მცხოვრებთა ესთეტიკური აღზრდა (კულტურული დონე) და ა.შ. II. (ფილოგენეზი): ესთეტიკური აღზრდა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ესთეტიკური აღზრდა სოციალისტურ საზოგადოებაში და ა.შ. (საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია); ანტიკური ეპოქის, აღორძინების ეპოქის, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქის და ა.შ. ადამიანთა ესთეტიკური აღზრდა (ეპოქა); ესთეტიკური აღზრდა სოციალიზმის მშენებლობის პირობებში, განვითარებული სოციალიზმის პირობებში და ა.შ. (საზოგადოების განვითარების კონკრეტულ-ისტორიული ეტაპი). მოულოდნელი, ალბათ, არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ესთეტიკური აღზრდის განხილვის ეს მოდიფიკაცია არც სრულია და არც ზუსტი. შეიძლებოდა მისი არამარტო სახესშიგნითა დიფერენციაცია (მაგ. "მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის" ცნება მოი-

ცავს "ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდას", "სპეციალური საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდას", "პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდას", "სტუდენტთა ესთეტიკურ აღზრდას და ა.შ.), არამედ "ნომენკლატურული" გადართვებაც. ამასთან, ნიშნები, რომლებიც ესთეტიკური აღზრდის ონტოგენეზურ ნაირსახეობებს განსაზღვრავენ, თავისუფლად შეიძლება მივუყენოთ ფილოგენეზს და პირიქით.

3. ესთეტიკური აღზრდის განხილვის ასპექტები შესაძლებლობას გვაძლევენ სწორად გადავჭრათ აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი და, მათ შორის, მეცნიერებათა კომპეტენციის საკითხი, ყოველ შემთხვევაში პედაგოგიკის მაინც. ვინც ესთეტიკური აღზრდის პედაგოგიკურ პრობლემატიკას იცნობს, იგი დაგვეთანხმება, რომ პედაგოგიკა უპირატესად ე.წ. ონტოგენეზური ასპექტის, უწინარეს ყოვლისა მისი ასაკობრივ-სოციალური მოდიფიკაციების (ბავშვი, მოზრდილი, მოსწავლე) კვლევითაა დაკავებული.

ერთი შეხედვით, თითქოს გაუგებარია, თუ რატომ პედაგოგიკა - ზოგადი მოძღვრება აღზრდაზე, აღზრდის ერთ-ერთ ფორმას - ესთეტიკურ აღზრდას სწორედ კონკრეტულ ასპექტებში განიხილავს. მართლაც პედაგოგიკა ესთეტიკური აღზრდის არსების გარკვევაზეც აცხადებს პრეტენზიას, მაგრამ თუ ესთეტიკური აღზრდის კერძო საკითხების (ესთეტიკური აღზრდა სკოლაში, ესთეტიკური აღზრდა მუსიკის გაკვეთილზე და ა.შ.) კვლევას სრულიად ბუნებრივად მიიჩნევენ, რამდენადმე აღმაცერად უყურებენ ზ ო გ ა დ ი პრობლემებით მისი დაინტერესების ფაქტს. ა ღ ნ ი შ ნ უ ლ ი გარემოება, ცხადია, კიდევ უფრო აძლიერებს ბევრით წამოჭრილ ცნობისმოყვარეობას. მართლაც, რატომ არის, რომ პედაგოგიკა - ზ ო გ ა დ ი მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა ა ღ ზ რ დ ა ზ ე ნაკლებ კომპეტენტურია ესთეტიკური

აღზრდის ზოგადი პრობლემების კვლევაში და ს რ უ ლ ი ა დ  კომპეტენტურია კ ე რ ძ ო საკითხების კვლევაში?

აღნიშნული ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება თითქოს ძნელი არ უნდა იყოს, თუ მოვიგონებთ, რომ პედაგოგიკა, როგორც მეცნიერება, უპირატესად ესთეტიკური აღზრდის ასაკობრივ-სოციალური მოდიფიკაციების, უწინარეს ყოვლისა მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის საკითხების კვლევითაა დაკავებული, მაგრამ, რატომ არის ეს ასე? რატომ არის, რომ პედაგოგიკა-მოძღვრება საერთოდ აღზრდაზე[1] ესთეტიკური აღზრდის პრობლემას, უპირატესად მოსწავლე ახალგაზრდობის განასერში განიხილავს?

ტრადიციული პედაგოგიკის ფონზე არც ამ კითხვაზე პასუხის გაცემაა ძნელი. როგორც ცნობილია იგი (ტრადიციული პედაგოგიკა) შინაარსობრივადაც და ეტიმოლოგიურადაც ბავშვთა აღზრდასთანაა დაკავშირებული. მაგრამ ჩვენ საუკუნეში პედაგოგიკური მეცნიერების მოქმედების არე მნიშვნელოვნად გაიზარდა, რის შედეგადაც, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიკასთან ერთად, ჩამოყალიბდა პედაგოგიკის ისეთი სპეციალური დარგები როგორიცაა: უ მ ა ღ ლ ე ს ი  ს კ ო ლ ი ს  პ ე დ ა გ ო გ ი კ ა , პ რ ო ფ ე ს ი უ ლ ი  პ ე დ ა გ ო გ ი კ ა , ს ა მ ხ ე დ რ ო

---

1 ჩვეულებრივ, პედაგოგიკას განსაზღვრავენ, როგორც მეცნიერებას აღზრდის, სწავლებისა და განათლების კანონზომიერების შესახებ, მაგრამ ამ ორი უკანასკნელი მომენტის მოხსენება დეფინიციაში არ უნდა იყოს აუცილებელი. აღზრდა ორგანულად მოიცავს სწავლებისა და განათლების მომენტებსაც. სწორედ ამ ერთიანობის დარღვევის ტენდენციამ აიძულა სკკპ ცკ-ი თავის დადგენილებაში "იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ" მთელი კატეგორიულობით დაესვა საკითხი სწავლებისა და აღზრდის ურთიერთშერწყმის შესახებ.

პ ე დ ა გ ო გ ი კ ა და ა.შ. ასეთ ვითარებაში, ცხადია მდგომარეობა რამდენადმე რთულდება. თუ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიკის მეტზე პედაგოგიკის მხრივ მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის კონკრეტული საკითხებით დაინტერესება სავსებით გასაგებია, ამას ვერ ვიტყვით, მაგ. სამხედრო პედაგოგიკის მიმართ. მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთ გზას ზ ო გ ა დ ი პ ე დ ა გ ო გ ი კ ი ს დაშვება წარმოადგენს. თუმცა ზოგადი პედაგოგიკა ჯერარსი კი არა, რეალური ფაქტია. განიცდის რა დიფერენციაციას, პედაგოგიკა, ამავე დროს, მეცნიერებათა განვითარების კანონზომიერებისდა შესაბამისად, ინტეგრაციის გზითაც მიემართება. ამ გზის ერთი მონაკვეთის დასრულებას წარმოადგენდა სწორედ ზოგადი პედაგოგიკის ჩამოყალიბება.

და ახლა, როცა ხელთ გვაქვს ზოგადი პედაგოგიკის ცნება ადვილი ხდება ესთეტიკური აღზრდის საკითხებისადმი ზემოთ აღნიშნული დამოკიდებულების ახსნა. როგორც ჩანს საკითხი ესთეტიკური აღზრდის კანონზომიერებებით პედაგოგიკის დაინტერესებულობის შესახებ უნდა გადაწყდეს დიფერენცირებულად: ესთეტიკური აღზრდის ონტოგენეზური ასპექტი საერთოდ ზოგადი პედაგოგიკის საგანია, მისი მოდიფიკაციები – პედაგოგიკის ცალკეული დარგებისა. ამისდა შესაბამისად, ესთეტიკური აღზრდის ზოგადი საკითხები პედაგოგიკის კომპეტენციას შეადგენს, კონკრეტული საკითხები – პედაგოგიკის ცალკეული დარგებისა.

4. თითქოს ლოგიკური იქნებოდა თუ ესთეტიკური აღზრდის ფილოგენეზურ ასპექტს და მის მოდიფიკაციებს ესთეტიკის კვლევის ობიექტად გამოვაცხადებდით. საქმე ეხება არა უბრალოდ ვაკანსიას (ფილოგენეზური ასპექტი ხომ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინტერესის ფარგლებს გარეთ რჩება), არამედ ესთეტიკის, როგორც მეცნიერების თავისებურებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ესთეტიკას, როგორც მეცნიერებას სინამდვილის ესთეტიკური გარდაქმნის ფორმებისა და კანონების შესახებ, პირველ რიგში საკუთრივ ადამიანის ესთეტიკური გარდაქმნის საკითხი აინტერესებს. ადამიანის ესთეტიკურ გარდაქმნას არა მარტო თვითმიზნური (ადამიანის, როგორც ესთეტიკური ფენომენის ჩამოყალიბების), არამედ გარე ფაქტორის მნიშვნელობაც ენიჭება. საქმე ისაა, რომ სინამდვილის ესთეტიკური გარდაქმნა, რაც ესთეტიკის არა მარტო.თეორიული, არამედ პრაქტიკული პრობლემაცაა, მხოლოდ ესთეტიკურად განვითარებული (აღზრდილი) ადამიანის მეშვეობით შეიძლება. ამასთან, ჯერ ერთი: ესთეტიკა, როგორც მეცნიერება თვითონვეა ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება და მეორე: ესთეტიკური აღზრდა, როგორც პროცესი და როგორც თეორიული პრობლემა წარმოუდგენელია ისეთი ტრადიციული ესთეტიკური კატეგორიების გარეშე, როგორიცაა:. მ შ ვ ე ნ ი ე რ ი , ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი  ი დ ე ა ლ ი , ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი  გ ე მ ო ვ ნ ე ბ ა , ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი  შ ე ფ ა ს ე ბ ა  და ა.შ.

და მაინც, ესთეტიკური აღზრდის კანონზომიერების, მისი თუნდაც ფილოსოფიური ასპექტის კვლევის ფუნქციების მთლიანად ესთეტიკისათვის გადაბარება-დაკისრება არ შეიძლება, მით უფრო არ ევალება მას ესთეტიკური აღზრდის მეთოდების შემუშავება. ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი  ა ღ ზ რ დ ა  და  ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი  ა თ ვ ი ს ე ბ ა  ორი სხვადასხვა პროცესია, რომელთა ერთმანეთთან სრული გაიგივება შეცდომა იქნებოდა. მართალია, ესთეტიკური აღზრდა სინამდვილის ესთეტიკური ათვისების უმთავრეს მიზანს - ა დ ა მ ი ა ნ ი ს  ე ს თ ე ტ ი კ უ რ  გ ა რ დ ა ქ მ ნ ა ს  გულისხმობს, მაგრამ ადამიანის ეს გარდაქმნა ხომ თავისთავად მიზანშეწონილი პროცესია, რომელსაც მეორე ადა-

მიანი წარმართავს? ცხადია, რომ ის ვინც ესთეტიკური აღზრდის, ე.ი. ადამიანთა ესთეტიკური გარდაქმნის პროცესს წარმართავს, უწინარეს ყოვლისა, თვითონვე უნდა იყოს ესთეტიკურად გარდაქმნილი. ესთეტიკურად გარდაქმნილი ადამიანები, რომლებიც სხვა ადამიანთა ესთეტიკურ გარდაქმნას აწარმოებენ, რა თქმა უნდა, ციდან არ ცვივიან. ისინიც, ჩვეულებრივ, ესთეტიკური აღზრდის შედეგია, მაგრამ შედეგი, რომელიც უკვე მიზეზად იქცევა. თუ ესთეტიკური აღზრდისა და ათვისების ამ რთულ ურთიერთდამოკიდებულებას "შენელებული კადრის" (მხოლოდ "შენელებული კადრის") პრიზმიდან შევხედავდით, შეიძლება გვეთქვა, რომ ესთეტიკური ათვისება იწყება იქ (და მაშინ), როცა ესთეტიკური აღზრდა მთავრდება. ესთეტიკური აღზრდა, გარკვეული აზრით, ადამიანის, როგორც ესთეტიკური სუბიექტის, როგორც სინამდვილის ესთეტიკური გარდაქმნის უნარის ( და მოთხოვნილების) მქონე პიროვნების მომზადებაა. ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სინამდვილის ესთეტიკური ათვისების პროცესი, ამავე დროს, ესთეტიკური აღზრდის პროცესიცაა, რომ საბოლოო ანგარიშით, ყველაფერი ადამიანის ესთეტიკური სრულყოფის ამოცანებს ექვემდებარება და ა.შ. ე.წ. "შენელებული კადრის" პრინციპის გაუგებრობა იქნებოდა.

სრულიად აშკარაა, რომ ესთეტიკური აღზრდის სახით ჩვენ საქმე გვაქვს განსაკუთრებულ ფენომენთან, რომელიც ცალკე აღებული არც პედაგოგიკის ჩარჩოებში თავსდება და არც ესთეტიკისა. არა მგონია ჯერ-ჯერობით მოიძებნებოდეს რომელიმე სხვა მეცნიერება, რომელიც ესთეტიკური აღზრდის კვლევის მონოპოლიაზე განაცხადებდა პრეტენზიას. მაშ რა უნდა ვქნათ? ვფიქრობ, სრულიად ბუნებრივად დგება საკითხი ახალი, დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც, ცხადია, პედაგოგიკისა და ესთეტი-

კის შესაყარზე დაიდებდა ბინას. თითქოსდა უპრიანი იქნებოდა თუ ამ მეცნიერებას ესთეტიკური აღზრდის თეორიას ვუწოდებდით, მაგრამ რა ვუყოთ ესთეტიკური აღზრდის ისტორიას და განსაკუთრებით – პრაქტიკას? ცხადია, რომ უნდა დაიძებნოს რაღაც ისეთი ტერმინი (მეცნიერების სახელწოდება), რომელიც ესთეტიკური აღზრდის სამივე განზომილებას – თ ე ო რ ი ა ს , ი ს ტ ო რ ი ა ს  დ ა  პ რ ა ქ ტ ი კ ა ს  მოიცავს.

5. მაგრამ ვიდრე ასეთი ტერმინი არ დაძებნილა ( და დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბებამდე არც შეიძლება დაიძებნოს) საჭიროა ერთგული დავრჩეთ ტრადიციის და დასმული პრობლემა ესთეტიკის ფარგლებში განვიხილოთ.

თუმცა საკითხი ესთეტიკური აღზრდის განხილვის ასპექტების შესახებ აქ მეცნიერებათა საზღვრების დადგენის მიზნით არ დასმულა. ეს საკითხი მე დამჭირდა იმისათვის, რომ მეჩვენებინა ესთეტიკური აღზრდის პრობლემის კონკრეტული დაყენების აუცილებლობა. ესთეტიკური აღზრდის რაობის შესახებ არსებული ლიტერატურის უმეტესი ნაწილის ნაკლი სწორედ ისაა, რომ მასში საკითხი დასმულია აბსტრაქტულად, დროისა და ადგილის მომენტების გათვალისწინების გარეშე.

მკითხველი, რა თქმა უნდა, დამეთანხმება, რომ ესთეტიკური აღზრდის არსების გასაღები მის ფუნქცია-ამოცანაში უნდა ვეძიოთ. მაგრამ რაში მდგომარეობს ესთეტიკური აღზრდის ამოცანა? აი ზღურბლი, რომელიც ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზაზე იქცა თავისებურ ლოდად შებრკოლებისა. და ამ ლოდის მოხსნა-თავიდან აცილება ადვილად შეიძლებოდა, რომ საკითხი კონკრეტულად დასმულიყო. მართლაც, იმისათვის, რომ ესთეტიკური აღზრდის ამოცანა განვსაზღვროთ, უწინარეს ყოვლისა საჭიროა დაზუსტდეს: ესთეტიკური აღზრდის რა ასპექტზეა აქ ლაპარაკი – ფილოგენეზურზე თუ ონტოგენეზურზე და მეორე:

საერთოდ ესთეტიკური აღზრდის, მისი საბოლოო მიზნის განასერში დგას საკითხი თუ მოცემული კონკრეტულ-ისტორიული პირობების (ჩვენთვის: განვითარებული სოციალიზმის პირობების) განასერში. "ესთეტიკური აღზრდის" ცნება, რის გარკვევასაც ეძღვნება მომდევნო პარაგრაფი, სწორედ ამ მოთხოვნების საფუძველზე იქნება განხილული.

## § 3. სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების ჩამოყალიბება, როგორც ესთეტიკური აღზრდის საბოლოო მიზანი

1. როგორც წინამდებარე პარაგრაფის სათაურიდან სრულიად გარკვევით ჩანს, ესთეტიკური აღზრდის საბოლოო მიზანს, ჩემის აზრით, წარმოადგენს ს რ უ ლ ყ ო ფ ი ლ ი ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს (homo aestheticus) ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ე ბ ა[1]. მაგრამ რას ნიშნავს ს რ უ ლ ყ ო ფ ი ლ ი ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა ? რა შინაარსი და მოცულობა მოიაზრება ამ ცნებაში?

ა) მოულოდნელი, ალბათ, არ იქნება თუ ვიტყვი, რომ სპეციალისტთა ერთი ჯგუფი სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების ცნების ქვეშ მოიაზრებს მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ს ა ღ ქ მ ი ს ა და შ ე ქ მ ნ ი ს უ ნ ა რ ი ს მ ქ ო ნ ე ა დ ა მ ი ა ნ ს . სწორედ ამ ჯგუფს მიეკუთვნება ესთეტიკური აღზრდის ზემოთ მინიშნებულ გაგებათა პირველი ვარიანტი.

---

1 "ჩემის აზრით" მეთქი, რომ ვამბობ, ცხადია იმას არ ვგულისხმობ, თითქოს აღნიშნული იდეის დაყენების პრიორიტეტი მე მეკუთვნოდეს. მე ზემოთ დავასახელე ე.იაკოვლევის სტატია "ესთეტიკური აღზრდა, როგორც პრობლემა", სადაც ესთეტიკური აღზრდის საბოლოო მიზნად სწორედ homo aestheticus არის მიჩნეული. ასეთსავე მოსაზრებებს ვხვდებით სხვა მკვლევარებთანაც, მაგრამ მთავარი ისაა, რომ აღნიშნული იდეა დასაბამს კ.მარქსის შრომებში იღებს.

მშვენიერის აღქმისა და შექმნის უნარს, რომ სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების სტრუქტურაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ეს, ცხადია, სადავო არ არის. მაგრამ არც ისაა სადავო, რომ ეს ნიშანი სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების ცნების შინაარსს არ ამოწურავს. სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების არსი, რომ მშვენიერის აღქმა-შექმნის უნარით ამოიწურებოდეს, მაშინ ესთეტიკური აღზრდის პრობლემა დიდი ხანია გადაჭრილი იქნებოდა, რადგან ასეთი უნარის მქონე ადამიანების ჩამოყალიბება ჯერ კიდევ პირველყოფილ საზოგადოებაშია დადასტურებული. კაცობრიობის მთელი შემდგომი გზა ესთეტიკური აღზრდისათვის მხოლოდ რაოდენობრიობის პრობლემა უნდა ყოფილიყო. მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს ასე არ არის. ყოველი ეპოქა ესთეტიკური აღზრდის თავის განსაკუთრებულ, ადრინდელისაგან განსხვავებულ პროგრამას აყენებდა. ამითაა პირობადებული ესთეტიკური იდეალის ისტორიულ-შეფარდებითი ხასიათიც.

სულ ცოტა, რაც, ალბათ, ესთეტიკურ პიროვნებას უნდა მოეთხოვოს, სინამდვილისადმი[1] სწორი ესთეტიკური დამოკიდებულებაა. ესთეტიკური დამოკიდებულება კი, როგორც ვიცით, არა მარტო მშვენიერის, არამედ ტრაგიკულის, კომიკურის, მახინჯის და ა.შ. ასპექტებსაც მოიცავს. ამიტომ (თუნდაც ამიტომ) ულოგიკობა იქნებოდა ესთეტიკური აღზრდის, როგორც სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების ჩამოყალიბების მთელი აზრი მშვენიერის აღქმა-შექმნის უნარზედ დაგვეყვანა.

ესთეტიკური აზროვნების ისტორია იცნობს კონცეფციებს, რომ-

---

1 "სინამდვილის" ცნება აქ ფილოსოფიური აზრითაა გამოყენებული და მასში მოიაზრება რეალური სამყაროც და მხატვრულიც.

ლებიც თითქოს ულოგიკობის აღნიშნული საფრთხისაგან თავის დაღწევის გარანტიას იძლევიან. მით რომ არ წავიდეთ, ჩვენს დღევანდელ ესთეტიკურ ლიტერატურაშიც იშვიათად როდი ვხვდებით გამოკვლევებს, რომელთა ავტორები ან საერთოდ უარყოფენ ტრაგიკულის, კომიკურის, მახინჯის და ა.შ. ესთეტიკურისადმი მიკუთვნებულობას, ან, ცდილობენ ისინი უბრალოდ მშვენიერის კატეგორიაზე დაიყვანონ: საკმარისია ასეთი "ფილტრაცია" ან "დაყვანა" მოხდეს, რომ ესთეტიკური დამოკიდებულების პრობლემაც მოიხსნება.

მაგრამ ჯერ-ჯერობით სპეციალისტთა მიერ ვერავითარი საბუთი ვერ იქნა მოტანილი, რომელიც ტრაგიკულის, კომიკურის, მახინჯის და სხვ. ესთეტიკურისადმი მიკუთვნებულობის საკითხს საეჭვოს გახდიდა. მით უფრო არადამაჯერებლად და ხელოვნურად გამოიყურება აღნიშნული კატეგორიების მშვენიერზე დაყვანის ვერსია. მართლაც, როგორ შეიძლება მ ა ხ ი ნ ჯ - მ დ ა ბ ლ ი ს ა  დ ა  მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ს , თუნდაც დახლოების შესახებ ლაპარაკი? როგორც ლიტერატურაში მართებულადაა შენიშნული მახინჯის, მდაბლის და ა.შ. მშვენიერზე დაყვანის ცდა სხვა არ არის რა, თუ არა ესთეტიკური ალქიმიზმი.

ბ) არიან ადამიანები, რომლებიც სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების პრობლემას ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს  ა ღ ქ მ ი ს ა  დ ა  შ ე ქ მ ნ ი ს  უ ნ ა რ ი ს  განსჯაში წარმოგვიდგენენ. აღნიშნული ტენდენცია სათავეს შილერიდან იღებს. სწორედ დიდი გერმანელი პოეტი შილერი უკავშირებდა ესთეტიკური აღზრდის და, მაშასადამე, სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების ჩამოყალიბების ცნებას მხატვრულ შემოქმედებას.

მიუხედავად შილერის დიდი ავტორიტეტისა, მხატვრულად განვითარებული პიროვნების ("ადამიან-შემოქმედის") ცნების სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების ცნებასთან გაიგივების იდეას არ

შეიძლება დავეთანხმოთ. ვინ მოთვლის მხატვრული ნიჭით დაჯილდოებულ რამდენ ადამიანს უცხოვრია ამ ქვეყნად, რომელთათვისაც ხელოვნებას სრულებითაც ხელი არ შეუშლია ზნედაცემულ-დეგრადირებულნი ყოფილიყვნენ. ცნობილია, მაგალითად, რომ ჰიტლერული საკონცენტრაციო ბანაკების ზოგიერთი ზედამხედველი ადამიანთა სისხლში ამოსვრილი ხელებით მიუჯდებოდა ხოლმე როიალს და მუსიკას თხზავდა. ზოგიერთმა კაციჭამიამ სასიკვდილოდ განწირულ ტყვეთა პორტრეტული ჩანახატებიც დაგვიტოვა. ესეც, რომ არა მ ხ ო ლ ო დ მხატვრულად განვითარებული ადამიანი არ შეიძლება ს რ უ ლ ყ ო ფ ი ლ - ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი იყოს, რადგან მხოლოდ მხატვრული განვითარება ც ა ლ მ ხ რ ი ვ ი განვითარებაა, ხოლო ც ა ლ მ ხ რ ი ვ ო ბ ა , როგორც წესი, ს რ უ ლ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა ს გ ა მ ო რ ი ც ხ ა ვ ს.

ლოგიკა-ლოგიკაა, მაგრამ ესთეტიკურ (მით უფრო სრულყოფილ ესთეტიკურ) პიროვნებას მოეთხოვება, გარდა ხელოვნებისა, ადამიანებისადმი, შრომისადმი, ბუნებისადმი და ა.შ. სწორი ესთეტიკური დამოკიდებულება. ხელოვნებისადმი რა რიგ ფაქიზ დამოკიდებულებასაც არ იჩენდეს ადამიანი, რომელიც ბარბაროსულად ექცევა ბუნებას, ესთეტიკურ პიროვნებად ვერ ჩაითვლება. მტკიცება, რომ მხატვრული განვითარება უზრუნველყოფს პიროვნების ყოველმხრივ ესთეტიკურ განვითარებას, რბილად, რომ ვთქვათ, სინამდვილეს არ შეესაბამება. საკმარისია მოვიგონოთ, რომ მხატვრულ-პროფესიონალთა გაჩენა, რაც პირველყოფილი საზოგადოების დაშლისა და მონათმფლობელური საზოგადოების ჩამოყალიბების ეპოქისთვის იყო დამახასიათებელი, ადამიანის სწ-რედ დეჰარმონიზაციის, ე.ი. სრულყოფილებიდან არასრულყოფილებაზე გადასვლის გამოხატულებას წარმოადგენდა. ასევე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მარქსი, ლაპარაკობს რა კომუნისტურ საზოგადოებაში ადამიანის უკვე რ ე ძ ა-ვ

რ მ ო ნ ი ზ ა ც ი ი ს შესახებ, ასეთი რეჰარმონიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს პირობად პროფესიული ხელოვნების ქრობას მიიჩნევს.

მხატვრულად განვითარებული ადამიანის ესთეტიკურ პიროვნებასთან გაიგივების ტენდენციას ის მოჰყვა, რომ სპეციალისტთა ერთმა ჯგუფმა ორიენტაცია დაკარგა და მხატვრული აღზრდა ესთეტიკური აღზრდის ტოლფასოვან მოვლენად გამოაცხადა. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ მხატვრული აღზრდის მთელი აზრი ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს მ ე შ ვ ე ო ბ ი თ ა ღ ზ რ დ ა ზ ე დაიყვანებოდა. ადვილი წარმოსადგენია აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული შედეგები. ბუნების, სოციალური გარემოს და სხვა მნიშვნელოვან კომპონენტთა შესახებ, რომ არაფერი ვთქვათ, ესთეტიკური აღზრდის სისტემიდან ვარდებოდა შ რ ო მ ა – ადამიანისა და ადამიანური საზოგადოების არსებობის საფუძველთა საფუძველი.

ვლაპარაკობთ რა მხატვრულად განვითარებული ადამიანის სრულყოფილ ესთეტიკურ პიროვნებასთან გაიგივების დაუშვებლობის შესახებ, ეს, ცხადია, მხატვრული აღზრდის მნიშვნელობის დამცირებად არ უნდა აღვიქვათ. მხატვრულ აღზრდას ყოველთვის ეკავა და ასევე ეკავება ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი ესთეტიკური და, მაშასადამე, საერთოდ აღზრდის სისტემაში. გარკვეულ პირობებში მას განმსაზღვრელი როლის შესრულებაც შეუძლია და ასრულებს კიდეც, მაგრამ ერთია "გარკვეული პირობების" ან "ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილის" ცნება და მეორე "ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტორის" ცნება. მარქსი, როგორც ცნობილია, კომუნისტურ საზოგადოებას წარმოგვიდგენდა არა მხოლოდ მხატვრების საზოგადოებად, არამედ ისეთ საზოგადოებად სადაც ადამიანები, სხვა საქმიანობასთან ერთად, დაკავებული იქნებიან მხატვრობითაც[1].

---

[1] К.Маркс и Ф.Энгельс об искусстве. М.,1957, с.252.

ამრიგად, ესთეტიკური აღზრდის არსი არც მშვენიერის აღქმა-გაგება-შექმნის იდეამდე დაიყვანება და არც ხელოვნებისა. სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნება, როგორც ესთეტიკური აღზრდის მიზანი, ბევრად უფრო ფართოა და მრავალფეროვანი თავისი შინაარსით, ვიდრე ადამიანი-ფილოკალი[1] ან ადამიანი-შემოქმედი. მაშ რა არის, რა შინაარსს მოიცავს *სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების* ცნება?

2. ამ ცნებაში, უწინარეს ყოვლისა, პიროვნება, როგორც *ესთეტიკური ობიექტი* მოიაზრება. ეს ის შემთხვევაა, როცა ადამიანი (კონკრეტული პიროვნება) სხვა ადამიანთა ჭვრეტის და, ამისდა კვალად, სიამოვნების (ან უსიამოვნების) საგანია. დადებითი ესთეტიკური ეფექტი, რასაც ერთი ადამიანი ახდენს მეორეზე და, რაც ფიქსირდება მსჯელობაში "ეს ადამიანი არის მშვენიერი", პირველ რიგში მიიღწევა *გარეგნობით*. და რადგან ადამიანებს ყოველთვის, საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე, ლამაზად ყოფნის "მანია" ახასიათებდათ, მათ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმიანობას მუდამ გარეგნობაზე ზრუნვა წარმოადგენდა. ამასთანაა დაკავშირებული ფიზიკური კულტურისა და მოდა-კოსმეტიკის მთელი ისტორია კაცობრიობის გარიჟრაჟიდან მოკიდებული, ვიდრე დღემდე. თუ პირველი (ფიზიკური კულტურა) ადამიანის სხეულის არქიტექტონიკურ სრულყოფას ისახავს მიზნად, მეორე – მისი გარეგნული მართვა-მოკაზმვის ამოცანებს ემსახურება. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ მოდა-კოსმეტიკა ძი-

---

[1] ტერმინი "ფილოკალია" ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად შემოიტანა გ.ჯიბლაძემ (იხ. მისი "ხელოვნება და სინამდვილე", თბ., 1955 წ., გვ. 339).

რითადი[1] ეს არის ადამიანის სხეულზე წარმოქმნილი ს ო ც ი ა - ლ უ რ ი  დ ა ნ ა შ რ ე ვ ი.

თუმცა ადამიანის გარეგნობაში სოციალურ დანაშრევს მარტო მოდა-კოსმეტიკა როდი ქმნის. სოციალური მოტივები თავს იჩენს ადამიანის აღნაგობაშიაც. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ ჩერნიშევსკიმ. ერთია, შენიშნავდა იგი, ლამაზი აღნაგობა-გამომეტყველება მდაბიო ხალხისათვის და მეორე – მაღალი საზოგადოებისათვის[2]. დღეს უკვე ყველამ იცის, რომ ადამიანის სილამაზის განსხვავებული იდეალები[3] არა მარტო განსხვავებულ კლასებს გააჩნიათ, არამედ სხვადასხვა ეპოქის, ქვეყნის, ეროვნების და, წარმოიდგინეთ, სხვადასხვა კულტურული დონის ადამიანებსაც. ალბათ, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ სილამაზის რასობრივი და ეთნიკური ნიშნებიც (კანის ფერი, სახის ნაკვთების სტრუქტურა, თვალის ჭრილი, ტანის სიმაღლე და ა.შ.). თავის საბოლოო ახსნას სოციალურ სფეროში პოულობენ[4]. ამათ იქთ ანტიკურობის დიდი

---

1 ძ ი რ ი თ ა დ ა დ მეთქი ვამბობ იმიტომ, რომ ზოგჯერ, განსაკუთრებით საზოგადოების განვითარების დაბალ საფეხურზე, მოდაკოსმეტიკას არასოციალური (მაგ.სამედიცინო და სხვ.) ხასიათი ჰქონდა. მიუხედავად თანამედროვე მოდის საოცარი უნიფიკაციისა, გარკვეული თავისებურებით ხასიათდება დედამიწის ცხელი სარტყლის მცხოვრებთა მოდა.

2 ნ.გ.ჩერნიშევსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, თბ.,1945, გვ. 310-311.

3 ცხადია, რომ აქ ლაპარაკია გარეგნული სილამაზის იდეალზე.

4. მაგალითისათვის საკმარისია მოვიგონოთ თეთრკანიანის შავკანიანისადმი და პირუკუ დამოკიდებულება. როგორც ცნობილია, თეთრკანიანს არ მოსწონს სახის შავი კანი. ასევე სახის თეთრი კანი არ მოსწონს შავკანიანს. თუ თეთრკანიანი "თავის" ანგელოსებს თეთრი ფრთებით ხატავს, ხოლო ეშმაკს შავ წამოსასხამში, შავკანიანი პირიქით იქცევა: ანგელოსებს შავი ფრთებით ხატავს ხოლო ეშმაკს – თეთრ წამოსასხამში. თითქოს ყველაფრიდან ჩანს რომ აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა რასობრივ თავისებურებებს ენიჭება, მაგრამ საკმარისია რასობრივ დანაშრევებს კარგად ჩავუკვირდეთ, რომ მასში თეთრკანიანთა მიერ შავკანიანების მრავალსაუკუნოვანი ჩაგვრის ტლანქი ნაკვალევი დავინახოთ.

მოქანდაკის პოლიკლეტისა და აღორძინების ეპოქის გამოჩენილი გერმანელი მხატვრის დიურერის ცდები აღმოეჩინა ადამიანის სხეულის ისეთი პროპორცია, რომელიც სილამაზის აბსოლუტური კანონი იქნებოდა.

ნათქვამი, ცხადია, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ადამიანის გარეგნობაში არაფერი იყოს უცვლელი და გარდუვალი. მართალია პოლიკლეტმა და დიურერმა ვერ შესძლეს (და არც შეეძლოთ ადამიანის სილამაზის აბსოლუტური საზომი მოეძებნათ, მაგრამ ცხოვრება ყოველთვის იცნობდა და იცნობს ადამიანთა ტიპებს, რომელთა გარეგნული სილამაზე თავისუფლად სძლევდა (და სძლევს) კლასობრივ თუ სხვა ბარიერებს. მაგ., მიუხედავად XIX საუკუნის საქართველ ის კლასობრივი დიფერენციაციისა, ეკატერინე ჭავჭავაძე მაინც ლამაზი ქალის ს ა ე რ თ ო - ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი რეპუტაციით სარგებლობდა. ნატო ვაჩნაძის ეშხით მარტო ქართველობა როდი იყო მოხიბლული. ვიტორია ალბანიელი რომ თანამედროვე იტალიაში დაბადებულიყო, იგი უთუოდ კინოვარსკვლავი გახდებოდა და ა.შ.

სრულიად აშკარაა, რომ აქ საქმე გვაქვს ადამიანის სილამაზის ბიოლოგიურ საფუძვლებთან. მართლაც, ადამიანი ხომ ბიოლოგიური (უფრო ზუსტად, ბ ი ო -სოციალური) არსებაა. ამიტომ მისი გარეგნული სილამაზის გაგება მხოლოდ ორივე მომენტის – როგორც სოციალურის, ისე ბიოლოგიურის საფუძველზე შეიძლება. თუ პირველი ადამიანის გარეგნული მოდელის (იდეალების მიზეზს გვიხსნის, მეორე სწორედ საწინააღმდეგო ტენდენციის–უცვლელობის ამხსნელია. მაინც რატომ ხდება "ბიოლოგია" ადამიანური სილამაზის არაშეფარდებითობის საფუძველი?

ცნობილია, რომ ადამიანი, როგორც ბიოლოგიური არსება საკმაოდ კონსერვატიული მოვლენაა. უძველესი დროიდან მოყოლებული ადამიანი არსებითად, ან თითქმის არსებითად ცვლილებას არ განიცდის. ადა-

მიანური ბიოლოგიის "ყრუ კედლებში" შეღწევა მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამაც ვერ შესძლო. აქსელერაციის თაობაზე ბოლო დროს გაჩაღებული საუბარი საქმის არსს, რა თქმა უნდა, არ ეხება. და რა გასაკვირია, რომ მოვლენა, რომელიც თავისი ბუნებით უცვლელია "სხვისი" ცვალებადობის მიზეზი ვერ იქნება.

ადამიანის სილამაზის ბიოლოგიური განზომილებები, ალბათ მრავალია, მაგრამ მათგან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ბ ი ო ლ ო გ ი უ რ ი  ს რ უ ლ ყ ო ფ ი ლ ე ბ ი ს ა  დ ა  ს ქ ე ს ო ბ რ ი ვ ი  ს რ უ ლ ფ ა ს ო ვ ნ ე ბ ი ს მომენტები. ამ ორი მომენტის გარეშე ადამიანის გარეგნული მომხიბვლელობის საკითხი საეჭვოა. მართალია, ბაირონი კოჭლი იყო, მაგრამ ჯერ ერთი: იგი მარტო კოჭლი როდი იყო. მის პოეტურ გენიასა და ქარიშხლიან ცხოვრებას სიკოჭლე თავისებურ გმირულ-რომანტიკულ ელფერს აძლევდა და მეორე: ფიზიკური ნაკლი უფრო ქალის ესთეტიკურ ღირსებას აჩნევს დაღს, ვიდრე მამაკაცის. სქესობრივი სრულფასოვნების მომენტიც ქალებში უფრო მკვეთრადაა ხაზგასმული.

და საერთოდ, ქალის მთავარი (ბიოლოგიური) ფუნქცია შთამომავლობის გაჩენა-განგრძობაა. ეს გარემოება ყველაზე ნათლად და გაშიშვლებულად აისახა ქალისადმი პირველყოფილი მამაკაცის ესთეტიკურ დამოკიდებულებაში. პირველყოფილ "ჯენტლმენს" მოსწონდა ქალი, რომელსაც მკაფიოდ ხაზგასმული მეორადი სასქესო ორგანოები ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ პალეოლითის ეპოქის სკულპტორები თავიანთ "ვენერებს" დიდი მუცლით, განიერი თეძოებით და გათქვირული მკერდით გამოსახავდნენ. მეცდომა იქნებოდა, რა თქმა უნდა, რომ ცივილიზებული ხალხების ქანდაკებაშიც (და საერთოდ ხელოვნებაში ასე მკაფიოდ ხაზგასმული სქესობრივი მოტივები გვეძებნა, მაგრამ არც მთლად უამისობა იკარგება. სპეციალურ ჟანრებზე ან საგანგებო ეროტიკულ თემებზე შექმნილი ნაწარმოებების შესახებ, რომ

არაფერი ეთქვათ, ქალის გარეგნული სილამაზისადმი მიძღვნილი ყველა "ცივილიზებულ" ნაწარმოებში აფროდიტა პანდემოსის კომპლექსი შეიგრძნობა[1].

ა) მაგრამ რაც არ უნდა იყოს და როგორც არ უნდა იყოს გარეგნობა მაინც ესთეტიკური პიროვნების მოდელის ფასადია. ამიტომ, ესთეტიკური პიროვნების გარშემო რომ ჩვენი წარმოდგენა რამდენადმე დამაკმაყოფილებელი გახდეს, საჭიროა ფასადის ზღურბლს გადავცდეთ და მოდელის ინტერიერსა და სხვა განზომილებებში შევიხედოთ. მკითხველს, რა თქმა უნდა, მოეხსენება რაზედაც აქ ლაპარაკი - ადამიანის ცხოვრების წესსა და სულიერ სამყაროზე, კაცმა, რომ თქვას, პიროვნების, როგორც ესთეტიკური ობიექტის არსებობის საფუძველს სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს.

პირველი, ალბათ, რასაც ხაზი უნდა გაესვას პიროვნების, როგორც ესთეტიკური ობიექტის შინაარსის დახასიათებისას, ესაა მ ი ს ი ა დ გ ი ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი . ჩვენში ამბობენ: "მითხარი რას აკეთებ და გეტყვი ვინა ხარო"! სრულიადაც არ იქნებოდა ნაძალადევი თუ ამ გამოთქმას ასე გადავაკეთებდით: "მითხარი რას აკეთებ და გეტყვი ლამაზი ხარ თუ არა". საქმე ეხება, რა თქმა უნდა, არა მოღვაწეობის მასშტაბებს და, ამისდა შესაბამისად, ცხოვრების იერარქიული კიბის საფეხურებზე პიროვნებების განლაგებას, არამედ ს ა ე რ თ ო დ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ა დ ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო შ რ ო მ ა შ ი მის მონაწილეობას.

მაგრამ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მონაწილეობა, როგორც ვიცით, ყოველთვის ერთნაირი ხასიათის არ არის. კლასობრივი

---

1 აფროდიტა პანდემოსის კომპლექსი სრულიად აშკარად გამოსჭვივის თანამედროვე მოდაში (მაგ. მინი ქვედატანი, ტერფებზე ან წინ და უკან ჩახსნილი კაბები და ა.შ.).

საზოგადოების შესახებ, რომ არაფერი ვთქვათ, სადაც ფ ი ზ ი - კ უ რ ი  შ რ ო მ ა მხოლოდ ექსპლოატირებული მასების ხვედრია და უშუალოდ იძულებასთანაა დაკავშირებული[1], საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მონაწილეობა ყოველთვის არც ჩვენთანაა მო-რალურ-ესთეტიკურად მოტივირებული.

ზედმეტია, რა თქმა უნდა, იმის მტკიცება, რომ სოციალისტური შრომა თავისი არსებით დ ი ა მ ე ტ რ ა ლ უ რ ა დ განსხვავ-დება კლასობრივი საზოგადოების შრომისაგან. დამსხვრია რა კლა-სობრივი მონობის ბორკილები, ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუ-ციამ ჭეშმარიტი დიდების პიედესტალზე აიყვანა უბრალო ადამიანის შრომა. თუ უწინ, კლასობრივ საზოგადოებაში ფიზიკური შრომა ადა-მიანის დამამცირებელ, ანტიესთეტიკურ ფენომენად ითვლებოდა, სო-ციალიზმის პირობებში იგი ს ი ლ ა მ ა ზ ი ს ა  და  ბ ე დ - ნ ი ე რ ე ბ ი ს  უ მ თ ა ვ რ ე ს  წ ყ ა რ ო დ იქცევა. შრომა ჩვენში არა მარტო მატერიალური კეთილდღეობის მოპოვების, არამედ სახელისა და დიდების საქმეა. თუ წარსულის ხელოვნება არ იცნობს ან, თითქმის არ იცნობს შრომის რომანტიკას, სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების წამყვან თემას სწორედ  შ რ ო მ ა წარმოა-დგენს. მაგრამ, სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა შრომის პროცესი ჩვენთან არასოციალისტურ ხასიათს ატარებენ. იგი მაგ., ხან იურიდიულ იძულებაზეა აგებული, ხან – ბრმა ვალდებულებაზე, ხან – შიშველ ეკონომიურ (დაინტერესებაზე) და ა.შ. ცხადია, რომ ასეთი შრომა პიროვნების ესთეტიკური დახასიათებისათვის არ გამო-დგება. ესთეტიკურად მოტივირებულია მხოლოდ კაცობრიობის უკეთეს

---

1 მაგ. თუ მონის შრომას საფუძვლად უდევს შიმშილით სიკვდილისა და მონათმფლობელის მხრივ ფიზიკური განადგურების შიში, ხოლო ყმა-გლეხის შრომას ბატონის დაწნული მათრახები წარმართავენ, პროლეტარის შრომა მთლიანად ეკონომიურ იძულებას ემყარება.

მერმისისაკენ, ჩვენს სინამდვილეში კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ მიმართული შეგნებული და აქტიური შრომა.

გარდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში შეგნებულ-აქტიური მონაწილეობისა, პიროვნების, როგორც ესთეტიკური ობიექტის შინაარსში მოიაზრება: ქცევისა და ყოფის მაღალი კულტურა, ფაქიზი ესთეტიკური გემოვნება, ფართო მხატვრული განათლება და ა.შ. როგორც მკითხველი ქვემოთ დაინახავს აღნიშნული ნიშნები, აგრეთვე (და უპირატესად) პიროვნების, როგორც ესთეტიკური სუბიექტის გამომხატველი ნიშნებია.

ბ) გამოდის, რომ ერთ პიროვნებაში ერთდროულად "მოქცეულია" ესთეტიკური ობიექტიც და ესთეტიკური სუბიექტიც. მაგრამ ობიექტი და სუბიექტი ხომ დაპირისპირებული ცნებებია? პრობლემა, თითქოს ადვილად შეიძლება გადაწყდეს თუ პიროვნებას ხედვის ორი – შიდა და გარე წერტილიდან შევხედავთ. მართლაც, თუ გარე წერტილიდან დანახული პიროვნება ობიექტია (სხვების ხედვის საგანია), შიდა წერტილიდან იგი წარმოგვიდგება, როგორც სუბიექტი (ე.ი. ადამიანი, რომლის ხედვის საგნად სწორედ "სხვები" ქცეულან) მაგრამ რა მოხდება, რომ პიროვნებისათვის მხოლოდ ერთი (ან შიდა ან გარე) წერტილიდან შეგვეხედა? გარდა ესთეტიკურისა, ყველა სხვა შემთხვევაში, იგი ერთგანზომილებიანი სიდიდე (ან მხოლოდ სუბიექტი ან მხოლოდ ობიექტი) იქნებოდა. ადამიანი, რომელიც, ვთქვათ, ფილოსოფიურ პრობლემებს იკვლევს (ე.ი. გნოსეოლოგიური სუბიექტია) შეიძლება, რა თქმა უნდა, თვითონვე იქცეს ფილოსოფიური, სოციოლოგიუ-
ვა

რი, ფსიქოლოგიური, ბიოლოგიური და ა.შ. შესწავლის საგნად (ე.ი. გნოსეოლოგიურ ობიექტად), მაგრამ ეს უკანასკნელი აუცილებლობას არ წარმოადგენს. პიროვნება შეიძლება მხოლოდ გნოსეოლოგიური სუბიექტი ან მხოლოდ გნოსეოლოგიური ობიექტი იყოს. იგივე უნდა ითქვას მორალური, რელიგიური და სხვა განზომილებების მიმართ, გარდა ესთეტიკურისა. ყოვლად შეუძლებელია პიროვნება ესთეტიკურ ობიექტად იქცეს, თუ იგი, პირველ რიგში ესთეტიკური სუბიექტი არაა და პირიქით. ამიტომ ხედვის რომელი წერტილიდანაც არ უნდა ვუყურებდეთ ესთეტიკურ პიროვნებას, სულერთია, იგი ყოველთვის წარმოგვიდგება როგორც სუბიექტისა და ობიექტის დიალექტიკური ერთიანობა. სუბიექტ-ობიექტის აღნიშნულ ურთიერთმიმართებას ესთეტიკურ პიროვნებაში თავისი მიზნობრივ-მიზეზობრივი პირობადებულობა გააჩნია.

გ) დიდი, უაღრესად დიდი სიამოვნებაა ინდივიდისათვის იმის შეგნება, რომ იგი სხვებისათვის ესთეტიკურ ობიექტს, ე.ი. ესთეტიკურად სასიამოვნო პიროვნებას წარმოადგენს. მაგრამ ესთეტიკურ ობიექტად ყოფნა პიროვნების აბსოლუტური თვითკმაყოფილების გარანტიას არ იძლევა. ერთი შეხედვით, თითქოს პირიქითაცაა: სხვებისათვის სასიამოვნო ობიექტად ყოფნა პიროვნებას საკუთარი სიამოვნების დათრგუნვის ხარჯზე უხდება. მართლაც, მოდა-კოსმეტიკის შესახებ რომ არაფერი ვთქვათ, რაც გამუდმებულ ყურადღებას მოითხოვს და არსებითად სხვა არა არის რა თუ არა საზოგადოებაში დადგენილი ნორმებისადმი დაქვემდებარება, პიროვნების, როგორც პიროვნების შეზღუდვის ფაქტს ემყარება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მონაწილეობაც, ქცევის კულტურაც და ა.შ. მე ვიცნობ, მაგალითად, ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის რექტორს, რომელიც მიღებაზე მასთან შესულ სტუდენტებსაც კი (თანამშრომლებსა და გარედან მოსულ მნახველებზე არაფერს ვამბობ) ფეხზე წამოდგო-

მითა და თავაზიანი ხელისჩამორთმევით ხვდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ რექტორს ზოგჯერ დღეში ასამდე კაცის მიღება უხდება, ადვილი წარმოსადგენია მისი თავაზიანობის "სიმძიმე". ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბება, რაც ყოველთვის, კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე აღზრდის უმთავრეს მიზანს შეადგენდა, უწინარეს ყოვლისა, პიროვნების ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი ს ს ა - ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი ს ა დ მ ი მ ი - ს ა დ ა გ ე ბ ა ს გულისხმობდა.

მაგრამ საზოგადოების ინტერესებისადმი პიროვნების ინტერესების მისადაგება ყოველთვის ამ უკანასკნელის დათრგუნვის გზით რიდი ხდება. უაზრობა იქნებოდა, რა თქმა უნდა, ამ მხრივ ანტიკურობისა და შუა საუკუნეების, აღორძინების ეპოქისა და მონარქიული დესპოტიზმის ეპოქების ერთ სიბრტყეზე დაყენება. ასევე, ჰარმონიული პიროვნების სოციალისტური იდეალი რადიკალურად განსხვავდება კაპიტალისტურისაგან. გარემომცველ სინამდვილესთან ადამიანის დამოკიდებულების მოწესრიგების გზა ჩვენში პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესების გადაკვეთის წერტილზე გადის. საქმე ადამიანს, უწინარეს ყოვლისა, სიამოვნებას ანიჭებს საზოგადოების წინაშე თავისი მოვალეობის შეგნებაც და ამ მოვალეობის კონკრეტული რეალიზაციის პროცესიც. მით უფრო სასიამოვნოა ადამიანისათვის საკუთარი თავის ესთეტიკურ ობიექტად განცდა. აღნიშნულის გამო და, აგრეთვე იმის გამო, რომ ესთეტიკურ ობიექტად ყოფნა გარკვეულ თავისუფლებას ანიჭებს პიროვნებას, იგი, ამავე დროს, ე ს თ ე ტ ი კ უ რ ს უ ბ ი ე ქ ტ ა დ ა ც იქცევა. მაგრამ პიროვნებას სრულებითაც არ აწყობს ესთეტიკური სუბიექტი იყოს მხოლოდ "ამავე დროს". მ ი ს ი მ თ ა ვ ა რ ი მ ი ზ ა ნ ი ს წ ო რ ე დ ე ს თ ე ტ ი კ უ რ ს უ ბ ი ე - ქ ტ ა დ ყ ო ფ ნ ა ა . რას ნიშნავს ესთეტიკურ სუბიექტად

ყოფნა?

ე) ამ კითხვაზე ყველაზე ზოგადი და ამდენად ყველაზე უმტკივნეულო პასუხი ალბათ, ასეთი იქნებოდა: *ესთეტიკური ცდის სუბიექტად ყოფნას*. მართლაც, ადამიანის შესახებ, როგორც ესთეტიკურ სუბიექტის შესახებ ლაპარაკი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა იგი ესთეტიკურ ცდაშია. მაგრამ ესთეტიკური ცდა და მისი სუბიექტი რაღაა?

ესთეტიკური ცდის სუბიექტის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი *სიამოვნება-უსიამოვნების განცდაა*. გნოსეოლოგიური და ეთიკური სუბიექტებისაგან განსხვავებით, რომელთაგან პირველი პასუხს ეძებს კითხვაზე: *რა არის ობიექტი*, ხოლო მეორე *ამ ობიექტისადმი თავის დამოკიდებულებას არკვევს*, *ესთეტიკური სუბიექტი*, უწინარეს ყოვლისა, *განიცდის*: ესთეტიკური სუბიექტი ეს *სიამოვნების ან უსიამოვნების განმცდელი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფია*.

მაგრამ განცდაც არის და განცდაც. თავისთავად ცხადია, რომ ვიტალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით (ან დაუკმაყოფილებლობით) გამოწვეული განცდა ესთეტიკური სუბიექტის პირობა ვერ იქნება. ესთეტიკური სუბიექტის პირობას ვერც სხვა ე.წ. "პრაქტიკული" რიგის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შექმნის. უდიდეს სიამოვნებას განიცდის ალბათ ადამიანი, რომელმაც ნატვრა აისრულა და ლატარიის ბილეთით ავტომანქანა "ვოლგა" მოიგო, მაგრამ ეს სიამოვნება ესთეტიკურ სიამოვნებად არ ჩაითვლება[1].

---

1 ამ დებულების, ისე, როგორც ყველა სხვა დებულების აბსოლუტიზაცია არ შეიძლება. გარკვეულ პირობებში ადამიანის სინამდვილესადმი ვიტალური და პრაქტიკული მიმართულებებიც შეიძლება იქცეს ესთეტიკურ ფენომენად.

და აი მე "უნებლიეთ წამომცდა" ტერმინი, რომელმაც დასმულ საკითხს, თითქოს ნათელი უნდა მოჰფინოს. ეს ტერმინი " ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი  სიამოვნება" გახლავთ. მართლაც, თუ ესთეტიკური სუბიექტის არსებობის აუცილებელი პირობა სიამოვნება-უსიამოვნების განცდაა, ეს განცდა უსათუოდ ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი  უნდა იყოს. მაგრამ რა არის, რას ვგულისხმობს  ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი  გ ა ნ ც დ ა ?

საკითხის ძალიან გაუბრალოებული და საეჭვო გადაწყვეტა იქნებოდა თუ ესთეტიკური განცდის ბუნების დახასიათებისას მხოლოდ ესთეტიკურ ობიექტზე მითითებით დავკმაყოფილდებოდით. ზოგადფსიქოლოგიური თვალსაზრისით შეადარებადია, რა თქმა უნდა, გემრიელი საჭმლისა და სიმფონიური კონცერტის მაგალითი. გემრიელი საჭმლის მიღებით გამოწვეული სიამოვნება ვიტალური სიამოვნებაა, სიმფონიური კონცერტის მოსმენით გამოწვეული კი - ესთეტიკური. მაგრამ სომ შეიძლება, რომ სიმფონიური კონცერტი მე მსიამოვნებდეს არა უსათუოდ მხატვრულობის, არამედ რაიმე სხვა გარემოების გამო. პროფკავშირულ ხელმძღვანელს, რომელმაც სიმფონიური კონცერტის ორგანიზაცია მოაწყო, შეიძლება მუსიკის არაფერი გაეგებოდეს, მაგრამ სახე მაინც, სამსახურებრივი მოვალეობის მოხდის გამო, სიამოვნებისაგან გაბადრული ქონდეს. თავისთავად ცხადია, რომ ადამიანი, რომელიც, ვთქვათ "ჯორჯონეს""მძინარე ვენერას" ან მანეს "ოლიმპიას" აღიქვამს, როგორც პორნოგრაფიას და რომლის სიამოვნება, ჩვეულებრივ, შიშველი ქალის ნახვით გამოწვეულ სიამოვნებაზე დაიყვანება, ესთეტიკურ სუბიექტად ვერ ჩაითვლება.

სრულიად აშკარაა, რომ ესთეტიკური სიამოვნება (ან უსიამოვნება) და, აქედან გამომდინარე, ესთეტიკური განცდა, როგორც ესთეტიკური სუბიექტის არსებობის პირობა განსაკუთრებული რიგის მოთხო-

ენილების დაკმაყოფილებასთან (ან დაუკმაყოფილებლობასთან) არის დაკავშირებული. ანალოგის ძალით, ალბათ, ყველაზე უპრიანი იქნება თუ მას **ე ს თ ე ტ ი კ უ რ   მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა ს** ვუწოდებთ.

არასპეციალისტებზე, რომ არაფერი ვთქვათ, ესთეტიკური მოთხოვნილება ხშირად სპეციალისტებთანაც კი სილამაზით ტკბობის მოთხოვნილებასთანაა გაიგივებული. ეს ცხადია, სწორი არ არის. როგორც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში თავის დროს მოსწრებულად იყო შენიშნული, ესთეტიკური მოთხოვნილება და სილამაზით ტკბობის მოთხოვნილება ისე არ ემთხვევიან ერთმანეთს, როგორც მოთხოვნილება გემრიელ და ტკბილ საჭმელზე. მართლაც, ხომ არ შეიძლება იმის სერიოზული მტკიცება, რომ ადამიანები, ვთქვათ, ტრაგედიის სანახავად თეატრში სილამაზით ტკბობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით მიდიან?

მოიძებნებიან, რა თქმა უნდა, სპეციალისტები, რომლებიც დასმულ კითხვას სწორედ დადებით პასუხს გასცემენ. ამ სპეციალისტთა არგუმენტაცია, ჩვეულებრივ, ან ტრაგიკულის მშვენიერზე დაყვანის იდეას ემყარება, ან იმას, რომ ხელოვნების ყველა ჭეშმარიტი ნაწარმოების (მათ შორის ტრაგედიული ჟანრის ნაწარმოების) საბოლოო ამოცანა მშვენიერების წვდომაში მდგომარეობს. აღნიშნულ არგუმენტთა სანდოობა, რომც თუნდაც ამჯერად ვცნოთ (რაც სინამდვილეში ასე არაა) სულ ცოტა ორი საკითხი მაინც გასარკვევი რჩება:

1) რად დასჭირდა კაცობრიობას მშვენიერების წვდომის არაპირდაპირი (ტრაგიკული) გზა და რატომ მიმართავენ ამ გზას ასეთი ხალისით ადამიანები და 2) რატომ და როგორ გვანიჭებენ ესთეტიკურ სიამოვნებას მოვლენები, რომლებიც ხელოვნების სფეროს არ მიეკუთვნებიან და რომელთაგან ბევრი (ვთქვათ, ჭექა-ქუხილი, ჩანჩქარ ხმაური, სიძნელეების დაძლევის პროცესი და ა.შ.) სილამაზის ნი-

შანი, როგორც ასეთი, არ მიეწერება.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ აქ საკითხი ე ს-თ ე ტ ი კ უ რ ი ს   ა რ ს ე ბ ი ს   ჭრილში დგება. მკითხველი უნდა დავარწმუნო, რომ მე ახლა ცდუნებას არ ავყვები და ესთეტიკურის უძირო პრობლემის გახსნას არ დავიწყებ. მაგრამ, როგორც ჩანს, მთლად არც უამისობა იქნება. იმისათვის, რომ ესთეტიკური მოთხოვნილების და, ამის საფუძველზე, ესთეტიკური ცდის სუბიექტის ბუნება გავარკვიოთ ესთეტიკურზე, როგორც ასეთზე, გარკვეული წარმოდგენა მაინც უნდა გვქონდეს.

ესთეტიკურის ცნების ქვეშ, ჩვეულებრივ, ყველაზე მარტივი გაგებით მოიაზრებენ იმ საგნებსა და მოვლენებს, რომელთაც სილამაზის, ამაღლებულის, ტრაგიკულის და ა.შ. ნიშნები მიეწერებათ. მიუხედავად გარეგნული ბანალურობისა, საკითხის ამგვარი დაყენება გარკვეულ აზრს მოკლებული როდი გახლავთ. რამდენადაც ესთეტიკური გვეძლევა მხოლოდ ცდაში, მას, ცხადია, პირველ რიგში, განსაზღვრულ საგნებთან და მოვლენებთან მიმართების ხასიათი აქვს. უფრო გარკვევით, რომ ვთქვათ, ადამიანის ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, ისე, როგორც ყოველგვარი ადამიანური მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საერთოდ, გარკვეული ობიექტების არსებობაა აუცილებელი.

ასეთი ობიექტის როლში ამოსავალი, ხშირად ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვავებული ს განი ან მოვლენა გამოდის. მაგ. ადამიანს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს, ე.ი. მის ესთეტიკურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს ხელოვნების დარგთა და მხატვრული შემოქმედებაც, შრომის პროცესიც და შრომის პროდუქტების დარგთაც, ადამიანის გარეგნული ფვრეკაც და მასთან რეალური კონტაქტებიც, ბუნების მოვლენებიც და ზებუნებრივ მოვლენებზე ოცნებაც. რა თქმა უნდა, ხელოვნების არც ყოველი ნაწარმოები ანიჭებს ესთე-

ფიკურ სიამოვნებას, არა ყოველგვარი შრომა და მისი შედეგი გა-ნიცდება ესთეტიკურად, არა ყოველ ადამიანთან მეხვედრია ესთეტი-კური ფაქტი და ა.შ. მაგრამ ახლა მთავარი ეს არაა. მთავარია ის, რომ ადამიანი ესთეტიკური ტკბობის დაუშრეტელ წყაროს პოულობს შრომაშიც და მხატვრულ შემოქმედებაშიც, საზოგადოებრივ ცხოვრე-ბაშიც და ბუნებაშიც. რატომ?

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ აქ საკითხი მათ მი-რის საერთო ძირის, ე.ი. სიამოვნება-უსიამო-ვნების განცდის საერთო ძირის და-ძებნის შესახებ დგას. სიზიფის შრომა იქნებოდა, რომ "ეს ძი-რი" წმინდა ობიექტური ნიშნის სახით გვეძებნა. როგორც ცნობი-ლია განცდა სუბიექტის მდგომარეობაა და არა ობიექტის ასახვა-დახასიათება. ეს იმას ნიშნავს, რომ პრობლემის გასაღები, უწი-ნარეს ყოვლისა, სუბიექტის სფეროში უნდა ვეძიოთ. მაინც სად?

გ) ზე ზემოთ, ვეხებოდი რა საკითხს ადამიანის მიერ თავისთა-ვის ესთეტიკურ ობიექტად წარმოდგენა-განცდის შესახებ, მივანიშნე თავისუფლებაზე, როგორც სიამოვნების განცდის იმანენტურ ძალაზე, თუ ამ მინიშნებას მაშინ სასხვათაშორისო და ამდენად არა განზო-გადოებული ხასიათი ჰქონდა, ახლა სრულიად გარკვევით უნდა ით-ქვას, რომ ესთეტიკური ეს, უწინარეს ყოვლისა, თა-ვისუფლების განცდაა. მკითხველი რომ ზედმეტი პრობლემატიკით არ გადავტვირთო, ბარემ აქვე აღვნიშნავ, რომ ადამიანური მოღვაწეობის მრავალფეროვან ფორმათა ესთეტი-კურ გამაერთიანებელს საერთო თავისუფ-ლება წარმოადგენს. თუ გზას უფრო შევამოკლებთ და უშუალოდ სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების პრობლემას მივადგებით, აღ-მოჩნდება, რომ აღნიშნული პრობლემა არსებითად ყოველთვის თავი-სუფლების პრობლემაა. სრულყოფილი ესთეტიკუ-

რი პიროვნების ჩამოყალიბება და უმაღლესი თავისუფლების განხორციელება ტოლფასოვანი ცნებებია.

გამოდის, რომ ჩვენს წინაშე გადაიშალა შესანიშნავი პერსპექტივა სრულყოფილი ეთიკური პიროვნების, როგორც ეთიკური აღზრდის საბოლოო მიზნის არსების გარკვევისა. მართლაც, თუ სრულყოფილი ეთიკური პიროვნების ჩამოყალიბება და უმაღლესი თავისუფლების განხორციელება ტოლფასოვანი ცნებებია, მაშინ ამ უკანასკნელის შინაარსის დადგენა პირველის შინაარსის დადგენის ტოლფასოვანი ყოფილა. მაგრამ რას ნიშნავს, რა შინაარსს მოიცავს უმაღლესი თავისუფლების ცნება?

კაცობრიობის ისტორიისათვის თვალის ერთი გადავლებით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს თავისუფლების მთელი აზრი პოლიტიკურ თავისუფლებაზე დაიყვანებოდეს. მაგრამ ეს შთაბეჭდილება აშკარად მოჩვენებითია. თუნდაც ის ფაქტი, რომ პოლიტიკურად თავისუფალი საზოგადოება – პირველყოფილი თემური წყობილება – გადადის ექსპლოატაციაზე დამყარებულ საზოგადოებაზე – მონათმფლობელობაზე და ეს გადასვლა ისტორიაში უდიდეს პროგრესს მოასწავებდა, თვალნათლივ მეტყველებს პოლიტიკური თავისუფლების კაცობრიობის უმაღლეს მიზნად წარმოდგენის უსაფუძვლობაზე. საკითხის გაუბრალოებად, ალბათ არ ჩამეთვლება თუ ვიტყვი, რომ პოლიტიკური თავისუფლებისათვის წარმოებული ტიტანური ბრძოლები, რითაც აღსავსეა კაცობრიობის ისტორია; უპირატეს ყოვლისა, ეკონომიური თავისუფლების პრობლემის გადაჭრის ამოცანებს ემსახურებოდა. მაგ. წინააღმდეგობა საწარმოო ძალებს და წარმოებით ურთიერთობას შორის, რაც წარმოების ერთი წესიდან მეორეზე გადასვლის აუცილებლობას აყენებდა (და საბოლოოდ წყვეტდა კიდეც) არსებითად მატერიალური დოვლათის შექმნისა და მისი განაწილების წესს შორის

წინააღმდეგობის გამოხატულება იყო.

იქნებ სწორედ ეკონომიურ თავისუფლებაში მდგომარეობს უმაღლესი თავისუფლების და, მაშასადამე, სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების აზრიც? ცხადია, რომ არა. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ბევრი თანამედროვე მეშჩანი უმაღლესი ესთეტიკური პიროვნების პიედესტალზე უნდა აგვეყვანა. აკი მათ, რადაც მანქანების წყალობით შესძლეს მყარი ფინანსური მდგომარეობის მოპოვება, რაც, როგორც ვიცით სრული ეკონომიური კეთილდღეობის გარანტიას იძლევა. მაგრამ იმის გარდა, რომ თანამედროვე მეშჩანს მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა მოხმარების არავითარი კულტურა არ გააჩნია, ფული მის ხელში თავისებურ ბორკილად (და არა თავისუფლების კვერთხად) იქცევა. საქმე ისაა, რომ იგი ან დაგროვების წვრილბურჟუაზიულ-პათოლოგიური ფსიქოლოგიის ჭაობში ეშვება ან საგნების ყურმოჭრილი მონა ხდება. ეკონომიური თავისუფლება სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების რანგში ვერ ადამაღლებს ვერც ბურჟუას, ვისთვისაც, თითქოს ესთეტიკური კულტურა უცხო არ არის. ადამიანი, რომლის უმაღლესი პრინციპი მაქსიმალური მოგებაა და რომელიც ყველაფერს ამ პრინციპს უმორჩილებს, ცხადია თავისუფლების განხორციელება ვერ იქნება.

ერთი სიტყვით, პოლიტიკური თავისუფლებაც და ეკონომიურიც წარმოადგენს კაცობრიობის ა რ ა მ ი ზ ა ნ ს , არამედ ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ს უ მ თ ა ვ რ ე ს ი მ ი ზ ნ ი ს მისაღწევად. რა არის ეს მიზანი? რამდენადმე დამაკმაყოფილებელ პასუხს დასმულ კითხვაზე, ალბათ მთელი მონოგრაფიის ჩაკითხვის შემდეგ მივიღებთ. ამჯერად კი უმაღლესი თავისუფლების, როგორც კაცობრიობის უმთავრესი მიზნის მხოლოდ ზოგადი განმარტებით დავკმაყოფილდები. უ მ ა ღ ლ ე ს ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა - ე ს ა რ ი ს ა დ ა მ ი ა ნ ი ს ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ს-

თან (გარემომცველ სამყაროსთან) სრული ჰარმონია, რომლის დროსაც შესაძლებელი ხდება მისი, როგორც ადამიანის არსობრივი ძალების მაქსიმალური გამოვლენა. უმაღლესი ადამიანური სიამოვნების წყაროს სწორედ ადამიანის არსების გამოვლენა (პროცესიც და შედეგიც) წარმოადგენს.

მკითხველს, რა თქმა უნდა, მოეხსენება, რომ იდეალური საზოგადოება, საითკენაც მიისწრაფვის კაცობრიობა და სადაც უნდა მოხდეს სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების ჩამოყალიბება ანუ უმაღლესი ადამიანური თავისუფლების განხორციელება, არის კომუნიზმი. "უნდა მოხდესო", რომ ვამბობ, მხედველობაში მაქვს არა მარტო (და არა უბრალოდ) სურვილი და მისწრაფება, არამედ კაცობრიობის განვითარების ისტორიული კანონზომიერება. კომუნისტური საზოგადოების დროს სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების ჩამოყალიბების არა მარტო რეალური პირობები და შესაძლებლობები შეიქმნება, არამედ აუცილებლობაც.

სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების ჩამოყალიბების ეს აუცილებლობა, ცხადია, გაუბრალოებულად არ უნდა გავიგოთ. საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს კომუნისტური საზოგადოება ავტომატურად, ყოველგვარი ჩარევების გარეშე "შობს" სრულყოფილ ესთეტიკურ პიროვნებას. ამ ლოგიკით დღეს ჩვენში მაღალი ესთეტიკური კულტურის მქონე პიროვნების პრობლემა მოგვარებული უნდა იყოს, რადგან, როგორც ვიცით, განვითარებული სოციალიზმი სწორედ ასეთი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებლობას გულისხმობს. სამწუხაროდ ეს ასე არაა. რა რიგ სოლიდურადაც არ უნდა გამოიყურებოდეს საბჭოთა ადამიანის ესთეტიკური კულტურა საერთოდ აღებული, ფაქტია, რომ ჩვენს შორის ჯერ კიდევ საკმაოდ მოიპოვებიან სოციალიზმისა-

თვის უცხო, ანტაგონური ელემენტები (მეშჩანები, ბიუროკრატები, მექრთამეები და ა.შ.). უდავოდ შეცდომას დავუშვებდით, თუ აღნიშნული გარემოების ახსნისას იმაზე აკადემიური მითითებით დავკმაყოფილდებოდით, რომ "ცნობიერება ჩამორჩება ყოფიერებას". დიახ, ცნობიერება, ჩვეულებრივ, ჩამორჩება ყოფიერებას, მაგრამ კაცობრიობა, ალბათ ჯერ კიდევ ველურობის დონეზე იქნებოდა, რომ იმავე ცნობიერებას უნარი არ ქონდეს წინ გატყორცნისა და სინამდვილის იდეალური მოდერნიზაციისა. ადამიანები არასოდეს ელოდებიან ბუნების წყალობას. მით უფრო არ შეიძლება მოვლენათა გარედან მეშყურადის როლში დავრჩეთ, როცა საქმე თვით ადამიანის გარდაქმნას შეეხება.

ერთი სიტყვით, სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების ჩამოყალიბება კომუნისტურ საზოგადოებაში თავისთავად, "გარედან ჩარევის გარეშე" არ მოხდება. კაცმა, რომ თქვას, კომუნისტური საზოგადოების შესახებ ლაპარაკი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების გარეშე არც შეიძლება. კომუნიზმი არა მარტო ადამიანთა სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას გულისხმობს, არამედ ამ მოთხოვნილებათა მაქსიმალურ ადამიანურობასაც. კომუნიზმის მშენებლობა და სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების ჩამოყალიბება ერთიანი დიალექტიკური პროცესია. და როგორც შეუძლებელია კომუნიზმის აშენება საზოგადოების ეკონომიურ-სოციალური და იდეურ-კულტურული მართვის მეცნიერული სისტემის გარეშე, ასევე წარმოუდგენელია სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების ჩამოყალიბება აღზრდის საერთოდ და, კერძოდ ესთეტიკური აღზრდის სისტემის გარეშე. მაგრამ რა არის ესთეტიკური აღზრდა? თუ გავითვალისწინებთ ყოველივე იმას, რაც ზემოთ ითქვა, დასმულ კითხვაზე ოპტიმალური პასუხი, ვფიქრობ, ასეთი იქნება: ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი  ა ღ ზ

რა ეს არის განუწყვეტელი ისტორიული პროცესი, რომელსაც ღონისძიებათა გარკვეული სისტემის მეშვეობით საზოგადოება წარმართავს და რომლის საბოლოო მიზანი სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების (homo aesthetikus). ჩამოყალიბებაში ანუ უმაღლესი ადამიანური თავისუფლების განხორციელებაში მდგომარეობს.

## თავი მეორე: ესთეტიკური აღზრდის ადგილის შესახებ კომუნისტური აღზრდის სისტემაში

### § 1. საკითხის დასმა

1. არა მგონია, რომ საკითხი, რომელიც წინამდებარე თავშია წამოჭრილი, რაიმე განსაკუთრებულ გამართლება-დასაბუთებას საჭიროებდეს. გასარკვევია რა არის ესთეტიკური აღზრდა და სრულიად ბუნებრივად დგება საკითხი კომუნისტური აღზრდის სისტემაში მისი ადგილისა და როლის შესახებ. მე უფრო, რომ დღემდე თითქმის ყველა სპეციალისტი ესთეტიკურ აღზრდას მიიჩნევს, როგორც კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. ვიდრე ესთეტიკური აღზრდის კომუნისტურ აღზრდასთან მიმართება კარგად არ გაირკვევა, მისი არც თეორიული მოდელის დასრულებულობის შესახებ ლაპარაკი შეიძლება და არც პრაქტიკის მიზანწარმართული ორგანიზაციისა.

იმისათვის, რომ კომუნისტური აღზრდის სისტემაში ესთეტიკური

აღზრდის ადგილი და როლი გაირკვეს, მარტო ამ უკანასკნელის არსების ცოდნა, ცხადია საკმარისი არ არის. საჭიროა აგრეთვე კომუნისტური აღზრდის ცოდნაც. მართლაც თუ კომუნისტური აღზრდა სისტემაა, რომელიც ესთეტიკურ აღზრდას მოიცავს, როგორც ქვესისტემას, ჯერ სწორედ მის გარშემო უნდა გვქონდეს სრული წარმოდგენა. მაშინ კი, თუ ეს ასე არ არის, კომუნისტური აღზრდის არსების ცოდნის გარეშე შორს ვერ წავალთ.

მაგრამ რა არის კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი  ა ღ ზ რ დ ა ? სამწუხაროდ, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ამომწურავ პასუხს ვერც ამ კითხვაზე ვხვდებით. და აღნიშნული გარემოება ქმნის სერიოზულ სიძნელეს კომუნისტური აღზრდის არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის გზაზე. აქ არ შეიძლება არ მოვიგონოთ დიდი რუსი პედაგოგის კ.უშინსკის მეტად ჭკუასასწავლი სიტყვები: "რას იტყოდით თქვენ - მიმართავს იგი მკითხველს - იმ არქიტექტორზე, რომელიც ახალ შენობას საფუძველს უყრის, თუ ვერ შესძლებს გიპასუხოთ კითხვაზე, მან რა უნდა ააშენოს... იგივე უნდა ითქვას აღმზრდელზე, რომელიც ვერ შესძლებს ნათლად და ზუსტად განსაზღვროს მიზანი მისი აღმზრდელობითი საქმიანობისა"[1].

ვახასიათებდი რა ესთეტიკური აღზრდის გაგების სფეროში არსებულ ხარვეზებს, მე მათ ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მოვიხსენიე ესთეტიკური აღზრდის პრობლემისადმი აბსტრაქტული, განყენებულ-ისტორიული მიდგომის პრაქტიკა. იგივე უნდა ითქვას კომუნისტური აღზრდის მიმართაც. ვინც კომუნისტური აღზრდის რაობისადმი მიძღვნილ ლიტერატურას გასცნობია, მას უთუოდ მოხვედრია თვალში ის გარემოება, რომ კომუნისტური აღზრდა აქ ხან დღევანდელი ამოცანების ასპექტშია წარმოდგენილი, ხან - განვითარებული სოცია-

1 კ.დ.უშინსკი, თხზ., ტ.8, მ-ლ, 1950, გვ. 17.

ლიზმის მთელი პერიოდის ამოცანებისა, ხან – კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდის ამოცანებისა და ხან კიდევ – დასრულებული კომუნისტური საზოგადოების ამოცანებისა. განხილვის ყველა ასპექტი, რა თქმა უნდა, აუცილებელი და კანონზომიერია, მაგრამ საქმე ისაა, თუ რომელს მივიჩნევთ კომუნისტური აღზრდის მთავარ მოდელად. სრულიად უდავოა, რომ კომუნისტური აღზრდას თავისი საბოლოო მიზანი და სუბმიზანი გააჩნია და, მაშასადამე, საკითხი რ ა ა რ ი ს კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი ა ღ ზ რ დ ა კონკრეტულად ამ მიზანთა განასერში უნდა გადაწყდეს.

ვლაპარაკობთ რა კომუნისტური აღზრდის საბოლოო მიზნისა და სუბმიზნის შესახებ, საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს პირველი მხოლოდ თეორიის სფეროს განეკუთვნებოდეს, მეორე – პრაქტიკისა. არ არსებობს აღზრდის თეორია პრაქტიკის გარეშე და პირიქით. მით უფრო შეუძლებელია კომუნისტური აღზრდის დღევანდელი ამოცანებისა და საბოლოო ამოცანების დაპირისპირება, რამეთუ განვითარებული სოციალიზმი, რაც ჩვენი ცხოვრების რეალური მდგომარეობაა დღეს და რაც, მაშასადამე, კომუნისტური აღზრდის შინაარსს განსაზღვრავს თანამედროვე პერიოდისათვის, სხვა არა არის რა, თუ არა საკუთრივ კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზის განვითარების უმაღლესი ეტაპი, ე.ი. ისტორიული მიჯნა, რომლის შემდეგ ან უფრო ზუსტად რომლის წიაღში იწყება კომუნიზმი.

აღზრდის წინაშე ყოველთვის, კაცობრიობის განვითარების ყოველ ეტაპზე ო რ მ ა გ ი , დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ ა დ უ რ თ ი ე რ თ შ ე მ ვ ს ე ბ ი ამოცანა იდგა. ერთის მხრივ, იგი (ეს ამოცანა) კონკრეტულ-ისტორიულ შ ი ნ ა ა რ ს ს ა ტ ა რ ე ბ დ ა , მეორეს მხრივ – ზ ო გ ა დ ს ა კ ა ც ო ბ რ ი ო ს.

პირველის არსი ადამიანის (ინდივიდის, კოლექტივის, მთელი საზოგადოების) ცხოვრებისათვის, მოცემულ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში ნორმალური ცხოვრებისეული საქმიანობისათვის მომზადებაში მდგომარეობს. მეორისა – ადამიანის, როგორც ადამიანის სრულყოფაში

მკითხველს, რა თქმა უნდა, მოეხსენება (და ამაზე გაკვრით აქაც იყო მინიშნებული), რომ აღზრდა ერთიანი, დაუნაწევრებელი პროცესია, რომელშიაც ერთდროულ განხორციელებას პოულობს ადამიანის, როგორც ცხოვრებისათვის მომზადების, ისე მისი საერთო სრულყოფის ამოცანები. აღზრდის ეს დიალექტიკა ადვილი გასააზრებელია ადამიანის ცხოვრებისათვის მომზადების კონკრეტულ-ისტორიული ამოცანის ფონზე. ეს ამოცანა, როგორც ვიცით ორ ძირითად ქვეამოცანას შეიცავს: 1) პროფესიულ მომზადებას და 2) მოქალაქეობრივ მომზადებას. პირველი გულისხმობს: ფოლადის მდნობელის, ტრაქტორისტის, ინჟინრის, ექიმის და ა.შ. მომზადებას, მეორე – მოცემული საზოგადოების წევრის (მოქალაქის) მომზადებას. მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი საქმეა და ამის გარეშე საზოგადოებრივი ცხოვრება წარმოუდგენელია, მაგრამ მარტო ეს საკმარისი არ არის. კარგ სპეციალისტთან ერთად, აუცილებელია, აგრეთვე კარგი ადამიანის აღზრდა. კარგი ადამიანის ცნება აქ ცალმხრივად, მხოლოდ მორალურ განზომილებაში არ უნდა წარმოვიდგინოთ. კარგი ადამიანი ეს არის სრულყოფილი ადამიანი საზოგადოების განვითარების მოცემული ეტაპისათვის. მაგ-

რამ სრულყოფილი ადამიანის ცნება ხომ მაღალკვალიფიციური სპე-ციალისტის შინაარსსაც მოიცავს? გამოდის, რომ სრულყოფილი ადა-მიანის აღზრდა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება ერთიანი პროცესი ყოფილა. თუ გავითვალისწინებთ, რომ სრულყოფი-ლი ადამიანი საზოგადოების განვითარების მოცემული ეტაპისათვის თვითონვეა გ ა რ კ ვ ე უ ლ ი  ე ტ ა პ ი  საერთოდ ადამია-ნის სრულყოფისაკენ მიმავალ გზაზე, მაშინ საკითხის არსი კიდევ უფრო ნათელი გახდება.

აღზრდის განხილვა, როგორც ე რ თ ი ა ნ ი  პროცესისა, ცხა-დია, მის მორფოლოგიურ ე რ თ ს ა ხ ო ვ ნ ე ბ ა ზ ე  ლაპარაკის უფლებას არ იძლევა. პედაგოგიკისათვის ცნობილ მრავალ სხვა გან-შტოებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ძალაში რჩება აღზრდის ორი ძირი-თადი განზომილება: კონკრეტულ-ისტორიული და ზოგადსაკაცობრიო. ამ განზომილებათა საზღვრების მკაფიოდ გამოყოფა-გამოკვეთას არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. აღ-ზრდის, როგორც მოცემულ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში ადამია-ნის ცხოვრებისათვის მომზადების პროცესისა და, როგორც ადამიანის საერთო სრულყოფის პროცესის თავისებურებები ურთიერთშედარების ფონზე დახლოებით ასე გამოიყურება: პირველი რ ა ო დ ე ნ ო ბ - რ ი ვ ო ბ ი ს  სფეროს მიეკუთვნება, მეორე - თ ვ ი ს ო ბ - რ ი ო ბ ი ს ა  (პირველ შემთხვევაში მთავარია მოცემული საზოგა-დოების ყველა წევრის მომზადება ცხოვრებისათვის, ე.ი. ყოველ-დღიური პრაქტიკული მოღვაწეობისათვის, მეორეში - საერთოდ ადამიანის სრულყოფა), პირველის ცენტრში ს ი ნ ა მ დ ვ ი - ლ ე ა  მოქცეული, მეორეში - ა დ ა მ ი ა ნ ი . ( პირველ შემთხვევაში მთავარია ადამიანის მისადაგება რეალურ სინამდ-

ვოლუციას[1]. მეორეში – სწორედ სინამდვილის გარდაქმნა სრულყოფილი ადამიანის მოდელისდა შესაბამისად); პირველი თავისი ხასიათით ს ტ ა ტ ი კ უ რ ი ა , მეორე – დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი (პირველ შემთხვევაში აღზრდის მთავარი ამოცანა მყარი პიროვნული თვისებების ანუ სტერეოტიპის ჩამოყალიბებაა, მეორეში – ადამიანის, როგორც ადამიანის სრულყოფა, რაც, თავისთავად, ხანგრძლივი პერმანენტული პროცესია); პირველის ნიმუშებს თვით ც ხ ო ვ რ ე ბ ა იძლევა, მეორისას – ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა (პირველ შემთხვევაში, ჩვეულებრივ სტერეოტიპი მოიაზრება, მეორეში – იდეალური ადამიანი, რომლის კონტურები მხოლოდ მხატვრული სახე შეიძლება იყოს).

2. ყოველივე ის, რაც ზემოთ აღზრდის განზომილებებზე ითქვა მთლიანად შეიძლება განვავრცოთ კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ა ღ ზ რ დ ა ზ ე ც . კომუნისტურ აღზრდასაც თავისი მთავარი ამოცანა და სუბამოცანა გააჩნია. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ კომუნისტური აღზრდის სუბამოცანა (კონკრეტულ-ისტორიული ამოცანა) უმლდა შეწნული კომუნისტური აღზრდის საბოლოო ამოცანაში და სტე-

1 ადამიანის რეალურ სინამდვილესთან მისადაგება, გულისხმობს მის თანამედროვეობასთან მისადაგებას. აღზრდის კონკრეტულ-ისტორიულ ამოცანას სწორედ თანამედროვეობა აყენებს. თანამედროვეობის ცნებაში უნდა მოვიაზროთ: წარმოების განსაზღვრული წესი, საზოგადოების მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების დონე, ადამიანურ მოთხოვნილებათა ხასიათი და ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობანი; მოცემული ერისა და კლასის ინტერესები მოცემული ეტაპისათვის და ა.შ. ადამიანის სწორედ რეალური მდგომარეობის ამ ყალიბში ჩასმას გულისხმობს, უწინარეს ყოვლისა, აღზრდა.

რეჟიმი, რომლის ჩამოყალიბებასაც იგი გულისხმობს არსებითად მომავლის ადამიანის პირველსახე, პირველმოდელია.

კომუნისტური აღზრდის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე, ე.ი. განვითარებული სოციალიზმის პერიოდისათვის ჩამოყალიბებულია უკანასკნელი ათწლეულის პარტიულ და სახელმწიფოებრივ დოკუმენტებში (სკკპ ყრილობების მასალებში, პარტიის ცკ-ის დადგენილებებში იდეოლოგიის საკითხებზე და ა.შ.). განსაკუთრებით მკაფიოდ ეს ამოცანები გამოიკვეთა სკკპ XXV ყრილობაზე. "სკკპ XXV ყრილობამ შეიმუშავა კომუნიზმის გზით შემდგომი წინსვლის მკაფიო პოლიტიკური გეზი, სტრატეგია და ტაქტიკა, ზუსტად განსაზღვრა თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიური მუშაობის ძირითადი მიმართულებანი. ყრილობამ დაგვისახა ამ მუშაობის იდეური დონისა და ეფექტიანობის ამაღლების გზა – კომპლექსური მიდგომა აღზრდის მთელი საქმის დაყენებისადმი: პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ერთიანობა მშრომელთა სხვადასხვა ჯგუფის თავისებურებათა შესაბამისად"[1] სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანები კომუნისტური აღზრდისა თავის შემდგომ გაღრმავებასა და დაზუსტება-დაკონკრეტებას პოულობს სკკპ ცკ-ის დადგენილებაში "იდეოლოგიური, პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ", საიდანაც ამონაწერი ეს ეს არის მოვიტანეთ, სკკპ ცკ-ისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთობლივ დადგენილებაში "უმაღლესი სკოლის შემდგომი განვითარების და სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ" (1979 წ. ივლისი) და სხვა პარტიულ დოკუმენტებში, განსაკუთრებით სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში. სოციალისტური ცხოვრების წესის განმტკიცებასა და ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას, რაც

---

1 იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ (სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 26 აპრილის დადგენილება), თბ., 1979, გვ. 4.

იდეოლოგიური მუშაობის ძირითად მიმართულებად იქნა განსაზღვრული სკკპ XXVI ყრილობაზე, საფუძვლად ისევ და ისევ აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომა, ე.ი. იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ერთიანობა ედება.

ერთი შეხედვით ყველას შეიძლება მოეჩვენოს, რომ აღზრდის სისტემის ამ მოდელში ადგილს ვერ პოულობენ აღზრდის ისეთი ტრადიციული და, გარკვეული აზრით, პირველადი ფორმები, როგორიცაა გონებრივი აღზრდა, ფიზიკური აღზრდა და ესთეტიკური აღზრდა. მაგრამ საკმარისია შედარებით უფრო ღრმად ჩავიხედოთ კომპლექსური აღზრდის სისტემაში, მის ძირითად კომპონენტებსა და მათ შორის ინტერვალებში, რომ სრულიად გარკვევით გამოიკვეთოს გონებრივი აღზრდისა და ფიზიკური აღზრდის ადგილები ამ სისტემაში. რაც შეეხება ესთეტიკურ აღზრდას, მისი ადგილი აქ სრულიად განსაკუთრებულია, რის გამოფენასაც, ცხადია ქვემოთ შევეცდები.

ი დ ე უ რ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი   ა ღ ზ რ დ ი ს შესახებ რომ ლაპარაკობენ, უწინარეს ყოვლისა მხედველობაში აქვთ მ ს ო ფ ლ მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ რ ი ვ ი   ა ღ ზ რ დ ა . მსოფლმხედველობრივი აღზრდის არსება კი, როგორც ვიცით, ადამიანში სწორი მეცნიერული[1] მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში მდგომარეობს. მკითხველს, რა თქმა უნდა, კარგად მოეხსენება თვით მსოფლმხედველობის არსება რაში გამოიხატება, მაგრამ მე მაინც მოვიტან მის იმ განსაზღვრებას, რომელიც მეცნიერული კომუნიზმის სახელ-

---

[1] მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, რა თქმა უნდა, კომუნისტური აღზრდის ამოცანაა. რაც შეეხება ბურჟუაზიულ აღზრდას, ისიც, პირველ რიგში ადამიანში მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად, მაგრამ ეს მსოფლმხედველობა, ემყარება რა ფილოსოფიურ-იდეალისტურ ან რელიგიურ საფუძვლებს, სამყაროს მხოლოდ ყალბ, არამეცნიერულ სურათს ქმნის.

მძღვანელობაშია მოცემული. " მსოფლმხედველობა – ნათქვამია აქ – შეხედულებათა განზოგადოებული, მთლიანი სისტემაა... სამყაროსა და სამყაროში ადამიანის ადგილის შესახებ. მეცნიერული მსოფლმხედველობა ადამიანს აძლევს ნათელ წარმოდგენას ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონების, საკუთარი ცხოვრების მიზნისა და აზრის შესახებ"[1].

მსოფლმხედველობის აქ წარმოდგენილი განსაზღვრიდან სრულიად ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა ადამიანთა გ ო ნ ე ბ რ ი - ვ ი ა ღ ზ რ დ ი ს, მათი ი ნ ტ ე ლ ე ქ ტ უ ა ლ უ რ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს აუცილებლობის შესახებ. მართლაც, ადამიანმა, რომ ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონებზე ნათელი წარმოდგენის და ამის საფუძველზე სამყაროს შესახებ შეხედულებათა განზოგადოებული, მთლიანი სისტემის შემუშავება შესძლოს, ჯერ ბევრი უნდა შეისწავლოს ეს სამყარო. "კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდე – ამბობდა ვ.ი.ლენინი – როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუმუშავებია"[2]. აქ არ შეიძლება, აგრეთვე არ მოვიგონოთ ცნობილი ლოზუნგი, რომელიც თავის დროს ფიგურირებდა ჩვენში და რომელმაც უდავოდ კეთილმყოფელი როლი შეასრულა. "რომ აშენო უნდა იცოდე, რომ იცოდე, უნდა ისწავლო"!

მაგრამ ცოდნა ჯერ კიდევ არ არის მსოფლმხედველობა. "კომუნისტური მსოფლმხედველობა – ეს არა მხოლოდ სამყაროს სწორად ახსნილი თეორიაა, არამედ კომუნისტურ საწყისებზე მისი გარდაქმნისათვის ბრძოლის პროგრამაცაა"[3]. ცოდნის ქმედითობის ეს აუცილებლობა კარგადა ჩანს ზემოთ მოყვანილი ლოზუნგიდანაც, სადაც წინა პლანზე სწორედ შ ე ნ ე ბ ა, ადამიანის სოციალური აქტივობაა წამოწეული.

---

1 მეცნიერული კომუნიზმი, თბ., 1980, გვ. 485.
2 ვ.ი.ლენინი, თხზ., ტ.31, 1952, გვ. 344.
3 მეცნიერული კომუნიზმი, თბ., 1980, გვ. 486.

ცოდნის როლი აქ მთლიანად შეგნებული შენების ფუნქციამდე დაიყვანება. შეგნებული შენება, რა თქმა უნდა, მარტო იმის ცოდნას კი არ ნიშნავს თუ რ ა ს   ა კ ე თ ე ბ , არამედ იმასაც (და პირველ რიგში სწორედ იმასაც) თუ რ ი ს თ ვ ი ს   ა კ ე თ ე ბ:

განსაკუთრებული ადგილი კომუნისტური მსოფლმხედველობის სისტემაში უკავია რწმენას. რწმენა, რა თქმა უნდა, დიდადაა დამოკიდებული ცოდნაზე. თუ მე ვიცი, რომ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა ობიექტურ კანონზომიერებას ექვემდებარება, რომ ამ კანონზომიერებას გარდუვალად მივყევართ მის საბოლოო გამარჯვებამდე, მაშინ მე მაქვს კომუნიზმის რწმენა. მაგრამ კომუნიზმის გამარჯვების რწმენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი უთუოდ ჩემს ს ა კ უ თ ა რ   რწმენას, ე.ი.   მ ს ო ფ ლ მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ რ ი ვ   რწმენას წარმოადგენს. ალბათ ბევრ ქვეყან, განათლებულ ბურჟუასაც სჯერა კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისა, მაგრამ ეს რწმენა მისი კომუნისტური მსოფლმხედველობის პრინციპებზე ყოფნის გარანტიას არ იძლევა. ერთია მეცნიერული რწმენა და მეორეა ი დ ე უ რ ი   რწმენა. მართალია მეცნიერული რწმენა დიდად უწყობს ხელს იდეური რწმენის ჩამოყალიბებას, მაგრამ მათი ერთმანეთზე დაყვანა-გაიგივება ყოვლად დაუშვებელია. მხოლოდ მაშინ შეიძლება კომუნიზმის, როგორც იდეური რწმენის, როგორც მსოფლმხედველობის შესახებ ლაპარაკი, როცა იგი ჩვენი ცხოვრების უ მ თ ა ვ რ ე ს   მ ი ზ ნ ა დ   დ ა   პ ა თ ო ს ა დ   იქცევა.

თავისთავად ცხადია, რომ ადამიანი ვისთვისაც კომუნიზმი საკუთარი ცხოვრების ძირითად მიზნად და პათოსად ქცეულა, კომუნისტური საზოგადოების პასიური მჭვრეტელის როლში ვერ დარჩება; უდაოდ კარგია ადამიანი, რომელიც თუნდაც შორიდან უთანაგრძნობს კომუნიზმის მშენებლობის საქმეს, მაგრამ ასეთი ადამიანი კომუნისტური მსოფლმხედველობის მქონე პიროვნებად ცხადია ვერ ჩაითვლება; კო-

მუნისტური მსოფლმხედველობა გულისხმობს მიცემული ადამიანის კო-მუნისტური საზოგადოების მშენებლობაში უ ც ი ლ ო ბ ე ლ  და ა ქ ტ ი უ რ  მონაწილეობას, რაც განპირობებულია მისი არა მ ა რ ტ ო  შ ე გ ნ ე ბ ი თ,  არამედ  მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე- ბ ი თ ა ც. და რადგან ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილების ფსი-ქოლოგიურ ეკვივალენტს სიამოვნება წარმოადგენს, კომუნიზმის მშენებლობაში მონაწილეობა, როგორც უმაღლესი ადამიანური მოთხო-ვნილების დაკმაყოფილება უდიდესი სიამოვნების მომნიჭებელია ადამიანისათვის.

ამრიგად, კომუნისტური იდეურობა ეს არის "ცოდნის, რწმენისა და პრაქტიკული მოღვაწეობის შენადნობი" (ლ.ბრეჟნევი). აქედან გამომდინარე უკვე ძნელი აღარ არის კომუნისტური აღზრდის სისტე-მაში თავისი განსაკუთრებული ადგილი მოეძებნის შრომას. გარკ-ვეული აზრით შეიძლება ითქვას, რომ კომუნისტური აღზრდა ეს არის სწორედ ადამიანში შ რ ო მ ი ს ა დ მ ი  კ ო მ უ ნ ი ს ტ უ-რ ი  დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს  ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ე-ბ ა.

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შესახებ რომ ლა-პარაკობენ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში აქვთ  შ რ ო მ ი ს  გ ა დ ა ქ ც ე ვ ა  ა დ ა მ ი ა ნ ი ს  პ ი რ ვ ე ლ  ს ა-ა რ ს ე ბ ო  მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა დ. სწორედ აღნიშნული გარდაქმნა უზრუნველყოფს ადამიანის  მ უ დ მ ი ვ  და  შ ე-გ ნ ე ბ უ ლ  მონაწილეობას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა-ში, რაც, ბუნებრივია, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში მონაწილეობას მოასწავებს. მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ მუდმივი და შეგნებული შრომა ადამიანისა მხოლოდ საკუთარი კეთილ-დღეობის ამაღლებისაკენ იყოს მიმართული. ასეთი შრომა, ცხადია, კომუნისტურად ვერ ჩაითვლება. მართალია, კომუნისტური შრომა

ჯერ-ჯერობით არც მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესების ასპექტში შეიძლება იქნას განხილული, იგი უსათუოდ მატერიალურ ანაზღაურებასა და პირად კეთილდღეობასაც გულისხმობს, მაგრამ პირადისა და საზოგადოებრივის ამ ურთიერთობაში განმსაზღვრელი მაინც საზოგადოებრივი უნდა იყოს. სწორედ საზოგადოებრივის წინა პლანზე დაყენება უზრუნველყოფს ადამიანში შ რ ო მ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ ე ბ ი ს ა და შ რ ო მ ი ს ი ა რ ა ღ ე ბ ი ს ა დ მ ი, საერთოდ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი დ ო ვ ლ ა თ ი ს ა დ მ ი გ ო ნ ი ე რ უ ლ - ყ ა ი რ ა თ ი ა ნ ი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რაც კომუნისტური აღზრდის აუცილებელი პირობაა. ადამიანები, რომლებიც თავდადებით შრომობენ და აურაცხელ დოვლათს ქმნიან, მაგრამ ნაკლებად წუხან ამ დოვლათის ბედზე, კომუნისტური სულისკვეთების ადამიანებად ვერ ჩაითვლებიან. საზოგადოების მატერიალურ დოვლათზე ზრუნვა, ცხადია, საერთოდ საზოგადოებაზე და მის წევრებზე ზრუნვას მოასწავებს. კომუნისტური აღზრდის ამოცანებს, რომ აყალიბებდა, ვ.ი.ლენინი წერდა: "ჩვენ ვიმუშავებთ, რათა მასების შეგნებაში, ჩვეულებაში , ყოველდღიურ საქმიანობაში დავნერგოთ წესი: "ყველა -ერთისათვის და ერთი - ყველასათვის", წესი: " თვითეული - თავისი უნარის მიხედვით, თვითეულს - თავისი მოთხოვნილების მიხედვით", რათა თანდათან, მაგრამ განუხრელად შემოვიღოთ კომუნისტური დისციპლინა და კომუნისტური შრომა"[1].

და ბოლოს, კიდევ ერთი ნიშნის შესახებ, რომლის გარეშეც შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სქემა სრული არ იქნება. ესაა შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს ი ლ ა მ ა ზ ი ს კ ა ნ ო ნ ე ბ ი ს მიხედვით. ყოველს, რა თქმა უნდა, ახსოვს კ.მარქსის ცნობილი დებულება იმაზე, რომ " Человек формирует мате-

---

1 ვ.ი.ლენინი, თხზ., ტ.31, გვ. 139.

рдю также и по законам красоты". მ.გორკი ამბობდა: ადამიანი თავისი ბუნებით მხატვარია. კლასობრივ საზოგადოებაში, რომელიც შრომის დამონების, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის სამინელ კანონს ემყარება, არსებითად ჩაკლულ იქნა[1] ადამიანის ეს უძვირფასესი და უკეთილშობილესი უნარი. სოციალისტური საზოგადოება, მით უფრო მისი განვითარების დღევანდელ ეტაპი ჩვენში ქმნის ყოველგვარ პირობას შრომის სრული რეალიზაციისა. პროდუქციის ხარისხის საკითხი, რაც მთელი სიმწვავით დააყენა სკკპ XXV ყრილობამ მარტო ეკონომიური საკითხი როდი იყო. იგი არც კაპიტალიზმისადმი ესთეტიკური უპირატესობის დამტკიცების ამოცანების ჩარჩოებში თავსდებოდა. პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და ესთეტიკური სრულყოფის ამოცანა უშუალოდ უკავშირდებოდა (და უკავშირდება) ადამიანში ესთეტიკურ-შემოქმედებითი უნარების განვითარების ამოცანას.

თუ ეს ეს არის ჩამოთვლილ ნიშნებს, აგრეთვე ზოგიერთ სხვა აქ მოუხსენებელ ნიშანს კარგად გავიაზრებთ, მაშინ გასაგები გახდება ის რატომ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩამოყალიბების ცნება გარკვეული აზრით ემთხვევა კომუნისტური აღზრდის ცნებას. საინტერესო ის არის, რომ ეს თავისებურად ზ ნ ე ო ბ - რ ი ვ ი  ა ღ ზ რ დ ი ს  მ ი მ ა რ თ ა ც შეიძლება ითქვას. "კომუნისტურ ზნეობას – ამბობდა ვ.ი.ლენინი – საფუძვლად უდევს <u>ბ რ ძ ო ლ ა  კ ო მ უ ნ ი ზ მ ი ს  გ ა ნ მ ტ კ ი ც ე ბ ი ს ა  დ ა  დ ა მ თ ა ვ რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს</u>" (ხაზი ჩვე-

---

1 ჩაკლულ იქნაო, რომ ვამბობ, მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ წინაკლასობრივ, ე.ი. პირველყოფილ კომუნისტურ საზოგადოებაში ესთეტიკურ-მხატვრული უნარი საერთო ადამიანური თვისება იყო. მხოლოდ შრომის დანაწილების შემდეგ მოხდა ადამიანთა დაყოფა ე.წ. "ნიჭიერებად" და "უნიჭოებად".

მია, ა.ჩ.)[1]. საკითხი კიდევ უფრო ნათელი გახდება თუ მოვიგონებთ, რომ კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის რამდენიმე მუხლი თითქმის მთლიანად ემთხვევა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შინაარსს. ასეთებია: "... კომუნიზმის საქმისადმი ერთგულება, სოციალისტური სამშობლოსადმი, სოციალიზმის ქვეყნებისადმი სიყვარული; კეთილსინდისიერი შრომა საზოგადოების საკეთილდღეოდ: ვინც არ მუშაობს, ის არც სჭამს; თითოეულის ზრუნვა საზოგადოებრივი დოვლათის დაცვისა და გამრავლებისათვის; საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნება, შეუწყნარებლობა საზოგადოებრივი ინტერესების დარღვევებისადმი; კოლექტივიზმი და ამხანაგური ურთიერთდახმარება: ერთი - ყველასათვის, ყველა - ერთისათვის

ამრიგად, მოთხოვნა კომუნისტური აღზრდის კომპლექსური განხილვის შესახებ არ უნდა გავიგოთ, როგორც ჩვეულებრივი სისტემური განხილვის მოთხოვნა. იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, შრომითი აღზრდა და ზნეობრივი აღზრდა კომუნისტური აღზრდის ჩვეულებრივი კომპონენტები კი არ არის, არამედ თავისებური სუბსტანციები, რომელთაგან თითოეული ითავსებს დანარჩენ ორს და ქმნის სისტემის დასრულებულ მოდელს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ კომუნისტური აღზრდის აღნიშნული ფორმები წარმოადგენენ ერთი და იგივე პროცესის თანაბარმნიშვნელოვან განშტოებებს, რომელთაგან თითოეულს მივყავართ საბოლოო მიზნამდე. რა არის ეს მიზანი?

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, სკკპ XXIV, XXV და XXVI ყრილობების გადაწყვეტილებებში, აგრეთვე სხვა პარტიულ დოკუმენტებსა და მასალებში კომუნისტური აღზრდის საბოლოო მიზნად წარმოდგენილია ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ   გ ა ნ ვ ი-

---

1 ვ.ი.ლენინი, თხზ., ტ.31, გვ. 354.

2 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბ.,1967, გვ. 135-136.

თარებული და ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბება. ყოველმხრივ განვითარებული და ჰარმონიული პიროვნება რაღაა? რა შინაარსი (და მოცულობა) მოიაზრება ამ ცნებაში?

## § 2. ყოველმხრივ განვითარებული და ჰარმონიული პიროვნების არსის შესახებ

1. "ყოველმხრივ განვითარებული და ჰარმონიული პიროვნების" ცნების შინაარსის დადგენა მთელ რიგ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ეს სიძნელე, პირველ რიგში, აღნიშნული ცნების ძირითადი კომპონენტების "ყოველმხრივ განვითარებული პიროვნებისა" და "ჰარმონიული პიროვნების" ურთიერთდამოკიდებულებას შეეხება. იშვიათი როდია შემთხვევა, როცა "ყოველმხრივ განვითარებული პიროვნებისა" და " ჰარმონიული პიროვნების" - ცნებები ერთნაირი მნიშვნელობითაა მოაზრებული. და ეს მაშინ, როცა ოფიციალურ ლიტერატურაში (მაგ. სკკპ პროგრამაში) საკითხი სულ სხვაგვარად დგას. "პროგრამის" მეორე ნაწილის მესამე თავის ერთ-ერთი პარაგრაფი დასათაურებულია ასე: ადამიანის პიროვნების ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარება[1]. აშკარაა, რომ აქ " ყოველმხრივ განვითარებულისა" და "ჰარმონიულის" ცნებებს განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთულობა ეკისრება. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შორის "და " კავშირის დასმა უაზრობა იქნებოდა. მაგრამ თუ "ყოველმხრივ განვითარებულის" და "ჰარმონიულის" ცნებები

---

1 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბ., 1967, გვ. 137.

განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთულობის მქონე ცნებებია, მაშინ რატომ მოიხსენებიან ისინი მომავლის ადამიანის დახასიათებისას უსათუოდ ერთდროულად?

ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის ცნება ზოგჯერ ჩვენში ძალიან ცუდად, მეტისმეტად სწორხაზობრივადაა გაგებული. ამ ცნების ქვეშ, როგორღაც მოიაზრებენ უნივერსალურ ადამიანს, რომელსაც შეეძლება იმუშაოს ყველგან: მრეწველობაშიც და სოფლის მეურნეობაშიც, მშენებლობაზეც და ტრანსპორტზეც, მეცნიერებაშიც და ხელოვნებაშიც და ა.შ. თუ გავიხსენებთ, რომ მოღვაწეობის ყოველ დარგს თავისი მრავალრიცხოვანი განშტოებები გააჩნია, მაშინ ადვილი წარმოსადგენი იქნება რა ფენომენთან გვაქვს საქმე. მაგრამ განა შესაძლებელია და, რაც მთავარია, საჭიროა (ან პიროვნებისათვის, ან საზოგადოებისათვის) ასეთი უნივერსალიზმი? არა უაზრო და ფუჭი უნივერსალიზმი, არამედ არსობრივი ძალების რაციონალურ-მიზანშეწონილი მოქმედება იქნება დამახასიათებელი მომავლის საზოგადოებისათვის, საითკენაც მიმართულია კომუნისტური აზრის სწრაფვა.

აყენებენ რა ადამიან-უნივერსუმის იდეას, სპეციალისტები მაგალითისათვის მიმართავენ აღორძინების ეპოქას. მაგალითი, მართლაც, რომ შთამბეჭდავია. ადამიან-უნივერსუმის პრობლემა აქ (აღორძინების ეპოქაში) არა მარტო თეორიულსა და მხატვრულ, არამედ რეალურ-პრაქტიკულ გამოხატულებას პოულობს. აღორძინების ეპოქის გამოჩენილი ადამიანები: ალბერტი, დონატელო, ლეონარდო, დიურერი და სხვები ყოველმხრივ განვითარებული ადამიანები იყვნენ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ახასიათებდა რა აღორძინების ეპოქას, ფ.ენგელსი წერდა: "ეს ისეთი დრო იყო, რომელსაც ბუმბერაზები ესაჭიროებოდა და რომელმაც ბუმბერაზები წარმოშვა, ბუმბერაზები აზრის სიძლიერით, გზნებით და ხასია-

თით, მრავალმხრივობითა და განსწავლულობით... იმ დროს არ ცხოვრობდა თითქმის არც ერთი ღირსშესანიშნავი ადამიანი, რომელიც მონეულ მოგზაურობაში არ ყოფილიყოს, რომელსაც ოთხ-ხუთ ენაზე არ ელაპარაკოს, რომელიც რამდენიმე სპეციალობაში ბრწყინვალედ არ გამოჩენილიყოს. ლეონარდო და ვინჩი მარტო დიდი მხატვარი როდი იყო, იგი ამასთან ერთად დიდი მათემატიკოსი, მექანიკოსი და ინჟინერიც იყო... ალბრეხტ დიურერი იყო მხატვარი, გრავიორი, მოქანდაკე, ხუროთმოძღვარი და, გარდა ამისა, მან გამოიგონა ფორტიფიკაციის სისტემა... მაკიაველი იყო სახელმწიფო მოღვაწე, ისტორიკოსი, პოეტი და ამასთანავე ახალი დროის პირველი, მოხსენების ღირსი, სამხედრო მწერალი. ლუთერმა გასწმინდა არა მარტო ეკლესიის ავგიას საჯინიბო, არამედ გერმანული ენისაც, მან შექმნა თანამედროვე გერმანული პროზა და იმ გამარჯვების რწმენით სავსე ქორალის ტექსტი და მელოდია შეთხზა, რომელიც მე-16 საუკუნის მარსელიოზად იქცა. იმდროინდელი გმირები... თითქმის ყველანი მათი დროინდელი მოძრაობის შუაგულში ტრიალებენ... აქედან წარმოსდგება ხასიათის ის სისრულე და ძალა, რომელიც მათ მთლიან ადამიანებად ხდის"[1].

რატომ მოხდა ეს ასე, რატომ დაეცა ასე მწვავედ (და თავისებურად გადაჭრა კიდეც) ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის პრობლემა კაპიტალიზმის ეპოქამ? ვიდრე დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემას შევეცდებოდე, მკითხველის ყურადღება მინდა მივაქციო ვ.ი.ლენინის ერთ შრომაზე, სადაც ლაპარაკია "... ადამიანთა შორის შრომის განაწილების მოსპობაზე, ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ ი და ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ მ ო მ ზ ა დ ე ბ უ ლ ი ადამიანების აღზრდისა; სწავლებისა და მომზადებაზე, ადამიანებისა, რომელთაც ყველაფრის გაკეთება ეცოდი-

---

1 ფრიდრიხ ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბ., 1950, გვ. 8-9.

ნება"[1]. მოულოდნელი, ალბათ არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს აქტი ვ.ი.ლენინის ნაშრომიდან ხშირად მოჰყავთ, ხოლმე ადამიან -უნივერსუმის იდეის მომხრეებს და მასში ამ იდეის კამართლებას ხედავენ. შეცდომის წყარო აქ, ცხადია, "ყ ვ ე ლ აფ რ ი ს კ ე თ ე ბ ი ს" ცნების არასწორ ინტერპრეტაციაში მდგომარეობს.

"ყ ვ ე ლ ა ფ რ ი ს კ ე თ ე ბ ი ს" ნამდვილი აზრი, ვფიქრობ, ძალიან კარგად ჩანს თანამედროვე სოფლელი კაცის საქმიანობის ხასიათის მაგალითზე; მივიღეთ რა ცარიზმისაგან მემკვიდრეობად უწიგნური, ღატაკი და ღვთის ანაბარა სოფელი, ჩვენ თავდაპირველად არ დაგვისვამს ( და არც შეიძლებოდა დაგვესვა) სოფლელი კაცის ყოველმხრივი განვითარების საკითხი. პარტიის სასოფლო პოლიტიკიდან გამომდინარე უმთავრეს კულტურულ ღონისძიებათა რიცხვს მაშინ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მიეკუთვნებოდა. მაგრამ სოფლად სოციალიზმის გამარჯვებამ და მის კვალდაკვალ სოფლის მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის შეჭრამ განაპირობეს სრულიად ახალი, მანამდე არარსებული პრობლემების დაყენება. ერთ-ერთი ასეთი პრობლემათაგანია, მაგალითად, გლეხი კაცის მეცნიერულ-ტექნიკური განათლების პრობლემა. დღევანდელი გლეხის (კოლმეურნე გლეხის) შრომის ხასიათი მნიშვნელოვნად განსხვავდება ადრინდელისაგან. თუ უწინ იგი მიწას მამა-პაპური წესით ამუშავებდა და სხვა მხრივ მთლიანად ბუნების წყალობას იყო მინდობილი, ახლა უკვე აღარ ელოდება ამ წყალობას და მეცნიერებისა და ტექნიკის მეშვეობით აქტიურად ერევა „ბუნების საქმეებში". თანამედროვე გლეხი ცოტა ქიმიკოსიცაა, ცოტა ბიოლოგიც, ცოტა აგრონომიც, ცოტა მექანიკოსიც და ა.შ. უახლოეს მომავალში ეს "ცოტა" ალბათ ძალიან სიდიდე იქცევა და ბირის მუშა წარმოებო-

[1] ვ.ი.ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 42.

ტება თავისებურ უნივერსუმად, რომელსაც ერთდროულად სასრული ტე-
ქნიკის მართვაც შეეძლება, მიწის აგრონომიული დამუშავებაც, მი-
ნერალური სასუქების მეცნიერული გამოყენებაც და ა.შ. ფუნდამენ-
ტურად დამკვიდრდა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მონაპოვრები
თანამედროვე გლეხკაცის ყოფაში. საკმარისია დავასახელოთ ელექ-
ტროარმატურისა და ელექტროდიზაინის (მაცივარი, ტელევიზორი, მაგ-
ნიტოფონი და სხვ.) მთელი სისტემა, რომლის გარეშე უკვე თანამედ-
როვე სოფლური ოჯახი წარმოუდგენელია. ასევე წარმოუდგენელია თა-
ნამედროვე სოფელი კაცი ელექტრობისა და ელექტროტექნიკის ელე-
მენტარული საფუძვლების ცოდნის გარეშე.

ამრიგად "ყ ვ ე ლ ა ფ რ ი ს  კ ე თ ე ბ ი ს" მოთხოვნას
თვით ცხოვრება აყენებს. მაგრამ ეს მოთხოვნა ადამიანთა ძირითა-
დი საქმიანობისა და ცხოვრების დამკვიდრებული წესის ფარგლებს
არ სცილდება. არავინ არ თხოვს, მაგ.: კოლმეურნე გლეხს (და
რომ მოეთხოვათ კურიოზი იქნებოდა) კოსმონავტიკის საფუძვლების
ცოდნას ან ძველი პაპირუსების გაშიფვრას. ყ ვ ე ლ ა ფ რ ი ს
კ ე თ ე ბ ი ს ა  დ ა  ა ქ ე დ ა ნ  გ ა მ ო მ დ ი ნ ა-
რ ე  ს ო ფ ლ ე ლ ი  კ  ც ი ს  ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ ი
გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს  მ ო თ ხ ო ვ ნ ა  პ ი რ დ ა პ ი რ
პ რ ო პ ო რ ც ი უ ლ ი ა  ს ო ფ ლ ი ს  ც ხ ო ვ რ ე ბ ა-
შ ი  მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს ა  დ ა  ტ ე ქ ნ ი კ ი ს
მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი ს  დ ო ნ ი ს ა, ს ო ფ ლ ე ლ ი  კ ა-
ც ი ს  ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ი ს ა  დ ა  ყ ო ფ ი ს  ს ფ ე-
რ ო შ ი  მ ო მ ხ დ ა რ ი  ც ვ ლ ი ლ ე ბ ე ბ ი ს ა. სწო-
რედ ამით უნდა აიხსნას, რომ ყოველმხრივ განვითარებული
ადამიანის ცნება ჩვენი სოფლის განვითარების სხვადასხვა
ეტაპზე სხვადასხვა შინაარსს ატარებდა. მიუხედავად იმი-
სა, რომ ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავება

არსებობა ადამიანის ყოველმხრივი განვითარება ქალაქშიაც ობიექტურ კანონზომიერებას ექვემდებარებოდა. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ადამიანის ცხოვრების წესთან მისადაგებულობის კანონი ზოგადი (და არა მხოლოდ სოფლის დარგზე მორგებული) კანონია? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას, ალბათ რენესანსის შესახებ ფ.ენგელსის ზემოთ მოყვანილი მსჯელობის განხილვის შემდეგ შევძლებთ.

შესაძლებელია ვინმეს თანამედროვე სოფლისა და აღორძინების ეპოქის ერთ საფეხურზე მოხსენიება უცნაურად მოეჩვენოს. მართალია საკაცობრიო კულტურის სასწორზე ისინი მეტად შესაფერისი პარტნიორები ვერ არიან, მაგრამ კანონზომიერების დასადგენად ასეთი პარტნიორობა არცაა აუცილებელი. ნიუტონის მიერ მსოფლიო მიზიდულობის კანონის აღმოჩენის "მასალად" ხომ ვაშლის ხიდან ჩამოვარდნილი ნაყოფი და არა, ვთქვათ, ზღვის მიქცევა-მოქცევა იქცა? მიუხედავად მასშტაბების განსხვავებულობისა ლეონარდო და ვინჩის მოვლენაც ამ ქვეყნად და ახალი დროის სოფელი კაცის ჩამოყალიბებაც რაღაც ერთ კანონზომიერებას ექვემდებარება.

როგორც ფ.ენგელსის მსჯელობიდან სრულიად გარკვევით ჩანს ტიტანებმა კი არ შექმნეს რენესანსი, არამედ პირიქით, რენესანსმა შვა ტიტანები. ბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმომადგენლები ცდილობენ, აღორძინების ეპოქის ყველა სიკეთე და მათ შორის ადამიან-უნივერსალების ჩამოყალიბების დამსახურებაც კაპიტალიზმს მიაწერონ. ფ.ენგელსმა თავიდანვე გადაასხა ცივი წყალი კაპიტალიზმის აპოლოგეტთა ამ ცდას. იგი წერს: "ადამიანები, რომლებიც ბურჟუაზიის თანამედროვე ბატონობას ამყარებდნენ, ყველაფერი იყვნენ, მაგრამ ბურჟუაზიულად შეზღუდულნი არ ყოფილან"[1]. კ.მარქსის ცნობილ ნაშრომში "ზედმეტი ღირებულების თეორია" კი ვკითხულობთ:

---

1 ფრიდრიხ ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 8.

"კაპიტალისტური წარმოება მტრულადაა განწყობილი წარმოების განსაზღვრული დარგების, მაგალითად, ხელოვნებისა და პოეზიის მიმართ"[1]... და ეს მაშინ, როცა აღორძინების ეპოქა, უწინარეს ყოვლისა, წარმოგვიდგება, როგორც ხელოვნებისა და ლიტერატურის აყვავების ეპოქა.

ნათქვამი, ცხადია ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს რენესანსის წარმოშობა-განვითარება კაპიტალისტური წარმოებისაგან მოწყვეტით მიმდინარეობს. უფრო მეტიც, გარკვეული აზრით შეიძლება ითქვას, რომ რენესანსის, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენის ჩამოყალიბება სწორედ ბურჟუაზიის სახელთანაა დაკავშირებული. დიახ, ბურჟუაზიისა, რომელიც თავის თავს ჯერ კიდევ არ გამოხატავდა და, ისევ ენგელსის გამოთქმა, რომ მოვიშველიოთ, ყველაფერი იყო, ოღონდ ბურჟუაზიულად შეზღუდული არ ყოფილა. როგორც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა აღნიშნული ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის იდეალი, რომელიც აღორძინების ეპოქამ წამოაყენა, წარმოადგენდა ბურჟუაზიის არა რაიმე განსაკუთრებული განვითარების, არამედ პირიქით: განუვითარებლობა-მოუმწიფებლობის შედეგს. აღორძინების, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენის ჩამოყალიბება შესაძლებელი იყო მხოლოდ გარდამავალ ეპოქაში, როცა ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობანი რღვევას განიცდიდნენ, ხოლო ბურჟუაზიულ ურთიერთობებს გაბატონებული მდგომარეობა ჯერ კიდევ არ დაეკავებინათ. ადამიანური პიროვნების ნამდვილი აყვავება არც მიმავალი ფეოდალიზმის ცხოვრების წესს უთავსდებოდა და არც მომავალი ბურჟუაზიისა[2].

მაინც რამ განაპირობა ადამიან-უნივერსალების საჭიროება

-----------------

1 К.Маркс и Ф.Энгельс об искусстве, с.192.

2 იხ. В.Л. Ш е с т а к о в, Проблемы эстетического воспитания, М., 1962, с.50.

და ამ საზოგადოების უფლებანი რეალიზაცია აღორძინების ეპოქაში? ნათელია, რომ აქ საქმე, უპირატესად აღორძინების, როგორც სოციალ-კულტურული ფენომენის წარმოშობის მიზეზებს შეეხება. ამიტომ არ შეიძლება დავეთანხმოთ ვ.გოგუაძეს, რომელიც წიგნში "ადამიანი, როგორც ესთეტიკური ფენომენი" წერს "რენესანსის ეპოქის ძირითადი მახასიათებელია ინდივიდუალობის გამოღვიძება, სუბიექტური მეობის უფლების (?) გამოცოცხლება. ამ საუკუნე-ების ასკეტურ მორალს გრძნობადი დიდი მჩქეფარება დაუპირისპირდა. ამ მხრივ უ ბ ა დ ლ ო ა ღ მ ო ჩ ნ დ ა ი ტ ა ლ ი უ რ ი, ს ა მ ხ რ ე თ უ ლ ი ხ ა ს ი ა თ ი იტალიელები, მართლაც, და საკუთრებული გრძნობიერობითა და სიცოცხლის უნარიანობით ხასიათ-დებიან. ერთი მხრივ, ელვისებური მოძრაობის სიმშვიდე, სიმყუ-დროვე და მეორე მხრივ იტალიური გზნება, ამ ხალხის ასეთი მადლი გრძნობიერობა, მოუსვენრობა, არაერთგზისაა ხანგამძლე სხვადასხვა მიმართულებისაკენ... გასაკვირველია, ერთგული ფსიქო-ლოგიის ნიღბე, რაც უთანასწოროა, მისი მნიშვნელობის არც გამ-ჟღავნება იქნება ზედმეტი და არც დამცირება. მაგრამ უდავოა, რომ იტალიელებმა პირველებმა გააღვიძეს ცნობიერი, ადამიანს დაუბრუნეს წართმეული სიცოცხლე და სილამაზე... ბ უ ნ ე ბ ა , ფ ს ი ქ ო - ლ ო გ ი ა დ ა , რ ა ც მ თ ა ვ ა რ ი ა , ა ნ ტ ი კ უ რ ი წ ა რ ს უ ლ ი ს თ ა ვ ი ს ნ ა ფ უ ძ ა რ ა დ დ ა ნ ა ხ ე ვ ა ს რ უ ლ ი ა დ გ ა რ დ უ ვ ა ლ ი ფ ა ქ - ტ ო რ ე ბ ი ა ღ მ ო ჩ ნ დ ა ა მ დ ი დ ი კ უ ლ ტ უ - რ უ ლ ი ღ ე ლ ვ ი ს წ ა რ მ ო ს ა თ ქ მ ე ლ ა დ "[1].

-----------------

1 ვ.გოგუაძე, ადამიანი როგორც ესთეტიკური ფენომენი, თბ., 1967, გვ. 137.

ფ.ენგელსი, როგორც ვნახეთ, სულ სხვაგვარად ფიქრობდა. გახსოვთ მისი სიტყვები "ეს იგივე დრო იყო, როდესაც მუსლიმანები ესპანეთიდან და როდესაც მუსლიმანები წარმოიშვა-ო? ეს იმას ნიშნავს, რომ ენგელსი აღორძინების განმსაზღვრელ ფაქტორებს დროის თავისებურებებში (და არა, ვთქვათ, იტალიის ბუნებრივ მონაცემებსა და ეროვნულ ხასიათში) ხედავდა.

უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ აღორძინების კონცეფცია აპენინის ნახევარკუნძულით არ შემოიფარგლება. მეოცე საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზრის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის შ.ნუცუბიძის შრომების წყალობით უკანასკნელი სამი ათეული წლის საბჭოთა და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი "ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ ი   რ ე ნ ე ს ა ნ ს ი ს" ცნებამ[1]. ამ ცნებაში დღეს მოიაზრებენ ამიერკავკასიის ქვეყნების, აგრეთვე ირანისა და ჩინეთის კულტურულ აღორძინებას, რომელიც ევროპულ აღორძინებას რამდენიმე საუკუნით უსწრებდა წინ. იტალიით არც "ევროპული რენესანსის" გეოგრაფია შემოიფარგლებოდა. და რომც შემოიფარგლებოდეს, განა შეიძლება სავსებით იტალიური რენესანსის ახსნა იმ ნიშნებით, რომლებზეც ზემოთ იყო ლაპარაკი? იტალიელი რენესანსის ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი უდავოდ შეასრულა იმ გარემოებამ, რომ იტალიის ტერიტორია ადრე ანტიკური ცივილიზაციის ცენტრს წარმოადგენდა, მაგრამ ეს როლი "გარკვეულის" საზღვრებს არ სცილდება. რაც შეეხება იტალიის ბუნებასა და იტალიელთა ეროვნულ ხასიათს მათ შესახებ ლაპარაკი დღეს, სულ ცოტა, ანაქრონიზმად გამოიყურება. იტალიური რენესანსი, უწინარეს ყოვლისა, ანთროპოცენტრული იქნა ახალი სამო-

---

1 აღმოსავლური რენესანსის ნუცუბიძისეულ კონცეფციას არსებითად იზიარებს ანტიკურობისა და აღორძინების ეპოქების ესთეტიკური კულტურის ისეთი გამოჩენილი მკვლევარი, როგორიცაა ა.ლოსევი (იხ. А.Лосев, Эстетика возрождения, М., 1978, с.2[illegible]-37).

გადამწყვეტი მოთხოვნებით, რაც ახალმა ეპოქამ დააყენა და რასაც ძირეული სოციალურ-ეკონომიკური ძვრები მოჰყვა. ამ ძვრების უშუალო გამოხატულება იყო ფეოდალურ ურთიერთობათა თანდათანობითი რღვევა და წარმოების ადრეკაპიტალისტური ფორმების ჩამოყალიბება. სწორედ აღნიშნულმა პროცესმა განსაზღვრა ადამიან-უნივერსუმის იდეის გაჩენაც და მისი პრაქტიკული ხორცშესხმის აუცილებლობაც. კაპიტალისტური განვითარების გზაზე დამდგარ იტალიას უამრავი და ურთულესი პრობლემები უნდა გადაეჭრა და რადგან შუასაუკუნეების თავისწორივანი წვრილადიდან ახლახან გამოსული ქვეყანა ამისათვის მზად არ იყო, მის გამოჩენილ შვილებს თავისთავში ერთდროულად რამდენიმე უნარი და სპეციალობა უნდა გაეერთიანებინათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიან-უნივერსუმების მოთხოვნა ამ დროისათვის კაპიტალიზმის გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ლ ო ბ ი ს (და არა განვითარების) შედეგი იყო.

ვინც "ადამიან-უნივერსუმის" ან "ყველაფრის მცოდნე ადამიანის" აზრს კარგად ჩაწვდა, მისთვის, ალბათ, ძნელი არ იქნება ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ  გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ ი  ა დ ა მ ი ა ნ ი ს თეორიული მოდელის წარმოდგენა. ჩვენის ფიქრით ეს მოდელი დაახლოებით ასე გამოიყურება: ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ  გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ ი  ა დ ა მ ი ა ნ ი - პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა,  რ ო მ ლ ი ს ც ხ ო ვ ე ლ ქ მ ე დ ი - თ ო ბ ა  მ ა ქ ს ი მ ა ლ უ რ ა დ  ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ს  თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ო ბ ი ს  მ ო თ ხ ო ვ ნ ე ბ ს  და  რ ო მ ე ლ ი ც  ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს  ს ა ს უ რ ვ ე ლ ი  წ ე ს ი ს  პ ი რ ო ბ ე ბ შ ი  ს რ უ ლ ა დ  გ ა მ ო ა ვ ლ ე ნ ს  თ ა ვ ი ს თ ა ვ ს, ს ა კ უ თ ა რ  ა რ ს ო ბ რ ი ვ  ძ ა - ლ ე ბ ს; თავისთავად ცხადია, რომ ყოველ ეპოქას ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის საკუთარი იდეალი გააჩნია. ჩვენს

ეპოქაში ამ იდეალის ხასიათს მნიშვნელოვნად განაპირობებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. კომუნისტურ საზოგადოებაში სადაც მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება უმაღლეს საფეხურს მიაღწევს და ადამიანური ცხოვრების ყველა სფეროში წამყვან ადგილს დაიკავებს, ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ცნება ახალ შინაარსით შეივსება. თუ რა შინაარსია ეს და, საერთოდ რა სახეს მიიღებს ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის პრობლემა კომუნისტურ საზოგადოებაში, ამაზე პასუხს (ყოველშემთხვევაში პასუხის ცდების შესაძლებლობას) *ჰარმონიული პიროვნების* რაობის გარკვევა მოგვცემს.

3. ჰარმონიის პრობლემა საერთოდ და კერძოდ *ჰარმონიული პიროვნების* პრობლემა თავის მკაფიო გამოხატულებას ანტიკურ ესთეტიკაში პოულობს. ეს პრობლემა, ისე, როგორც ანტიკური ესთეტიკის ბევრი სხვა პრობლემა იდეურ დასაბამს ძველ ბერძენთა მითოლოგიურ წარმოდგენებში იღებს. ძველბერძნული მითოლოგიის თანახმად ჰარმონია ომის ღმერთის არესისა და სიყვარულის ქალღმერთის აფროდიტეს ქალიშვილი იყო. მიაქციეთ ყურადღება: ომისა და სიყვარულის? თუ ომის ფსიქოლოგიურ ექვივალენტად სიძულვილს მივიჩნევთ ან სიყვარულის სოციალურ ექვივალენტად - მშვიდობას, მაშინ ნათელი გახდება, რომ ჰარმონია ძველბერძენთა მიერ გააზრებული ყოფილა, როგორც *დაპირისპირებულთა ერთიანობა*.

დაპირისპირებულთა ეს ერთიანობა ადამიანში, უწინარეს ყოვლისა, ცხადია, სხეულისა და სულის ერთიანობაში ვლინდება. ამიტომაა, რომ ძველ ბერძენთა მოძღვრებაში ჰარმონიული ადამიანის შესახებ განსაკუთრებული ადგილი სწორედ სხეულისა და სულის ჰარმონიის საკითხს უჭირავს. მე აქ ახლა, რა თქმა უნდა, ვერ შევძლებ (და არც არავითარი საჭიროება მოითხოვს) ამ თავისთავად

უაღრესად საინტერესო საკითხის თუნდაც მოკლე მიმოხილვას. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მას (სხეულისა და სულის ერთიანობის საკითხს) ანტიკურ ფილოსოფიაში ორი ასპექტი – ონტოლოგიური და ესთეტიკური – გააჩნია. თუ ონტოლოგიური აზრით შეიძლება (და აუცილებელიცაა) სხეულისა და სულის დაპირისპირებულობის შესახებ ლაპარაკი, ესთეტიკური აზრით ეს გამორიცხულია. აფორიზმში "მახინჯ სხეულში მახინჯი სული ძევს" ძველმა ბერძნებმა გამოხატეს ესთეტიკური კრედო, რომლის არსი ადამიანში, როგორც ესთეტიკურ ფენომენში სხეულისა და სულის აბსოლუტურ ჰარმონიაში მდგომარეობს. ძველი ბერძნისათვის დაუშვებელი იყო ადამიანის სხეულისა და სულის სილამაზის შესახებ განცალკევებული ლაპარაკი. უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, ჰარმონიული და, მაშასადამე, მშვენიერი ძველი ბერძნისათვის იყო ადამიანი, რომელსაც ერთდროულად სხეულიც და სულიც ლამაზი ჰქონდა.

სხეულისა და სულის სილამაზე, რა თქმა უნდა, ჰარმონიის შინაგანი კანონებითაა განპირობებული. მაგ. ადამიანი, რომელსაც თანაბარი ზომის თითები და ერთნაირად შებრუნებული ხელები აქვს ლამაზი ვერ იქნება. ადამიანის სხეულის აგებულება, მისი კონსტრუქციულ-არქიტექტონიკა მთლიანად ჰარმონიის პრინციპებს ემყარება. ჰარმონიის პრინციპებს ემყარება სულის სილამაზეც. ანტიკურ ესთეტიკაში და, უპირატესად არისტოტელეს ესთეტიკაში ადამიანის სულის სილამაზე წარმოდგენილია, როგორც ინტელექტისა და ემოციის, სურვილისა და მოვალეობის ერთიანობა. თუ ამ უკანასკნელს, ე.ი. სურვილისა და მოვალეობის ჰარმონიას გავიგებთ, როგორც ადამიანის სინამდვილესთან, პირველ რიგში სოციალურ სინამდვილესთან დამოკიდებულების მოწესრიგებას, მაშინ ნათელი გახდება ანტიკური ეთიკის იდეალი ადამიანისა. ძალიან მოკლედ რომ

ვთქვათ, ეს არის ადამიანი, რომელშიაც ჰარმონიულადაა შეხამებული *ფიზიკური და სულიერი, პიროვნული და საზოგადოებრივი*.

*მაგრამ*, მიუხედავად მონათმფლობელური დემოკრატიის უჩვეულოდ მაღალი დონისა, რაც განპირობებული იყო ბერძნული პოლისის საზოგადოებრივი ურთიერთობების მოუმწიფებლობით და აქედან გამომდინარე, მწვავე სოციალური კონფლიქტების არ არსებობით, ანტიკურმა ეპოქამ ვერ მოგვცა (და ვერც შეეძლო მოეცა) ჰარმონიული პიროვნების უნივერსალური მოდელი. საქმე ეხება არა მარტო რეალურ, არამედ იდეალურ (ნორმატიულ) მოდელსაც. საკითხი უმალ ნათელი გახდება თუ გავიხსენებთ, რომ ანტიკურობის ესთეტიკური იდეალი, უმთავრესად სკულპტურასა და ქანდაკებაში გამოიხატა. როგორც მკითხველს კარგად მოეხსენება, ანტიკურ სკულპტურაში ადამიანის მიწიერ-სხეულებრივი სილამაზე უფრო ხაზგასმული, ვიდრე სულიერი, ხოლო ანტიკურმა ქანდაკებამ დიდების პიედესტალზე აიყვანა გმირი, რომელიც სამყარო-სასიცოცხლო უპირისპირება: სწორედ რეალობას (სინამდვილეს).

თუ ჰარმონიული ადამიანის სრულყოფილი მოდელი ვერ მოგვცა ანტიკურობამ, მით უფრო ხელმიუწვდომელი იყო იგი შემდგომი ეპოქებისათვის. მართალია ყოველ შემდგომ ეპოქას (შუასაუკუნეების ჩათვლით) ჰარმონიული ადამიანის ცნებაში რაიმე გარკვეული დამატება-შესწორება შეჰქონდა, მაგრამ ფაქტიურად ცივილიზაციის მთელი ისტორია, ვიდრე ოქტომბრის რევოლუციამდე *ადამიანის დეჰარმონიზაციის* უწყვეტ პროცესს წარმოადგენდა; თვით აღორძინების ეპოქამაც კი ვერ შესძლო ამ პროცესის რამდენადმე ხანგრძლივი დროით შეჩერება. მხოლოდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გახდა შესაძლებელი ჩარხის წაღმა შემობრუნება და ჰარმონიული ადამიანის პრობლემის რეალურ საფუძველზე

დადგენება.

მაგრამ "რეალურ საფუძველზე დადგენება" თავისთავად პრობლემის გადაწყვეტას არ მოასწავებდა. მარტოოდენ სოციალიზმის გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში მოჰყვა ახალი ტიპის ადამიანის ჩამოყალიბება, მაგრამ ეს ადამიანი ჯერ კიდევ შორს იყო ჰარმონიული პიროვნების იდეალისაგან. მხოლოდ განვითარებული სოციალიზმის პირობებში დადგა რეალურად ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბების ამოცანა. ეს ამოცანა თავის გამოხატულებას პოულობს უკანასკნელი დროის უმნიშვნელოვანეს პარტიულ დოკუმენტებში, განსაკუთრებით სკკპ XXIV, XXV და XXVI ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებებსა და სკკპ ცკ-ის დადგენილებებში მხატვრული იდეოლოგიის საკითხებზე[1].

აყენებს რა ჰარმონიული ადამიანის იდეას, პარტია მას თავის პროგრამაში ახასიათებს, როგორც ს უ ლ ი ე რ ი ს ი მ დ ი დ რ ი ს, მ ო რ ა ლ უ რ ი ს ი წ მ ი ნ დ ი ს ა და ფ ი ზ ი კ უ რ ი ს რ უ ლ ყ ო ფ ი ს ე რ თ ი ა ნ ო ბ ა ს[2].

თუ საკუთრივ პროგრამის არსებიდან გამოვალთ (და ასე სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ) მაშინ ნათელი გახდება, რომ ჰარმონიული

---

1 მარტო უკანასკნელ ათწლეულში სკკპ ცკ-ის მიერ მიღებულ იქნა ამ ხასიათის რიგი დადგენილებები, როგორიცაა: "ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ" (1972); "ხალხური მხატვრული სარეწების შესახებ" (1975); "თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" (1978); "შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ" (1978); "იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" (1979).

2 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, გვ. 137.

ადამიანის მოდელი აქ კომუნიზმზე თანდათანობითი გადასვლის პერიოდთანაა მისადაგებული. როგორ სახეს მიიღებს იგი დასრულებულ კომუნისტურ საზოგადოებაში? ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს თვით კომუნისტური საზოგადოება მოგვცემს. მაგრამ ჩვენ, ვისაც, ალბათ არ გვეწერია ეს პასუხი მოვისმინოთ, მომავლის ადამიანს მისი პირველსახის - პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოების ადამიანისა და უახლოესი წინამორბედი საზოგადოების - განვითარებული სოციალიზმის ადამიანის პრიზმიდან უნდა შევხედოთ.

კაცობრიობის განვითარების დაბალ საფეხურზე, ე.ი. პირველყოფილ კომუნისტურ საზოგადოებაში ადამიანი, როგორც სოციალური არსება და როგორც თეორიულ-მხატვრულ-რელიგიურ-პრაქტიკული სუბიექტი ერთი მთლიანი პიროვნება იყო. მართალია მისი არსობრივი გამოვლენის დონე წარმოების განვითარების საოცრად პრიმიტიულ დონეს შეესაბამებოდა, მაგრამ სამაგიეროდ ეს გამოვლენა ჰარმონიულად, ფიზიკური და სულიერი ძალების თანაბარი განვითარების პროცესში ხორციელდებოდა. მაგრამ შრომის დანაწილებამ და ამის კვალობაზე კლასობრივი საზოგადოების წარმოშობამ დაამსხვრია ადამიანთა არა მარტო სოციალური ერთიანობა, არამედ გნოსეოლოგიურ-ემოციურ-პრაქტიკული მთლიანობაც. გადაიქცია რა სულიერი მოღვაწეობა ადამიანთა მხოლოდ ერთი ნაწილის მონოპოლიად, კლასობრივმა საზოგადოებამ საფუძველი დაუდო ადამიანთა ცალმხრივი განვითარების ტენდენციას. ეს ტენდენცია თავის ყველაზე სრულსა და უხეშ გამოხატულებას კაპიტალიზმის დროს პოულობს.

რამდენადაც ადამიანის დეჰარმონიზაცია კლასობრივი საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანია, ამდენად ოქტომბრის რევოლუციას, როგორც კლასობრივი საზოგადოების უარყოფას, რ ე ჰ ა რ მ ო ნ ი ზ ა ც ი ი ს პირუკუ პროცესი უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდევაც. გარკვეული აზრით ეს პროცესი კლასობრივი საზოგადოების.

თელ უარყოფილი ადამიანის აღდგენის პროცესი იყო, მაგრამ ჰარმონიული ადამიანის პირველსახისაკენ შემობრუნებას აქ, ისე, როგორც, საერთოდ უკლასო საზოგადოების განვითარებას, სპირალური ხასიათი ჰქონდა. უკლასო საზოგადოების შექმნაც და ჰარმონიული ადამიანის ჩამოყალიბებაც უარყოფის უარყოფის უნივერსალურ კანონს ექვემდებარება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჰარმონიული ადამიანის ჩამოყალიბების ამოცანა ჩვენში რეალურად განვითარებული სოციალიზმის პირობებში დაისვა. ჰარმონიული ადამიანის თვალსაჩინო მოდელს ყოველთვის ლიტერატურა და ხელოვნება ქმნიდა, მაგრამ, სამწუხაროდ ჯერ არ მოგვეპოვება ( ყოველშემთხვევაში მე არ მეგულება) ნაწარმოები, რომელშიც განვითარებული სოციალიზმის ადამიანის დასრულებული მხატვრული სახე იყოს მოცემული. სამაგიეროდ გვაქვს მისი თეორიული მოდელი, რომელიც პარტიის პროგრამაშია წარმოდგენილი. ამ მოდელის ძირითად კომპონენტებს, როგორც ვიცით, შეადგენს: სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა. თუ ორი უკანასკნელი კომპონენტის არსი ნათელია, ზოგჯერ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს პირველის ინტერპრეტაცია. ვფიქრობ, აქ სადავო არაფერია. "სულიერი სიმდიდრის" ცნება, საერთოდ აღებული, შეიძლება ბევრ შინაარსს იტევდეს, მაგრამ მოცემული შემთხვევისათვის (განვითარებული სოციალიზმის პირობებისათვის) მასში მხოლოდ გარკვეული ნიშნები მოიაზრება. ეს ნიშნებია: დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობა, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, ფართო განათლება, მაღალი ინტელექტი, მდიდარი ემოციური სამყარო, ფაქიზი გემოვნება, მოთხოვნილებათა სიმდიდრე, მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა მოხმარების კულტურა და, ადამიანურ უნართა მრავალმხრივობა-დახვეწილობა. განვითარებული სოციალიზმის ადამიანი ჯერ კიდევ შორსაა "ადამიან-უნივერსალისაგან",

მაგრამ არც ისე შორს, რომ მისი კონკურენტები მაინც ვერ ადევნებდა. ჩვენს რიგებში დღესაც მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც ჰარმონიულად უხამებენ ერთმანეთს ფიზიკური, გონებრივი და შემოქმედების-შთაგონებული შრომის ფორმებს. უახლოეს მომავალში, ალბათ ადამიანის ფიზიკურ-ინტელექტუალურ-ემოციური განვითარება ჩვენი ცხოვრების ჩვეულებრივ კანონად იქცევა. სწორედ ამ კანონში უნდა ვეძიოთ კომუნისტური საზოგადოების ადამიანის, როგორც ჰ ა რ მ ო ნ ი უ ლ ა დ   გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ ი   პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს · არსების გასაღები. უფრო გარკვევით, რომ ვთქვათ, ჰარმონიული პიროვნება კომუნისტურ საზოგადოებაში ჰარმონიული პიროვნების იმ მოდელს სრულყოფა იქნება, რომელიც განვითარებული სოციალიზმის პირობებში ყალიბდება[1].

ამრიგად, ჰ ა რ მ ო ნ ი უ ლ ი   პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს საზოგადო მოდელი წარმოგვიდგება, როგორც ფ ი ზ ი კ უ რ ი და ს უ ლ ი ე რ ი   ძ ა ლ ე ბ ი ს ( უ ნ ა რ ე ბ ი ს ) თ ა ნ ა ზ ო მ ი ე რ - ს რ უ ლ ყ ო ფ ი ლ ი   გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა   ა დ ა მ ი ა ნ შ ი, რ ა ც   შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ს   ხ დ ი ს   მ ი ს ი, რ ო გ ო რ ც   პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს   მ ა ქ ს ი მ ა ლ უ რ   ა რ ს ი ბ რ ი ვ   გ ა მ ო ვ ლ ე ნ ა ს.

3. როგორც ყოველმხრივ განვითარებული პიროვნებისა და ჰარმონიული პიროვნების ცნებების ზოგად-შინაარსობრივმა მიმოხილვამ გვიჩვენა, ერთის მხრივ და მეორისაც საზოგადო ანგარიშით ა დ ა მ ი ა ნ ი ს   ა რ ს ი ბ რ ი ვ ი   ძ ა ლ ე ბ ი ს   მ ა ქ ს ი მ ა ლ უ რ ი   გ ა მ ო ვ ლ ე ნ ი ს   ი დ ე ა მ დ ე   დაიყ-

---

1 აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო ნათელი გახდება თუ გავიხსენებთ, რომ კომუნიზმი წარმოადგენს არა რაიმე განსაკუთრებულ, თვისობრივად განსხვავებულ საზოგადოებას, არამედ ერთიანი კომუნისტური საზოგადოების მეორე (სოციალიზმის შემდეგ) უმაღლეს ფაზას.

ვანება. აღნიშნულის გამო ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი, ე.ი. "ყოველმხრივ განვითარებული პიროვნებისა" და "ჰარმონიული პიროვნების" ცნებები ემთხვევიან ერთმანეთს? ა რ ა ც და ჰ ო ც . "არა" იმიტომ, რომ ეს ცნებები, როგორც ვნახეთ პირო-ვნების განვითარების სხვადასხვა განზომილებებს გამოხატავენ და "ახალი ადამიანის" დახასიათების დროსაც სხვადასხვა მნიშვ-ნელობით მოიხსენებიან. "ჰო" იმიტომ, რომ პირველი, როგორც წე-სი, განსაზღვრავს მეორეს და პირიქით და ორივეს აზრი ადამიანის არსობრივი ძალების მაქსიმალურ გამოვლენაში მდგომარეობს.

და მაინც სწორი არ არის, როცა კომუნისტური საზოგადოების ადამიანის შინაარსს, თუნდაც პირობითად, ცალკე აღებული "ყოვე-ლმხრივ განვითარებული პიროვნების" ან "ჰარმონიული პიროვნების" ცნებაში მოაქცევენ. მომავლის ადამიანი, როგორც ჩანს, ორ გან-ზომილებიანი სიდიდეა, რომლის დასრულებულ მოდელს აღნიშნული ცნებების მხოლოდ ერთიანობა-სინთეზი გვაძლევს. ერთი მხრივ, თითქოს "ყოველმხრივ განვითარებული და ჰარმონიული პიროვნების" ცნება "ახალი ადამიანის" ცნებით შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ ეს უკანასკნელი ხომ შედარებითი შინაარსის მომცველია და, მა-შასადამე, გარკვეულად კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპს მიერგება? მდგომარეობიდან გამოსავალს, ცხადია, არც კომუნის-ტურ საზოგადოებაზე მითითება წარმოადგენს. საქმე ისაა, რომ კომუნისტური საზოგადოების განაცრში განხილული ახალი ადამია-ნი აზრს სწორედ "ყოველმხრივ განვითარებული და ჰარმონიული პი-როვნების" საფუძველზე იძენს და უბრალოდ უხერხული (თუ მეტი არა) იქნებოდა, რომ იგი თავის ახსნილის ახსნილად გამოცხადე-ნებია, მაშ რა უნდა ვქნათ? ამ და ზოგიერთ სხვა საინტერესო სა-კითხის გარშემო პასუხს მკითხველი მომდევნო პარაგრაფში იპოვის.

## § 3. ესთეტიკური აღზრდის ისტორიული ხასიათის შესახებ

1. მკითხველმა ალბათ მიაქცია ყურადღება, რომ მე ზემოთ, ვახასიათებდი რა კომუნისტურ აღზრდას, ერთხელაც კი არ მომიხსენებია ესთეტიკური აღზრდის ცნება. ეს მარტო პრობლემის დალაგების მანერით არ ყოფილა განპირობებული. საქმე ისაა, რომ ბოლო დროის ისეთ უმნიშვნელოვანეს პარტიულ დოკუმენტებში, როგორიცაა სკკპ XXIV, XXV და XXVI ყრილობების გადაწყვეტილებები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება "იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ", სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება "უმაღლესი სკოლის შემდგომი განვითარების და სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ" და სხვ. ტერმინს "ესთეტიკური აღზრდა" საერთოდ არ ვხვდებით. აღზრდის მთელი საქმისადმი კომპლექსური მიდგომა, რაც თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიური მუშაობის მთავარ მიმართულებადაა განსაზღვრული, როგორც ვნახეთ გულისხმობს "იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მყარი ერთიანობის უზრუნველყოფა"-ს. ერთი შეხედვით შეიძლება კაცს ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, თითქოს ესთეტიკური აღზრდა ადგილს კომუნისტური აღზრდის სისტემაში საერთოდ ვერ პოულობს.

სამწუხაროდ ეს "ერთი შეხედვით შთაბეჭდილება" ზოგჯერ მყარ პოზიციად იქცევა, რაც ხელს უწყობს ესთეტიკური აღზრდის უგულვებელყოფის მცდარი და უაღრესად საშიში ტენდენციის ჩამოყალიბებას. მაგალითად, საგანმანათლებლო წრეებში, საჟურნალო და საგაზეთო რუბრიკებში, სალექციო ციკლებში, თემატური ლიტერატურის ჩვენება-გამოფენებში და ა.შ. რომლებიც სპეციალურად კომუნის-

ტურ აზროვნებას ეძლევიან ესთეტიკურ აზროვნებაზე მასალა თითქმის არ გვხვდება[1]. არის შემთხვევები, როცა ესთეტიკური აზროვნების მთელი მნიშვნელობა ლიტერატურისა და ხელოვნების დარგების უნარის აღზრდაზე დაიყვანება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ამოცანა ხშირად ისევ იდეურ-პოლიტიკური აზროვნების ამოცანებს უკავშირდება, მაშინ საქმის არსი სრულიად ნათელი გახდება. ასეთი დაკავშირება კი რომ არა, ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგების უნარი მაინც მიეკუთვნება შთაგონილი აზროვნების სფეროს, რომელიც, როგორც უკვე ვიცით, ესთეტიკური აზროვნების შინაარსს (და, მაშასადამე, არც მოცულობას) არ ფარავს.

ყოველივე აღნიშნულის გამო საფუძვლიანად დასმა საკითხისა კომუნისტური აზროვნების სისტემაში ესთეტიკური აზროვნების ადგილისა და როლის შესახებ რამდენადმე გადაჭარბებულად ხომ არ გამოიყურება? ცხადია, რომ არა.

2. ესთეტიკური აზროვნება ჩვენში ყოველთვის, საბჭოთა საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ყურადღების ცენტრში იდგა. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე ვ.ი.ლენინმა წამოაყენა მასების კულტურული აღზრდის გაშლილი პროგრამა, რომელიც წარმოადგენდა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საერთო პროგრამის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. ასრულებდა რა დიდი ლენინის ან-

---

1 ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ გაზ. "თბილისის" 1981 წლის 30 ნოემბრის ნომერი (№ 275); ამ ნომრის მთელ გვერდზე თითქმის მთლიანად დათმობილი აქვს რუბრიკას: "უზრუნველვყოთ ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აზროვნების ერთობლიობა". უნდა ითქვას, რომ გაზ. "თბილისი" საერთოდ დიდ ყურადღებას უთმობს ესთეტიკურ აზროვნებას, მაგრამ ამ კონკრეტულ გაზეთში მასზე სიტყვასაც არ სძრავს.

დერძს, პარტია მუდამ სათავეში ედგა და მიზანსწრაფულად წარმართავდა მასების ესთეტიკური აღზრდის საქმეს. პარტიის ზრუნვა ამ მხრივ არ შენელებულა დიდი სამამულო ომის პერიოდშიც კი. საკმარისია ითქვას, რომ რსფსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის მხატვრული აღზრდის ინსტიტუტი და თვით აკადემიაც ომის წლებში შეიქმნა.

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელი ომის ტრავმიდან ქვეყანა (და მსოფლიო) ჯერ კიდევ არ გამოსულიყო, რომ პარტია მთელი სიმწვავით აყენებს მასების და, პირველ რიგში, ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის ამოცანებს[1]. ესთეტიკურ-მხატვრული აღზრდის საკითხებისადმი პარტიის ყურადღება იმდენად ხაზგასმული იყო, რომ ბევრს ეს მაშინ, ომისშემდგომი სიძნელეების ფონზე ზედმეტ ფუფუნებადაც კი ეჩვენებოდა.

სკკპ XX ყრილობის შემდეგ, როცა ჩვენში წარსულის რიგი ღირებულებების კრიტიკული გადასინჯვა მოხდა, სოციალიზმის მტრებმა დასავლეთში სიხარულის ნამდვილი ღრიანცელი ასტეხეს საბჭოთა ადამიანის ესთეტიკური იდეალების შესაძლებელი მსხვრევის გამო. ღირებულებათა გადასინჯვის რთულ პროცესს, რა თქმა უნდა, მთლად უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია, მაგრამ ბურჟუაზიული იდეოლოგია სიხა-

---

1 მხედველობაში მაქვს პირველ რიგში საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებები იდეოლოგიის საკითხებზე. მაგალითად: "ჟურნალების "ზვეზდასა"და "ლენინგრადის" შესახებ" (1946 წ. 14 აგვისტო); "დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ "(1946წ. 26 აგვისტო); "კინოფილმ"დიდი ცხოვრების"შესახებ"(1946 წ. 4 სექტემბერი); "ვ.მურადელის ოპერის "დიადი მეგობრობის " შესახებ" (1948 წლის თებერვალი); ამ პერიოდის დოკუმენტებს აგრეთვე სრულიად-საკავშირო თათბირებისა და სხვა ღონისძიებების მთელი სერია ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.

რული აშკარად ნაადრევი აღმოჩნდა. პარტიის ორიენტაცია ესთეტიკურ აღზრდაზე არა თუ არ შენელებულა, არამედ გაძლიერდა კიდეც. თუ მაინცა და მაინც საჭიროა ამ პერიოდის ესთეტიკურ-მხატვრული ტენდენციის გამოკვეთა, იგი ძალიან ზოგადად ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1) შიშველი გნოსეოლოგიზმისა და სქემატიზმის დაძლევა ხელოვნებაში და მისი ესთეტიკური არსის წინა პლანზე წამოწევა; 2) ლიტერატურისა და ხელოვნების გვერდით ესთეტიკური აღზრდის ახალი ფორმებისა და საშუალებების ძიება; 3) მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკისა და ესთეტიკური აღზრდის თეორიის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ახალი ძალით გაშლა. 4) უმაღლეს და საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში ესთეტიკის სწავლების შემოღება. 5) ესთეტიკური აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი კონფერენცია-სიმპოზიუმების სისტემატური ორგანიზაცია[1].

განსაკუთრებულ გაქანებას ესთეტიკური აღზრდა, მისი თეორია და პრაქტიკა იღებს დღეს განვითარებული სოციალიზმის პირობებში: შეიძლება ითქვას, რომ არასოდეს, ჩვენი საზოგადოების განვითარების არც ერთ ეტაპზე არ ჰქონია ესთეტიკურ აღზრდას ისეთი საყოველთაო-სახალხო ხასიათი, როგორიც ამჟამად აქვს. აღნიშნულმა გარემოებამ თავისი ასახვა-გამოხატულება სსრ კავშირის და, შე-

---

1 მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ საკავშირო სამეცნიერო კონფერენციები: "ესთეტიკური აღზრდის პრობლემები და თანამედროვეობა" (1963, მოსკოვი), "ესთეტიკა და ადამიანი" (1967, მოსკოვი); "რევოლუცია, მშვენიერება, ადამიანი" (1967, მოსკოვი); საკავშირო და რესპუბლიკური მასშტაბის კონფერენციები მოეწყო, აგრეთვე ნოვოსიბირსკში, კიევში, რიგაში, ბაქოში, სოხუმში და ა.შ.

საბამისად მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებშიც კი ჰპოვა, რითაც ესთეტიკური აღზრდა ჩვენში სახელმწიფო კანონის რანგში იქნა აყვანილი. ამაზე მეტი ოფიციალურობა რაღა გინდათ? პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა გამოსვლებშიც ხშირად არის ხაზგასმული ესთეტიკური აღზრდის აქტუალობა თანამედროვე ეტაპზე. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ამხ.ლ. ბრეჟნევის სიტყვა, რომელიც მან 1980 წლის 31 მარტს კრემლში, ლენინური პრემიის მიღებისას წარმოთქვა და რომელშიც ესთეტიკური აღზრდა დაყენებულ იქნა იდეოლოგიური და პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის ეპიცენტრში[1]. ამხ. ბრეჟნევის გამოსვლიდან ცოტა ხნის შემდეგ (1980 წ. 29 მაისს) სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მხატვართა კავშირების გამგეობათა პლენუმზე ამხ. ე.შევარდნაძემ თქვა: "როგორც მ.გორკი აღნიშნავდა ესთეტიკა მომავლის ეთიკაა. და როცა დღეს ჩვენ საფუძველს ვუყრით ადამიანთა ესთეტიკურ აღზრდას, ამით ხვალინდელ დღეს ვაშენებთ".[2]

3. როგორც ვხედავთ, არსებობს საკმაო საფუძველი კომუნისტური აღზრდის სისტემაში ესთეტიკური აღზრდის ადგილისა და როლის შესახებ საკითხის დასმისათვის. თუმცა ესთეტიკოსთა შორის იგი ყოველთვის იდგა და, რასაკვირველია, გარკვეულ გადაწყვეტასაც

---

1 იხ. Л.И.Брежнев, Во имя дела партии, дела народа (Вручение Ленинской премии Генеральному секретарю ЦК КПСС, председателю Президиума Верховного Совета СССР Л.И.Брежневу, 31 марта 1980г.). М.1980, с.14.

2 ე.შევარდნაძე, სოციალისტური ხელოვნების პარტიულობისათვის, კლასობრიობისათვის, ხალხურობისათვის,- სიტყვა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მხატვართა კავშირების გამგეობათა გაერთიანებულ პლენუმზე 1980წ. 29 მაისს. (იხ."ლიტერატურული საქართველო", 1980 წ. 5 ივლისი).

პულობა. იყო დრო, როცა ესთეტიკურ აღზრდას ჩვენში აღზრდის ძირითად, განსაკუთრებულ ფორმად მიიჩნევდნენ: უკიდურესობაში ვარდებოდნენ და, ამ იდეის მომხრეები ზოგჯერ აღზრდის სხვა ფორმების საჭიროებას საერთოდ უარყოფდნენ: მათთვის რომ დაგვეჯერა სწავლებისა და აღზრდის არსებული სისტემა ძირეულად უნდა შეგვეცვალა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ნაცვლად ყველგან მხატვრული სასწავლებლები შეგვექმნა. ამ იდეის აშკარა უპერსპექტივობამ, აგრეთვე საკუთრივ ესთეტიკური ცნებისადმი უნდობლობით დამოკიდებულებამ, რაც, თითქმის ორმოცდაათიანი წლების მიწურულამდე გრძელდებოდა, ხელი შეუწყვეს სრულიად საპირისპირო ტენდენციის ჩამოყალიბებას. ესთეტიკური აღზრდის მთელი აზრი, როგორც, კულტმასობრივი ღონისძიებების ჩატარების იდეამდე დაიყვანებოდა. საბჭოთა ესთეტიკოსთა მიერ დღეს, რა თქმა უნდა, არ მოიძებნება არც ერთი კაცი, რომელიც ესთეტიკურ აღზრდას ერთ-ერთ განსაკუთრებულ ადგილს არ მიუჩენდეს აღზრდის საერთო სისტემაში, მაგრამ ეს ადგილი ჯერ მაინც ის არ არის, რაც სინამდვილეში უნდა იყოს.

ერთი შეხედვით, თითქოს ყველაზე მართებული იქნებოდა თუ ესთეტიკურ აღზრდას დავახასიათებდით, როგორც კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. სკკპ XXV ყრილობამდე იგი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად სწორედ ასე იყო წარმოდგენილი. მაგალითად, კოლექტიურ მონოგრაფიაში "ესთეტიკური აღზრდის თეორიის საკითხები", რომელიც 1970 წელს გამოვიდა და, რომელსაც აღნიშნული პრობლემის კვლევის სფეროში მოპოვებული მიღწევების თავისებური განზოგადების პრეტენზია ჰქონდა, ვკითხულობთ: "ესთეტიკური აღზრდა არის ... აღზრდის ფორმა. შრომითი, ზნეობრივი და ფიზიკური აღზრდის გვერდით. მაგრამ უფლებამოსილია თუ არა ამ კონტექსტში სიტყვა "გვერდით"? რა თქმა უნდა, უფლებამოსილია, რადგან ესთეტიკური განიხილება კო-

მუნისტური აღზრდის საერთო სისტემაში" (ხაზი ჩემია, ა.ჩ.)[1]. უკანასკნელი წლების სპეციალურ ლიტერატურაში ესთეტიკური აღზრდის ამგვარ გაგებას, ცხადია აღარ ვხვდებით იმ "უბრალო მიზეზის" გამო, რომ იგი სკკპ XXV ყრილობის მიერ აპრობირებულ კომუნისტური აღზრდის სტრუქტურულ მოდელში არ თავსდება. მართალია, საბჭოთა ესთეტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის მ.ოვსიანიკოვის სტატია, რომელიც მისივე რედაქციით გამოსულ სახელმძღვანელო კრებულს "სტუდენტთა ესთეტიკური აღზრდა" შესავლად აქვს წამძღვარებული, დასათაურებულია ასე: "ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი  ა ღ ზ რ დ ა  კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი  ა ღ ზ რ დ ი ს  შ ე მ ა დ გ ე ნ ე ლ ი  ნ ა წ ი ლ ი", მაგრამ საკითხი აქ სრულიად სხვა ჭრილში დგას, ვიდრე ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში. თუ მ.ოვსიანიკოვის სტატიას კარგად ჩავუკვირდებით დავინახავთ, რომ მასში ესთეტიკურ აღზრდას კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი კომპონენტის კი არა, ძირითად კომპონენტთა ი ნ ტ ე გ რ ა ც ი ი ს ფუნქცია ენიჭება. "ესთეტიკური აღზრდა - წერს მ.ოვსიანიკოვი - ემსახურება იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ამოცანებს"[2].

საჭიროა აღინიშნოს, რომ იდეა ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი  ა ღ ზ რ დ ი ს  ი ნ ტ ე გ რ ა ც ი უ ლ ი  ხ ა ს ი ა თ ი ს  შ ე ს ა ხ ე ბ  ჩვენში კომუნისტური აღზრდის ტრადიციულად აღიარებული მოდელის ზეგავლენით არ წარმოშობილა. ეს იდეა, როგორც გარკვეული ტენდენცია თავს იჩენს ჯერ კიდევ სამოციანი წლების ლიტერატურაში. მაგალითად, გ.ჯიბლაძის ზემოთ უკვე მოხსენებულ მონოგრაფიაში "ესთეტიკური აღზრდის პრინციპი" (1968 წ.) ვკითხულობთ: "მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირება, შრომითი აღზრდა, კომუნისტური მორალის დამკვიდრება, მორალური კოდექსის ზნეობრივი პრინციპების პრაქტიკული განხორციელება - ყველაფერი ეს მჭიდრო უკავშირდება ესთეტიკური აღზრდის თეორიას და პრაქტიკას"[3]. იქვე ქვემოთ: "ესთეტიკური აღზრდა, როგორც მთლიანი

-----------------

1 Вопросы теории эстетического воспитания. М., 1970, с.14.

2 იხ. Эстетическое воспитание студентов. Сборник ученых социалистических стран. Под редакцией М.Ф.Овсянникова, М., 1980,с.5.

3 გიორგი ჯიბლაძე, ესთეტიკური აღზრდის პრინციპი, გვ.7.

პრაქტიკული პროცესის შემადგენელი ნაწილი, თავისთავად არ არსებობს; იგი არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს თვით ა ღ ზ რ დ ა"(შდ. მსგავს თვალსაზრისს ვხვდებით საბჭოთა ესთეტიკისა და პედაგოგიკის ბევრი სხვა წარმომადგენლის შრომებში. ერთი სიტყვით, აზრი ესთეტიკური აღზრდის,როგორც აღზრდის უნივერსალური სისტემის შესახებ ამ დროსათვის იმდენად იყო მომწიფებული, რომ იგი "ფილოსოფიურ ენციკლოპედიში"[1] იქნა შეტანილი და, მაშასადამე, თავისებური ოფიციალური დებულების რანგში აყვანილი. მომდევნო წლებში ეს იდეა კიდევ უფრო გამოკვეთილ-კატეგორიულ ხასიათს იღებს[2].

4. როგორც წინამდებარე პარაგრაფის სათაურიდან მკითხველმა ალბათ ამოიცნო მე მთლიანად ვიზიარებ იდეას ესთეტიკური აღზრდის ი ნ ტ ე გ რ ა ც ი უ ლ ი   ხ ა ს ი ა თ ი ს შესახებ. კაცმა რომ თქვას, ეს ა მარტო ამ პარაგრაფიდან, არამედ საერთო ესთეტიკური აღზრდის შესახებ მთელი ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამოსჭვივის. მართლაც, ვინც ჩემ მსჯელობას ზემოთ დაკვირვებით ადევნებდა თვალს, არ შეიძლებოდა არ შეემჩნია, რომ მასში ესთეტიკური აღზრდა და კომუნისტური აღზრდა წარმოდგენილი იყო როგორც ე რ თ ი ა ნ ი   პ რ ო ც ე ს ი , რომლის საბოლოო მიზანსაც შეადგენს...

ერთი შეხედვით, თითქოს ესთეტიკური აღზრდისა და კომუნისტური აღზრდის გზაგასაყარი სწორედ აქ წარმოიქმნება, რომ ისინი სწორედ საბო მიზნის (ე.ი., ამისდა შესაბამისად შედეგის) მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. საქმე ისაა, რომ ერთის საბოლოო მიზანს ს რ უ ლ ყ ო ფ ი ლ ი   ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი   პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს   ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ე ბ ა შეადგენს,მეორისა – ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ   გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ ი   და   ჰ ა რ მ ო ნ ი უ ლ ი   პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს   ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ე ბ ა. მაგრამ საკმარისია ამ ორი ცნების შინაარ-ბრივ-შედარებითი ანალიზი მოვახდინოთ, რომ ნათელი გახდეს მათი სრული იდენტურობა.

როგორც მკითხველს ემახსოვრება, სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების ქვეშ მოიაზრება ადამიანი, რომელიც თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ა და ა დ ა მ ი ა ნ უ რ   ა რ ს ო ბ რ ი ვ   ძ ა -

---

1 იხ. Философская энциклопедия, т.6, М., 1970, с.578.
2 იხ. Проблемы этики и эстетики, вып.I, Л., 1973, с.88.

ლ ე ბ ს  მ ა ქ ს ი მ ა ლ უ რ ა დ  გ ა მ ო ა ვ ლ ე ნ ს: ცნობილია, აგრეთვე ისიც, რომ ადამიანური არსობრივი ძალების მაქსიმალური გამოვლენა შეუძლია მ ხ ო ლ ო დ  ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ  გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ  დ ა  ჰ ა რ მ ო ნ ი უ ლ  პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა ს. გამოდის რომ სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნებისა და ყოვლისმხრივ განვითარებული და ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბება ე რ თ ი  დ ა  ი გ ი ვ ე  პროცესი ყოფილა. თუ ეს ასეა (და ეს ნამდვილად ასეა), მაშინ საკითხი ესთეტიკური აღზრდისა და კომუნისტური აღზრდის იდენტურობის შესახებ გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს, რადგან ამ უკანასკნელის მიზანს, როგორც ვიცით ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ  გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ ი  დ ა  ჰ ა რ მ ო ნ ი უ ლ ი  პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა  შ ე ა დ გ ე ნ ს.

ვლაპარაკობთ რა ესთეტიკური აღზრდისა და კომუნისტური აღზრდის იდენტურობის შესახებ, საკითხი აქ, ცხადია, აბსოლუტური მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. მათ შორის რომ რაიმე ნიუანსობრივი განსხვავება მაინც არ არსებობდეს, ერთი რომელიმე ხმარების საჭიროება მოიხსნებოდა. "მოიხსნის" პირველი კანდიდატი, რა თქმა უნდა, ესთეტიკური აღზრდა იქნებოდა, რადგან კომუნისტური აღზრდის ცნება როგორც ვიცით უშუალოდ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის იდეასთან დაკავშირებული, ხოლო ჩვენი ცხოვრების მთელ პათოსს, მის აზრსა და ძირითად მიმართულებას სწორედ ეს იდეა განსაზღვრავს.

ნათქვამიდან გამომდინარე ხომ არ შეიძლებოდა, რომ კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი თავისებურება მის "დაქვემდებარებულ" ანუ "საშუალეობით" ხასიათში გვეძებნა? გარკვეული აზრით, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. საქმე ისაა, რომ კომუნისტურ აღზრდაში აქცენ-

ჭი, ჩვეულებრივ, საბოლოო მიზანზე კი არ არის გადატანილი, არამედ მისი მიღწევისათვის აუცილებელი პირობების მომზადებაზე. მაგალითად: კომუნისტური აზრის ძირითადი ამოცანა თანამედროვე ეტაპზე მდგომარეობს კ ო მ უ ნ ი ზ მ ი ს  მ შ ე ნ ე - ბ ე ლ ი  ა დ ა მ ი ა ნ ი ს  აღზრდაში. კომუნისტური აზრის საბოლოო ამოცანა – ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ  გ ა ნ ვ ი თ ა - რ ე ბ უ ლ ი  დ ა  ჰ ა რ მ ო ნ ი უ ლ ი  პ ი რ ო ვ ნ ე - ბ ი ს  ჩამოყალიბებაში. პირველ შემთხვევაში კომუნისტური აზრი წარმოგვიდგება, როგორც  ს ა შ უ ა ლ ე ბ ა  კომუნისტური საზოგადოების წარმატებით მშენებლობისათვის, მეორე შემთხვევაში – როგორც  ს ა შ უ ა ლ ე ბ ა  სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ძნელი შესამჩნევი არ უნდა იყოს, რომ აქ წინა პლანზე, როგორც ესთეტიკური აზრი იწევს. მართლაც, თანამედროვე ეტაპისათვისაც და მომავლისათვისაც ესთეტიკური აზრის ფოკუსში ადამიანი დგას. ადამიანი, როგორც საშუალება კი არა, არამედ, როგორც თვითმიზანი. ის გარემოება, რომ კომუნისტური აზრის საბოლოო მიზანი არის ყოველმხრივ განვითარებული და ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბება, რაც, თავის მხრივ, ესთეტიკური აზრის საბოლოო მიზნის – სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა, ლოგიკურად აყენებს საკითხს. ამ უკანასკნელის რაობის პრიმატის შესახებ. თუმცა საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს "Можно даже доказывать, что рождение идей о коммунистическом обществе в немалой степени было обусловлено идеей о непотребительском, эстетическом отношении человека к действительности, идей дальнейшего развития Гомо Сапиенс до уровня Гомо Эстетикус"[1]. უნდა გავიხსენოთ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის

---

[1] Н. Д ж а н д ж е х а ш в и л и, Искусство и прогресс, Тб., 1977, с.230.

ყოველისა, ჩამოყალიბდა, როგორც კომუნიზმის მეცნიერული თეორია და არა ფილოსოფიური ანთროპოლოგია.

5. აღზრდის საბოლოო ამოცანების განასერში იდეა ესთეტიკური აღზრდის კომუნისტურ აღზრდასთან იდენტურობის შესახებ, ვფიქრობ დამაჯერებლად გამოიყურება. მაგრამ როგორ გამოიყურება იგი აღზრდის დღევანდელი, თანამედროვე ამოცანების ფონზე? მკითხველმა უკვე იცის, რომ კომუნისტური აღზრდის სისტემა დღეს მოიაზრება ისეთი ძირითადი კომპონენტების სახით, როგორიცაა: ი დ ე უ რ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი  ა ღ ზ რ დ ა, შ რ ო მ ი თ ი  ა ღ ზ რ დ ა  დ ა  ზ ნ ე ო ბ რ ი ვ ი  ა ღ ზ რ დ ა. სადღა არის ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი  ა ღ ზ რ დ ა ?

ტენდენცია, რომელიც ზოგჯერ იჩენს ხოლმე თავს ჩვენში და რომლის არსი ესთეტიკური აღზრდის მნიშვნელობის აბსოლუტურ მიჩქმალვაში მდგომარეობს სრულ გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს. სპეციალისტები, რომლებსაც კარგად ესმით ესთეტიკური აღზრდის მნიშვნელობა დღეს, მაგრამ მას კომუნისტური აღზრდის ოფიციალურად მიღებულ მოდელში ადგილს ვერ უძებნიან, ლაპარაკობენ ძირითადი კომპონენტების – იდეურ-პოლიტიკური აღზრდის, შრომითი აღზრდის და ზნეობრივი აღზრდის ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი  ა ს პ ე ქ ტ ე ბ ი ს შესახებ. ასეთი ასპექტების შესახებ ლაპარაკი, რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ საქმე ისაა რას მოვიაზრებთ მის ცნებაში. იგი შეიძლება გაგებულ იქნას, მაგალითად, როგორც იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ან შრომითი აღზრდის ეფექტურობის ამაღლების საშუალება, როგორც ესთეტიკური მოტივების შეტანა ადამიანთა მორალურ ქცევებში და ა.შ. ცხადია, რომ ასეთად გაგებული ესთეტიკური ასპექტი ესთეტიკური აღზრდის არსებას ვერ გამოხატავს.

საკითხის გადაწყვეტის მთელი სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ ესთეტიკურ აღზრდას მკაფიოდ გამოკვეთილი, სპეციფიკურ-ლო-

კალური საგანი არ გააჩნია: მართალია, ესთეტიკური აღზრდის ობიექტი, ისე, როგორც ყოველგვარი აღზრდის ობიექტი არის ა დ ა მ ი ა ნ ი , მაგრამ საქმე ისაა, თუ კონკრეტულად ( ) ამოცანას ისახავს იგი. იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, მაგალითად ადამიანს ამზადებს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი  მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ი ს ა თ ვ ი ს , შრომითი აღზრდა - შ რ ო მ ი თ ი  მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ი ს ა თ ვ ი ს , ესთეტიკური აღზრდა? ერთი შეხედვით, თითქოს საკითხი აქაც ნათელია: რამდენადაც აღზრდის ყოველი კონკრეტული ფორმა მოღვაწეობის შესაბამისი კონკრეტული ფორმისათვის ადამიანის მომზადებას ისახავს მიზნად, ესთეტიკური აღზრდის ამოცანაც "ესთეტიკური მოღვაწის" ჩამოყალიბება უნდა იყოს, მაგრამ რას ნიშნავს, როგორ უნდა გავიგოთ  ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი  მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ი ს  ცნება? როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრი მასში მხატვრულ მოღვაწეობას მოიაზრებს, მაგრამ მხატვრული მოღვაწეობა ხომ უწინარესად მხატვრული აღზრდის ამოცანას შეადგენს? ყოველივე იმის შემდეგ, რაც ზემოთ ესთეტიკური აღზრდის არსების შესახებ ითქვა საკითხი ესთეტიკური აღზრდისა და მხატვრული აღზრდის იგივეობის შესახებ არა მგონია კვლავ წამოიჭრას.

მაშ როგორ უნდა გავიგოთ ესთეტიკური მოღვაწეობა? ამ კითხვაზე რომ რამდენადმე დამაჯერებელი პასუხის გაცემა შევძლოთ, საჭიროა მოვიგონოთ, რომ აღზრდის სახეები ზემოთ ჩამოთვლილი ფორმა, საბოლოო ანგარიშით ემსახურება სწორედ ადამიანის, როგორც ესთეტიკური მოღვაწის, როგორც ესთეტიკური პიროვნების ჩამოყალიბების ამოცანას. საკითხი უფრო ნათელი გახდება, როგორც კი მას "ლაბორატორიაში" ჩავიხედავთ.

თუმცა დიდი დაკვირვება და "ლაბორატორიული ანალიზი" როდია საჭირო იდეურ-პოლიტიკური აზრის ესთეტიკური არსება, რომ დავინახოთ. მართლაც, იდეურ-პოლიტიკური აზრის ყველაზე გავრცობილი გაგება ხომ ადამიანში სწორი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ამოცანას უკავშირდება? მსოფლმხედველობის ცნების ქვეშ კი ჩვეულებრივ მოიაზრებენ მყარ, სისტემურ პასუხს კითხვებზე: რ ა  ა რ ი ს  ს ა მ ყ ა რ ო  დ ა  რ ო გ ო რ ი ა  ჩ ე მ ი  ა დ გ ი ლ ი  ა მ  ს ა მ ყ ა რ ო შ ი . პასუხი კითხვაზე: " რა არის სამყარო" გულისხმობს საკითხის ორ განზომილებიან გადაწყვეტას – გნოსეოლოგიურსა და აქსიოლოგიურს. ამიტომ პირველ კითხვაზე პასუხში, თავისებურად მეორე კითხვის პასუხიცაა მოცემული. მე ვამბობ თავისებურად მეთქი, რადგან ამ კითხვაში აქცენტი მაინც სამყაროზეა გადატანილი, მაშინ, როცა მეორე კითხვა ცენტრში სწორედ ადამიანს მოაქცევს.

საკითხს: როგორია ჩემი ადგილი ამ სამყაროში? ადამიანი, უწინარეს ყოვლისა, ცხადია თავისუფლების განასერში აყენებს. საქმე ისაა, რომ თავისუფლება ადამიანის უმაღლესი მიზანია და, მაშასადამე, ყველაფერი საბოლოო ანგარიშით ამ მიზანს ექვემდებარება. და თუ მოვიგონებთ, რომ თავისუფლება როგორც უმაღლესი ადამიანური მიზანი გულისხმობს ადამიანის სინამდვილესთან (გარემომცველ სამყაროსთან) სრულ ჰარმონიას, რომლის დროსაც შესაძლებელი ხდება მისი, როგორც ადამიანის არსობრივი ძალების მაქსიმალური გამოვლენა, მაშინ ნათელი ხდება, თუ რა აზრით არის ლაპარაკი იდეურ-პოლიტიკური აზრის ესთეტიკურ არსებაზე. ადამიანური არსობრივი ძალების მაქსიმალური გამოვლენა ხომ სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების უმთავრესი ნიშანია?

აყენებს რა სამყაროში თავისი ადგილის საკითხს თავისუფლების განასერში, ადამიანის წინაშე, ბუნებრივია, წამოიჭრება

თავისუფლების რეალური განხორციელებისათვის ბრძოლის ამოცანაც. და რადგან ამ ამოცანის განხორციელება არსებული სინამდვილის პირობებში შეუძლებელია, ასევე ბუნებრივად დგება საკითხი მისი შეცვლა-გარდაქმნის შესახებაც. მოღვაწეობა კი, რომელიც მიმართულია სამყაროს გარდაქმნისაკენ და რომელიც უმაღლესი თავისუფლების იდეას ემყარება არის ესთეტიკური მოღვაწეობა. ამასთან საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ: 1) ადამიანი სინამდვილეს გარდაქმნის არა მარტო განვითარების ობიექტური კანონების, არამედ სილამაზის კანონების მიხედვითაც და 2) გარდაქმნის რა სინამდვილეს, ადამიანი ამით გარდაქმნის საკუთარ თავსაც.

როგორც მკითხველს კარგად მოეხსენება, სამყაროს გარდაქმნაც და თვით ადამიანის გარდაქმნაც, უპირველეს ყოვლისა შ რ ო მ ა ს თ ა ნ არის დაკავშირებული. ეს იმას ნიშნავს, რომ იდეურ-პოლიტიკური აღზრდა მოიცავს შრომით აღზრდასაც, ხოლო შრომითი აღზრდა, თავის მხრივ, წარმოუდგენელია იდეურ-პოლიტიკურ ან მსოფლმხედველობრივი აღზრდის გარეშე. მაგრამ საქმე ისაა, რომ ორივე – იდეურ-პოლიტიკური აღზრდაც და შრომითი აღზრდაც აუცილებლობ გულისხმობს ზნეობრივ აღზრდას. აზრის ხატოვანი ნათელყოფის ხერ თუ მივმართავდით, კომუნისტური აღზრდა შეიძლება წარმოგვედგინა, როგორც სამკუთხოვანი პირამიდა, რომლის ერთ გვერდს იდეურ-პოლიტიკური აღზრდა შეადგენს, მეორეს – შრომითი აღზრდა, მესამეს – ზნეობრივი აღზრდა. იმისდა მიხედვით, თუ პირამიდის რომელი გვერდით ჩვენსკენ შემობრუნებული, კომუნისტური აღზრდა შეძლება დახასიათებულ იქნას ან როგორც მ ს ო ფ ლ მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ რ ი ვ ი ა ღ ზ რ დ ა, ან როგორც შ რ ო მ ი თ ი ა ღ ზ რ დ ა, ან როგორც ზ ნ ე ო ბ რ ი ვ ი ა ღ ზ რ დ ა. მაგრამ, არის ხედვის წერტილი, საიდანაც კომუნისტური აღზრდა აღიქმება, როგორც ერთიანი სისტემა, ე.ი. იდეურ-პოლიტიკური

აღზრდის, შრომითი აღზრდისა და გონებრივი აღზრდის ორგანული ერთიანობა. ხედვის ეს წერტილი, ცხადია პირამიდის ქიმზე ან მის ზევით შეიძლება არსებობდეს. ამასთან: სიტყვა "ზევით" აქ გამოყენებულია არა "ფიზიკური", არამედ ესთეტიკური მნიშვნელობით, რამეთუ მასში მოიაზრებულია გადასახედი უმაღლესი თავისუფლებისა, რომელიც ჯერ მხოლოდ მიზნის სფეროს განეკუთვნება და თავის პირობით ხორცშესხმა-განხორციელებას ესთეტიკურ იდეალში პოულობს. თავისთავად ცხადია, რომ ესთეტიკური იდეალის პრიზმაში განხილული კომუნისტური აღზრდა მთლიანად ემთხვევა ესთეტიკურ აღზრდას.

## თავი მეორე: ესთეტიკური აღზრდის ამოცანების შესახებ განვითარებული სოციალიზმის პირობებში

### § 1. საკითხის დასმა

1. განვითარებული სოციალიზმის პერიოდის ესთეტიკური აღზრდის ამოცანა, რომ ესთეტიკური აღზრდის საბოლოო ამოცანას – სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების ჩამოყალიბების ამოცანას არ შეიძლება ემთხვეოდეს ეს, ვფიქრობ, განსაკუთრებულ დასაბუთებას არ საჭიროებს. მართალია განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, რომელიც კანონზომიერი ეტაპია კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე, ადამიანის, როგორც სოციალური ფენომენის ესთეტიკური განვითარების დიდ, მანამდე არნახულ შესაძლებლობებს ქმნის, მაგრამ ეს შესაძლებლობები სრულიადაც არ არის საკმარისი სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. მას (განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებას) ესთეტიკური აღზრდის ბოლო ამოცანის მ ხ ო ლ ო დ  გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი  მ ო ნ ა კ ვ ე -

თის შესწყლება შეუძლია: რაში გამოიხატება ამ მონაკვეთის არსი?

მკითხველი, რა თქმა უნდა, ხვდება, რომ აქ საკითხი ესთეტიკური აღზრდის ტაქტიკის განასერში დგას. თუ ესთეტიკური აღზრდის საბოლოო მიზანი (სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების ჩამოყალიბება) სტრატეგიის სფეროს განეკუთვნება, ესთეტიკური აღზრდა დღეს, ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ტაქტიკის საქმეა. მაგრამ "თანამედროვე ეტაპი" ხომ გაყინული, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული სიდიდის გამომხატველი ცნება არ არის. განვითარებული სოციალიზმი, როგორც კომუნისტურ საზოგადოებაზე თანდათანობით გადასვლის კანონზომიერი ეტაპი, მუდმივ ცვალებადობასა და წინსვლა-გადახალისებას განიცდის. ამიტომ ესთეტიკურ აღზრდას განვითარებული სოციალიზმის პირობებში უნდა ჰქონდეს და აქვს კიდეც თავისი მთავარი მიპანი და სუბმიზანი. და აქედან გამომდინარე თავისი სტრატეგია და ტაქტიკა. ესთეტიკური აღზრდის, როგორც საერთო-საკაცობრიო პროცესისა და მისი საბოლოო მიზნის - სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების მიმართ განვითარებული სოციალიზმის პერიოდის ესთეტიკური აღზრდა ტაქტიკაა. მაგრამ რამდენადაც ესთეტიკურ აღზრდას განვითარებული სოციალიზმის პირობებში თავისი საკუთარი ამოცანა (მიზანი) გააჩნია, იგი წარმოგვიდგება, აგრეთვე, როგორც სტრატეგიისა და ტაქტიკის ერთიანობა. ესთეტიკური აღზრდა, რომელიც განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ადამიანის დასრულებული ესთეტიკური მოდელის ჩამოყალიბებისკენაა მიმართული, სტრატეგიაა, ხოლო ამ მიზნის განხორციელებისაკენ მიმართული ლოკალური ღონისძიებები - ტაქტიკა.

უკანასკნელ წლებში ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოჩნდა

ცნება, რომელიც, ჩემის ფიქრით, ძალიან კარგად გამოხატავს ესთეტიკური აზრის ძირითად აზრს განვითარებული სოციალიზმის პირობებში. ესაა "საბჭოთა ადამიანის ესთეტიკური კულტურის" ცნება[1]. ესთეტიკური აზრის მთავარი მიზანი განვითარებული სოციალიზმის პირობებში არის სწორედ ესთეტიკურად მაღალკულტურული ადამიანის ჩამოყალიბება.

2. საბჭოთა ადამიანის ესთეტიკური კულტურის შესახებ რომ ლაპარაკობენ, უწინარეს ყოვლისა მხედველობაში აქვთ: მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური ორიენტაცია და, აქედან გამომდინარე ესთეტიკური აქტივობა; მატერიალურ და სულიერ დირებულებათა მოხმარების კულტურა; ყოფისა და ქცევის კულტურა და, რა თქმა უნდა შრომის კულტურა. როგორც მკითხველს ემახსოვრება, ესთეტიკური კულტურის ეს ნიშნები დამახასიათებელია სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნებისათვის. განვითარებული სოციალიზმის პერიოდის ადამიანისა და მომავლის (კომუნისტური საზოგადოების) ადამიანის ესთეტიკური მოდელები, რომ ერთმანეთს ემსგავსებიან ამაში გასაკვირი, რა თქმა უნდა, არაფერია, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ მათ შორის სწორედ განსხვავების დადგენა გვესაჭიროება. განსხვავებისა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს მკაფიოდ გამოვკვეთოთ ესთეტიკური აზრის ამოცანები განვითარებული სოციალიზმის პირობებში. არ არსებობს რა ახლა საკითხში საგანგებო ჩაღრმავების შესაძლებლობა და, არც

---

1 ეს ცნება პირველად საბჭოთა ესთეტიკაში ა.ეგოროვის შრომებში გამოჩნდა.

აუცილებლობა. ეს განსხვავება ძალიან მოკლედ ასე შეიძლება წარ-მოვისახოთ: კაცობრიობის ესთეტიკური განვითარების საბოლოო მი-ზანს წარმოადგენს "ს რ უ ლ ყ ო ფ ი ლ ი  ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი  პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა". სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნება გულისხ-მობს ა დ ა მ ი ა ნ ი ს  ( ი ნ დ ი ვ ი დ ი ს ), როგორც ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი  ო ბ ი ე ქ ტ ი ს ა  დ ა  ე ს თ ე ტ ი-კ უ რ ი  ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს  ჩამოყალიბებას. როგორც ჩანს გან-ვითარებული სოციალიზმის პირობებში სრულყოფილი ესთეტიკური პირო-ვნების სწორედ პირველი მხარის, ე.ი. ი ნ დ ი ვ ი დ ი ს, რ ო გ ო რ ც  ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი  ო ბ ი ე ქ ტ ი ს  მომზადება ხდება. და რამდენადაც ადამიანი, როგორც ესთეტიკური ობიექტი ორ განზომილებას — შ ი ნ ა გ ა ნ ს ა  დ ა  გ ა რ ე-გ ა ნ ს  მოიცავს, სრულიად ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ სოცია-ლისტური საზოგადოების მონაკვეთებს შორის განსხვავება ესთეტი-კური აღზრდის თვალსაზრისით სწორედ აღნიშნული განზომილებებისა-დმი ყურადღების აქცენტირების ხარისხში მდგომარეობს.

მაინც რაში გამოიხატება ესთეტიკური აღზრდის ძირითადი ამო-ცანა განვითარებული სოციალიზმის პირობებში? როგორ უნდა წარმო-ვიდგინოთ დასრულებული მოდელი ესთეტიკურად კულტურული ადამია-ნისა? დასმულ კითხვებზე რომ პასუხები დამაჯერებელი იყოს, საჭი-რო იქნება ძალიან მოკლედ, მაგრამ მაინც დავახასიათოთ საბჭოთა ადამიანის ადრინდელი ესთეტიკური მოდელი.

3. პირობითად უნდა დავუშვათ, რომ "ადრინდელის", როგორც დროის კატეგორიის შინაარსში 20–50–იანი წლების მონაკვეთი მოია-ზრება. მკითხველს კარგად მოეხსენება რა პერიოდი იყო ეს და რა სირთულე-წინააღმდეგობებით ხასიათდებოდა იგი ადამიანის ესთეტი-კური განვითარების თვალსაზრისით. ერთი შეხედვით, თითქოს ყვე-ლაზე მოხერხებული იქნებოდა თუ შედარების ფონად 50–იანი წლების

საბჭოთა ადამიანის ესთეტიკურ მოდელს ავიღებდით, მაგრამ გვაქვს კი ასეთი მოდელი? ადამიანის ესთეტიკური მოდელი, ჩვეულებრივ, თავის სრულყოფილ გამოხატულებას მხატვრულ სახეში პოულობს, მაგრამ, სამწუხაროდ, მეტისმეტად კრიტიკული პათოსის გამო 50-იანი წლების საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებაში დადებითი გმირის რამდენადმე შთამბეჭდავი სახე არ შექმნილა[1]. ე.წ. პიროვნების კულტის კრიტიკის მოტივით ბევრი ხელოვანი მაშინ რ ე ა ლ უ - რ ი ს კრიტიკით უფრო იყო დაკავებული, ვიდრე მისი მხატვრული განზოგადოებით და იდეალურ პრიზმაში წარმოდგენით. ამ დროის ლიტერატურასა და ხელოვნებაში ფეხმოკიდებულ "საპყრობილე-ბანაკების" მოტივს მოჰყვა საბჭოთა ადამიანის ახალი ტიპის - უსამართლოდ წამებული ადამიანის ტიპის გამოჩენა. თუ საითკენ იყო მიმართული ეს, უკაცრავად პასუხია, მხატვრული ტენდენცია, ვფიქრობ ძალიან კარგად ჩანს სოლჟენიცინის მაგალითზე.

საბედნიეროდ, უმდიდრესი ქართული ტრადიციების მქონე საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის აღნიშნული ტენდენცია კერძო შემთხვევა იყო. 20-30-40-იანი წლების საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებაში შეიქმნა ესთეტიკური მოდელი ადამიანისა, რომელიც სრულიად თამამად შეიძლება მივიჩნიოთ თვისობრივად ახალ ეტაპად ადამიანის ესთეტიკური განვითარების ისტორიაში. თუ წარსულის ხელოვნება გმირებს, უმეტესწილად იგონებდა, თხზავდა, საბჭოთა ხელოვნება მათ რეალურ სინამდვილეში ეძებდა და პოულობდა

---

1 მე, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მაქვს დიდი სამამულო ომის თემაზე შექმნილი ნაწარმოებები. ამ ხასიათის ნაწარმოებებში, რა თქმა უნდა, შექმნილია ბრწყინვალე მხატვრული სახეები საბჭოთა ადამიანისა, გამოხატულია მისი გმირული, ამაღლებული სული, მაგრამ ეს მაინც 40-იანი წლების საბჭოთა ადამიანის მოდელი იყო.

კიდევ. საკმარისია მოვიგონოთ ნ.ისტრიევსკის, ა.ფადეევის და სხვ. მხატვრული ქმნილებები.

შეცდომა იქნებოდა, რა თქმა უნდა, იმის ფიქრი, რომ საბჭოთა არმიის დღევანდელ ეთიკურ მოდელსა და "ადრინდელ" ეთიკურ მოდელს შორის მკაფიოდ გამოკვეთილი განსხვავება არსებობდეს. ეს განსხვავება ჯერ მხოლოდ  რ ა ო დ ე ნ ო ბ რ ი ვ  ხასიათს ატარებს და, ალბათ, ასეთად დარჩება დიდ ხანს. მაგალითისათვის შეიძლება საბჭოთა არმიის "ადრინდელი" და "დღევანდელი" მოდელების ეთიკური კულტურის ზოგიერთი კომპონენტის ურთიერთშედარება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საბჭოთა არმიის ეთიკური კულტურის ერთ-ერთ უმთავრეს და, როგორც ქვემოთ (ამ მონოგრაფიის მესამე განყოფილებაში) ვნახავთ, მადომინანტებელ კომპონენტს წარმოადგენს  შ რ ო მ ი ს  კ უ ლ ტ უ რ ა . უნდა ითქვას, რომ შრომის კულტურის გარკვეული დონის გარეშე არ არსებულა საზოგადოების განვითარების არც ერთი ეტაპი. მით უფრო ძნელია სადემარკაციო ხაზის გავლება ამ მხრივ სოციალიზმის განვითარების ადრეულ პერიოდსა და დღევანდელ, ე.ი. მომწიფებულ პერიოდს შორის. ლაპარაკობდა რა შრომისა და კულტურის ისტორიული შეხვედრის შესახებ, ამხ. ლ. ბრეჟნევს მხედველობაში ჰქონდა სოციალისტური საზოგადოება საერთოდ და არა მისი განვითარების მხოლოდ დღევანდელი ეტაპი[1].

და მაინც, საბჭოთა არმიის შრომითი კულტურის ზრდის პროცესის დიაგრამული გამოხატვა, რომ გვეცადა, იგი ალბათ, მკვეთრად წვეტმაღალი ხაზის სახეს მიიღებდა, მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა, შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანმა ზრდამ, ხუთდღიან

------------------

1 სმ. Л.И.Брежнев, Ленинским курсом. Речи и статьи, т.6, с.5

სამუშაო კვირაზე გადასვლამ და ა.შ. ხელი შეუწყვეს საბჭოთა ადამიანებში შრომისადმი ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი  დ ა მ ო - კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ჩამოყალიბება-გაღრმავებას. თუ ადრე ინდივიდის შრომას, უპირატესად ე კ ო ნ ო მ ი უ რ - მ ო - რ ა ლ უ რ - უ ფ ლ ე ბ რ ი ვ ი მიდგომა განსაზღვრავდა, დღეს მასში განსაკუთრებულ ადგილს ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი  მ ო - ტ ი ვ ი  ი კ ა ვ ე ბ ს . ესთეტიკური მოტივის ცნებაში, პირ- ველ რიგში, ცხადია ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი მოთხოვნილება იგუ- ლისხმება. სამართლებრივ=მორალური მოვალეობისა და ეკონომიური აუცილებლობის ფაქტიდან, შრომა, თანდათან ესთეტიკური მოთხოვ- ნილების ფაქტად იქცევა. საქმე ეხება არა მარტო შრომის, როგორც თვითდამკვიდრების უმთავრესი სფეროს გაგებას ან შრომითი გარე- მოს ესთეტიზაციისაკენ მიმართულ აქტიურ მოქმედებას, არამედ ს ი ლ ა მ ა ზ ი ს  კ ა ნ ო ნ ე ბ ი ს  მ ი ხ ე დ ვ ი თ  შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს  ყოველდღიური საქმიანობის კანონად ქცევის ტენდენციას.

საბჭოთა ადამიანის ესთეტიკური კულტურის დონე მნიშვნელო- ვნადაა განპირობებული, აგრეთვე მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი  დ ა  ს უ ლ ი ე რ ი  ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი ს  ნ ო ხ მ ა რ ე - ბ ი ს  კ უ ლ ტ უ რ ი ს ა გ ა ნ . ეს პრობლემა, უფრო ზუსტად, ამ პრობლემის პირველი ნაწილი ადრე არ მდგარა. ჯკმართობაც საჭი- როებს, რა თქმა უნდა, გარკვეულ კულტურას; (მაგალითად, შრომის კულტურას), მაგრამ მას, ჩვეულებრივ, კანონი აწესრიგებს. რაც შეეხება პრობლემის მეორე მხარეს, იგი, არსებითად სოციალისტურ სულიერ ღირებულებათა 'მოხმარების' კულტურით შემოიფარგლებოდა. 30-40-იანი წლების საბჭოთა ადამიანები, ამ მხრივ, მართლაც, რომ უნიკალურნი იყვნენ. სამაგიეროდ მათ ნაკლები მოთხოვნილება

ჰქონდათ კლასიკაზე, ხოლო თანამედროვე დასავლეთის სულიერ სამ-ყაროს საერთოდ არ იცნობდნენ. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, საერთაშორისო ტურიზმის განვითარება, საკულტურო დაწესებულებათა ქსელის არნახული განვითარება და ა.შ. დღეს მთელი სიმწვავით აყენებს სულიერ ღირებულებათა მიზანშეწონილი მოხმარების პრობ-ლემას. მარტო ტელევიზორი კმარა იმის საილუსტრაციოდ თუ რაოდენ დიდია სულიერ ღირებულებათა შეფასებისა და მოხმარების კულტურის როლი თანამედროვე პირობებში[1].

შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, ადამიანის ესთეტიკური კულტურის სხვა კომპონენტებსაც შევხებოდით, მაგრამ ნათქვამიდანაც, ვფიქ-რობ ისედაც ნათელია, რომ განვითარებული სოციალისტური საზოგა-დოების პერიოდის ესთეტიკური აღზრდის ძირითადი ამოცანა ს ა ბ-ჭ ო თ ა ა დ ა მ ი ა ნ ი ს შ ე მ დ გ ო მ ე ს თ ე ტ ი-კ უ რ - კ უ ლ ტ უ რ უ ლ ს რ უ ლ ყ ო ფ ა შ ი მდგომარეობს. წარმოადგენს რა კანონზომიერ ეტაპს კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე, განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებას არ შეიძლება მკაფიოდ გამოკვეთილი მიჯნა ქონდეს, რომლის იქით უსათუოდ კო-მუნიზმი იწყება. ამიტომ არც ესთეტიკურად კულტურული ადამიანის დასრულებული მოდელი შეიძლება იყოს დასრულებული ამ სიტყვის კატეგორიული მნიშვნელობით. განვითარებული სოციალიზმის პერიო-დის ადამიანის ესთეტიკური მოდელი წარმოდგენილი უნდა იქნას, რო-გორც პროცესი, რომლის ძირითადი მიმართულებები, ალბათ ასე გა-მოიკვეთება: შ რ ო მ ი ს შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი პ ო -

---

1 თუ გავითვალისწინებთ, რომ უახლოეს მომავალში შესაძლებელი იქნება ტელეგადაცემების მიღება თურქეთიდან და სხვა მეზობე-ლი კაპიტალისტური ქვეყნებიდან, ნათელი ხდება დასმული პრობლემის მნიშვნელობა.

ტენციის სულ უფრო მეტი გამოვლენა, მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა გონივრული წარმართვა და კომუნიზმის ესთეტიკურ იდეალზე დაფუძნებული ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება; ადამიანში ეთიკურისა და ესთეტიკურის ორგანული შერწყმა; მხატვრული თვითმოქმედებისა და პროფესიული ხელოვნების თანდათანობითი შეხამება; ესთეტიკურად აქტიური პიროვნების ჩამოყალიბება.

სრულიად აშკარაა, რომ ესთეტიკური აღზრდის აღნიშნული ამოცანები უშუალოდ დაკავშირებული ახალი ადამიანის ჩამოყალიბების ამოცანასთან, რაც დღეს, თანამედროვე პირობებში იდეოლოგიური მუშაობის მთავარ ხაზად მიჩნეული, მაგრამ ახალი ადამიანის ჩამოყალიბება და, მაშასადამე, ესთეტიკური აღზრდაც არ შეიძლება წარმოდგენილ იქნას განყენებულად, იმ აქტუალური სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პრობლემებისაგან დამოუკიდებლად, რომლებიც ჩვენი საზოგადოების წინაშე დგას. მრავალფეროვან ფაქტორთაგან, რომლებიც დღეს ესთეტიკური აღზრდის მიმართულებასა და სოციალურ რეზონანსს განსაზღვრავენ, უნდა გამოიყოს: 1) ცხოვრების სოციალისტური წესის შემდგომი განმტკიცებისა და სრულყოფის ამოცანა. 2) მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში შრომის გაუცხოების ტენდენციის დაძლევის ამოცანა და 3) იმ-

პერიალიზმის წინააღმდეგ იდეოლო-გიური ბრძოლის ეფექტური წარმარ-თვის ამოცანა.

## § 2. ცხოვრების საბჭოური წესის შემდგომი განმტკიცება-სრულყოფის ამოცანა და ესთეტიკური აღზრდა

1. აჯამებდა რა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის შედეგებს, ამხ. ლ.ი.ბრეჟნევი სკკპ XXV ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან ამბობდა: "ეს არის უკრიზისო, მუდმივად მზარდი ეკონომიკის, მომწიფებული სოციალისტური ურთიერთობის ნამდვილი თავისუფლების საზოგადოება. ეს არის საზოგადოება, სადაც გაბატონებულია მეცნიერული მატერიალისტური მსოფლმხედველობა. მის წინაშე გადაშლილია შემდგომი ყოველმხრივი პროგრესის უსაზღვრო სივრცეები. განვლილი ჭეშმარიტი კოლექტივიზმისა და ამხანაგობის ატმოსფერო, ქვეყნის ყველა ერისა და ხალხის შეკავშირება, მეგობრობა, რაც დღითიდღე მტკიცდება, ჯანსაღი ზნეობა, რომელიც ძალასა და სიმტკიცეს გვმატებს - ასეთია ჩვენი ცხოვრების წესის წარმტაცი ფერები, ასეთია სოციალიზმის დიადი მონაპოვრები, რომლებიც ჩვენი სინამდვილის ძვალსა და რბილშია გამჯდარი. და ბოლოს, განვლილი სამოცი წლის უმნიშვნელოვანესი შედეგია საბჭოთა ადამიანი"[1]. საკითხი სოციალისტური ცხოვრების წესის შესახებ ამხ. ლ. ბრეჟნევის მოხსენებაში, ცხადია შემთხვევით, მხოლოდ ჩვენი საზოგადოების განვითარების ისტორიული მონაპოვრის კონსტატაციის მიზნით არ წამოჭრილა. კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის იმ უმნიშვნელოვანეს ამოცანათა შორის, რომელიც პარტიის XXV ყრილობის მიერ მეათე ხუთწლედის

---

1 სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 119.

პერიოდისათვის იქნა დასახული, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სწორედ ცხოვრების სოციალისტური წესის სრულყოფის ამოცანამ დაიკავა.

„მთელი ჩვენი საქმეები და ფიქრები სოციალისტური ცხოვრების წესის სრულყოფას ისახავენ მიზნად"[1], განაცხადა ამხ. ლ.ბრეჟნევმა თავის გამოსვლაში ქალაქ ტულისათვის „ოქროს ვარსკვლავის" მედლის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე 1977 წ. 18 იანვარს. სკკპ ცკ-ის, სსრკ უმაღლესი საბჭოსა და სსრკ მინისტრთა საბჭოს მიმართვაში, საბჭოთა ხალხისადმი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავთან დაკავშირებით, ნათქვამია: „ჩვენ მოგიწოდებთ ყველა მოქალაქეს განამტკიცონ და განავითარონ სოციალისტური ცხოვრების წესი"[2]. სავსებით გასაგებია, რომ საბჭოთა ხალხის ტიტანურმა შრომამ მეათე ხუთწლედში, პირველ რიგში, ცხოვრების სოციალისტური წესის განმტკიცებისა და სრულყოფისათვის ბრძოლის ნიშნით ჩაიარა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ბრძოლა განსაკუთრებით მწვავე ხასიათს, რიგ გარემოებათა გამო, ჩვენს რესპუბლიკაში ატარებდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ცხოვრების საბჭოური წესის შემდგომი სრულყოფის ამოცანები კვლავაც მთელი სისავსით დადგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საქართველოს კომპარტიის უკანასკნელ ფორუმებზე. საგულისხმოა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისადმი, რომელიც ლ.ბრეჟნევმა გააკეთა საკითხი სოციალისტური ცხოვრების წესის შესახებ ცალკე პარაგრაფადაა გამოყოფილი, ხოლო სოციალისტური ცხოვრების წესის სრულყო-

---

1 ლ.ი.ბრეჟნევი, ტულის დამცველთა უდიდესი გმირობა, თბ., 1977, გვ. 12.

2 გაზ. „პრავდა", 1977 წ. 4 ნოემბერი.

ფა და ახალი ადამიანის ფორმირება წარმოდგენილია, როგორც ერთიანი პროცესი. (დავუკვირდეთ თვით პარაგრაფის სათაურს: "სოციალისტური ცხოვრების წესის მატერიალური და სულიერი საფუძვლების განმტკიცება, ახალი ადამიანის ჩამოყალიბება"). თუ მოვიგონებთ, რომ ესთეტიკური აზრი კორელატურია კომუნისტური აზრისა, რომ ერთიც და მეორეც, საბოლოო ანგარიშით, ყოველმხრივ განვითარებული და ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბებას ისახავენ მიზნად, ნათელი გახდება დიაპაზონი დასმული პრობლემისა - "სოციალისტური ცხოვრების წესი და ესთეტიკური აზრი".

2. ცხოვრების წესი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ყოველთვის ერთნაირად არ არის გაგებული. ბოლო წლებში ეს ლიტერატურა ისე გაიზარდა[1], რომ ახლა მასში წარმოდგენილი დეფინიციების უბრალო ჩამოთვლაც კი (ანალიზზე უკვე არაფერს ვამბობ) ძალიან შორს წაგვიყვანდა. ამიტომ, საქმე რომ არ გავართულოთ და, ამასთან, დასმული საკითხიც, რამდენადმე მაინც ნათელი გახდეს, მკითხველის ყურადღებას მივაქცევ იმ ნიშნებზე, რომელთა გარეშე ცხოვრების წესი წარმოუდგენელია და რომელთაც თითქმის ყველა განსაზღვრებაში ვხვდებით. ეს ნიშნებია: შრომა, საზოგადოების ორგანიზაციაში მასების მონაწილეობის ხარისხი, მატერიალური და

---

1 დ.ქორიძე, სოციალისტური ცხოვრების წესი, თბ., 1977; Социалистический образ жизни и новый человек, М., 1978; Социальная структура советского общества и социалистический образ жизни, М., 1978; Социалистический образ жизни и личность, Воронеж, 1979. Социалистическая культура, образ жизни и личность, М., 1979; Ануфриев Е. Социалистический образ жизни, М., 1980; Белова Л. Социалистический образ жизни, Л., 1980; Развитие социалистического образа жизни в условиях зрелого Социализма, М., 1980. Социалистический образ жизни, М., 1980. ლობჟანიძე ჯ. ცხოვრების საბჭოური წესი და ახალი ადამიანის ჩამოყალიბება, თბ., 1980 და სხვ.

სულიერი ცხოვრების პირობები და ამ პირობების გამოყენების,ე.ი. მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა მოხმარების კულტურა, ყოფა და ზნე-ჩვეულება, მოცალეობა და დასვენების კულტურა და ა.შ. წესის შესახებ მოთხრობა ნიშნავს იმაზე მოთხრობას, თუ როგორ ცხოვრობენ ადამიანები, როგორ შრომობენ და ისვენებენ ისინი, რაზე ფიქრობენ და ოცნებობენ, რა დამოკიდებულებაში არიან სხვა ადამიანებთან და საერთოდ საზოგადოებასთან, რა უყვართ და რა სძულთ მათ და ა.შ. ერთი სიტყვით, ცხოვრების წესი შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც იმ არსებით ნიშანთა ერთობლიობა, რომლებიც ახასიათებენ ადამიანების, კლასების, სოციალური ჯგუფების მოღვაწეობას გარკვეულ ისტორიულ პირობებში[1].

წარმოების წესის განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ, რომ ლაპარაკობენ, ჩვეულებრივ მიუთითებენ ხოლმე, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ პირობებზე (წარმოების წესისა და მთელი საზოგადოებრივი წყობის ხასიათი, მისი განვითარების დონე და ა.შ.), ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოზე (ბუნებრივი გარემო, კლიმატი, მოსახლეობის სიმჭიდროვე და ა.შ.), ეროვნულ თავისებურებებზე (ერის ფსიქოლოგია, ეროვნული გრძნობა, ეროვნული თვითშეგნება, ეროვნული კულტურა და ა.შ.). ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, სწორია. სწორია ისიც, რომ მთავარი, მადომინანტებელი ფაქტორი ამ სისტემაში არის წ ა რ მ ო ე ბ ი ს  წ ე ს ი , რომ ცხოვრების წესის ხასიათი, მისი საერთო მიმართულება, პირველ რიგში დამოკიდებულია წარმოების წესისა და მთელი საზოგადოებრივი წყობის ხასიათისაგან. მაგრამ, ამასთან, არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ცხოვრების წესი ეს ადამიანური მოღვაწეობის წესია და, მაშასადამე, მასში განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ  ფ ა ქ ტ ო რ ს . და თუ ამ ფაქტორიდანაც მთავარის გა-

---

1 იხ. Человек- наука-техника,М.,1973, с.129.

მოცემას შევეცდებით, უსათუოდ ე ს თ ე ტ ი კ უ რ   კ უ ლ - ტ უ რ ა ს - ცხოვრების წესის სუბიექტის[1] ესთეტიკურ კულტურას მივადგებით. საკითხის დაზუსტების მიზნით აღვნიშნავ, რომ ესთეტიკური კულტურის, როგორც ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორის შესახებ ლაპარაკი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მხოლოდ ცხოვრების სოციალისტური წესის პირობებში შეიძლება.

სრულიად აშკარაა, რომ ცხოვრების სოციალისტური წესი, პირველ რიგში, წარმოების სოციალისტური წესითაა განპირობებული. მეორე ძირითადი ფაქტორი ეს, ცხადია, სოციალისტური საზოგადოების განვითარებისდა შესაბამისად სულ უფრო მზარდი მატერიალური და სულიერი ცხოვრების პირობებია, რის რეგულირების საკითხიც ჩვენში კონსტიტუციითაა უზრუნველყოფილი. საბჭოთა კონსტიტუციით დაკანონებული იქნა ჰუმანური პრინციპები, როგორიცაა: "ვინც არ მუშაობს ის არც ჭამს", "თითოეულისაგან - უნარის მიხედვით, თითოეულს - შრომის მიხედვით" და სხვ., აგრეთვე კონსტიტუციით გარანტირებული შრომის უფლება, დასვენების უფლება, განათლების უფლება, კულტურის მიღწევებით სარგებლობის უფლება და ა.შ. განსაზღვრავენ ცხოვრების წესის საერთო მიმართულებასა და ხასიათს ჩვენში. მაგრამ განსაზღვრავენ როგორც რეალურ შესაძლებლობას და არა იმპერატიულ დეტერმინირებას. გადავა თუ არა ეს შესაძლებლობა სინამდვილეში და იქცევა თუ არა იგი რეალურ ფაქტად, საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია საბჭოთა ადამიანის ესთეტიკურ კულტურაზე.

---

1 ცხოვრების წესის სუბიექტი შეიძლება იყოს (და არის კიდეც) არა მარტო ინდივიდი, არამედ სოციალური ჯგუფიც, კლასიც და მთელი საზოგადოებაც. განვითარებული სოციალიზმის ერთ-ერთი თავისებურება, სხვათა შორის ისიცაა, რომ აქ ცხოვრების წესის სუბიექტის როლში მთელი საზოგადოება გამოდის.

ნათქვამიდან ნათელია, რომ ესთეტიკური აღზრდა, რომლის მთავარი აზრი თანამედროვე ეტაპზე სწორედ საბჭოთა ადამიანის ესთეტიკური კულტურის ამაღლებაში მდგომარეობს, პირდაპირ უკავშირდება ცხოვრების სოციალისტური წესის განმტკიცებისა და სრულყოფის ამოცანას. თუ საქმის არსში უფრო ღრმად ჩავიხედავთ, აღმოჩნდება, რომ ესთეტიკური აღზრდის პრობლემას, განხილულს უშუალოდ განვითარებული სოციალიზმის ფონზე, რამდენიმე ერთმანეთზე მჭიდროდ დაჯაჭვული ასპექტი გააჩნია. უწინარეს ყოვლისა იგი წარმოგვიდგება, როგორც ა ხ ა ლ ი ტ ი პ ი ს პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს - გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ ი ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს პ ე რ ი ო დ ი ს ა დ მ ი მ ი ს ა დ ა გ ე ბ ე ლ ი პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ე ბ ი ს პ რ ო ბ ლ ე მ ა. უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, მაღალგანვითარებულ საზოგადოებას ასევე მაღალგანვითარებული ადამიანი (მოქალაქე) ესაჭიროება. ავაშენეთ რა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ, ჩვენ ჯერ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ მისი ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ დ ა მ კ ვ ი დ რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. მკითხველი, რა თქმა უნდა, ხვდება; რომ აქ საკითხი ისევ ცხოვრების სოციალისტური წესის დამკვიდრების ანუ განვითარებული სოციალიზმის როგორც ასეთის რ ე ა ლ უ რ ი ფ უ ნ ქ ც ი ო ნ ი რ ე ბ ი ს ასპექტში დგას. მაგრამ შეცდომა იქნებოდა, რომ ესთეტიკური აღზრდის მთელი აზრი მხოლოდ სუბიექტის ობიექტთან შეწონასწორების იდეამდე დაგვეყვანა. თუმცა ის ამბავი, რომ ეს შეწონასწორება განვითარებული სოციალიზმის რეალური ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა, თვალნათლივ მეტყველებს ესთეტიკური აღზრდის ღრმა სოციალურ შინაარსზე. საქმე ისაა, რომ მომწიფებული სოციალიზმის რეალური ფუნქციონირების გარეშე მისი შემდგომი გან-

ქირავნება-სოფლურის შესახებ ლაპარაკი შეუძლებელია. თუ გავიხ-სენებთ, რომ ასეთი ფუნქციონირება მხოლოდ განვითარებული სოცია-ლიზმის შესაბამისი ცხოვრების წესის საფუძველზე შეიძლება, რაც, თავის მხრივ, ახალი ტიპის პიროვნების-ესთეტიკურად კულტურული ადამიანის ჩამოყალიბებასთანაა დაკავშირებული, საიდანაც სრულიად ნათელი გახდება:

ამრიგად, ესთეტიკური აღზრდა თანამედროვე პირობებში ბევრ-ად უფრო რთული და მრავალწახნაგოვანი თავისი მნიშვნელობით, ვიდრე, უბრალოდ სუბიექტის ობიექტთან შეწონასწორება ან განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მუშაკის პიროვნების ჩამოყალიბება. მართალია სკკპ მოღვაწეობის ფოკუსში ყოველთვის პიროვნება იყო და არის მოქცეული, რომ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას იგი ყოველთვის განიხილავდა და განიხილავს ყოველმხრივ განვითარებუ-ლი და ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბების პროცესთან, მაგრამ თანამედროვე ეტაპისათვის პიროვნებას დაქვემდებარებული მნიშვნე-ლობა ენიჭება. უფრო მეტსაც რომ ვიტყვით, ესთეტიკურად კულტურული ადამიანის ჩამოყალიბება დღეს არა მარტო იდეალური, არამედ ყოველდღიური სოციალური მიზნის ბუნება მოვლენაა. სკკპ XXIV ყრი-ლობაზე სწორედ, თუ შეიძლება ითქვას, გამოიკვეთა პარტიის ესთეტი-კური პოლიტიკა თანამედროვე ეტაპისათვის. ამხ. ლ.ი. ბრეჟნევი აღნიშნა: "დიდ საქმეს - კომუნიზმის მშენებლობას - წინ ვერ წაი-წევთ, თუ ყოველმხრივ არ განვავითარებთ თვით ადამიანს, ადამია-ნის კულტურის, განათლების, საზოგადოებრივი შეგნების, შინაგანი სამყაროს მაღალი დონის გარეშე კომუნიზმი შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია იგი შესაბამისი მეცნიერულ-ტექნიკური ბაზის გარეშე"[1].

---

1 სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 105.

პ. უნდა ითქვას, რომ ახალი ტიპის პიროვნების ჩამოყალიბების პროცესი დღეს, რაც, ჩვენი აზრით, კორელაციურია ესთეტიკურად კულტურული ადამიანის ჩამოყალიბების პროცესისა, საკმაოდ მძიმედ, როგორც ნეგატიური მოვლენების მოზღვავების პირობებში მიემართება. ადამიანების გვერდით, რომლებიც ღირსეულად ატარებენ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მოქალაქის სახელს და ხასიათდებიან მორალური სიწმინდით და მაღალკულტურულობით, იდეური სიჯანსაღით და პოლიტიკური აქტივობით, სამწუხაროდ ჩვენში ჯერ კიდევ გვხვდებიან ადამიანები, რომელთა დასახასიათებლად, ალბათ, ყველაზე მეტად "ანტიპოდების" ცნება გამოდგება. შეცდომას დავუშვებდით, თუ აღნიშნული გარემოების ახსნისას მხოლოდ კაპიტალიზმის გადმონაშთებზე მითითებით დავკმაყოფილდებოდით. ერთი მხრივ, თითქმის პარადოქსულადაც კი უნდა მოგვეჩვენოს ნეგატიური მოვლენების - მექრთამეობისა და სპეკულაციის, საქმოსნობისა და მიმხვეჭელობის, მეშჩანიზმისა და ბიუროკრატიზმის მოზღვავება ჩვენში მწიფე სოციალისტური საზოგადოების მომწიფებისა და ადამიანთა მატერიალურ-სულიერი კეთილდღეობის ამაღლების პირობებში ხდებოდა. მიუღებელი, ცხადია, არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ბურჟუაზიის იდეოლოგები აღნიშნულ ფაქტს სოციალიზმის კრიტიკისა და დისკრედიტაციისათვის იყენებენ. ვერ ხედავენ, ან, უბრალოდ, არ უნდათ დაინახონ ხეებს იქით ტყე, მოვლენებს იქით არსება, ისინი მიმხვეჭელობას, მექრთამეობას, ბიუროკრატიზმს და სხვა ანტიპოდურ მოვლენებს სოციალიზმის დამახასიათებელ ნიშნებად აცხადებენ. სინამდვილეში კი, როგორც ითქვა, ეს ნიშნები სოციალიზმის ანტიპოდური ნიშნებია.

ა) მართლაც რა განაპირობებს ორი დიამეტრალურად დაპირისპირებული პროცესის - სოციალისტური საზოგადოების მომწიფებისა და ანტისოციალისტური მოვლენების მოზღვავების პროცესის ერთ-

დროულ არსებობას? პირველ რიგში აქ, თითქოს, იმავ ლოგიკის საწინააღმდეგოდ, მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი  კ ე თ ი ლ დ ღ ე ო ბ ი ს  ზ რ დ ა  უნდა მოვიხსენიოთ.

პარტია ყოველთვის გვაფრთხილებდა იმ თანაური უარყოფითი მოვლენების თაობაზე, რაც ჩვენში სოციალისტური საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ მატერიალური კეთილდღეობის ზრდას შეიძლება მოჰყოლოდა. ეს სიფრთხილე გამოსჭვივის უკლებლივ ყველა პარტიულ და სახელმწიფოებრივ დოკუმენტში, რომელიც უკანასკნელი ათი - თხუთმეტი წლის მანძილზე შექმნილა და პირდაპირ თუ არაპირდაპირ მასების კომუნისტური აღზრდის საკითხებს შეეხება. სკკპ ცკ-ის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXV ყრილობისადმი ნათქვამია: "ჩვენ ბევრს მივაღწიეთ საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. ჩვენ კვლავაც თანმიმდევრულად გადავწყვეტთ ამ ამოცანას. მაგრამ საჭიროა, რომ მატერიალურ შესაძლებლობათა ზრდასთან ერთად განუწყვეტლივ მაღლდებოდეს ხალხის იდეურ-ზნეობრივი და კულტურული დონე, თორემ კვლავ მეშჩანური, წვრილ ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის რეციდივებთან გვექნება საქმე. ეს არ უნდა გამოგვრჩეს"[1]. 1980 წ. 31 მარტს, კრემლში, ლენინური პრემიის მიღების დროს წარმოთქმულ სიტყვაში, ლ.ი. ბრეჟნევმა კვლავ მთელი სიმწვავით დააყენა ეს საკითხი. "რაც უფრო შორს მივიწევთ კომუნისტური მშენებლობის გზით - განაცხადა მან - რაც უფრო ძლიერდება ჩვენი ეკონომიკა და რაც უფრო შეძლებული ხდება ცხოვრება, მით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ფატიანთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული, მორალური, ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი აღზრდის ამოცანები. განსხვავება მატერიალურ და სულიერ განვითარებაში არ უნდა დავუშვათ, ეს ბევრ უბედურებას მოგვიტანს"[2].

---------------

1 სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 106 .

2 Л.И. Брежнев, Во имя дела партии, дела народа, с.14.

მიუხედავად იმისა, რომ პარტია განუწყვეტლივ აქცევდა დი-დ ყურადღებას და პრაქტიკულ ღონისძიებებს ამ მიმართებით[1], მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პრობლემების დამუშავებაში ძვრები, სა-მწუხაროდ, მაინც არ მოხდა.

რა ძნელი და არასასიამოვნო არ უნდა იყოს ამის აღიარება, ფილოსოფოსებს, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, მიმდევრების და სხვ. ნაკლოვანებებმა თავისი ერთ-ერთი პირველი და მთა-ვარი გამოვლინება ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში ჰპოვეს. რამდენიმე [illegible] წინათ, როგორც ეს სამართლიანად იყო აღნიშნული სკკპ ცკ-ის დადგენილებაში "პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორ-განიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ" საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობის დაშვებული სერიოზული შეცდო-მების გამო[2]. მაგრამ [illegible] [illegible] [illegible]

1 სკკპ XXVI ყრილობის შემდეგ პარტიის ცენტრალური კომიტეტი იღებს ისეთ მნიშვნელოვან დადგენილებებს კომუნისტური აღზრდის საკითხებზე, როგორიცაა: "შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ" (1976 წ. ოქტომბერი); "სოფლის მოსახლეობის კულ-ტურული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შე-სახებ" (1977 წ. ნოემბერი); "ეკონომიკური [illegible] [illegible]-ბის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" (1978 წ. აპრილი); "იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემ-დგომი გაუმჯობესების შესახებ" (1979 წ. მაისი); "უმაღლესი სკოლის შემდგომი განვითარებისა და სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ" (1979 წ. ივლისი) და სხვ.

2 მართალია სკკპ ცკ-ის ცნობილი დადგენილება თბილისის პარ-ტიული ორგანიზაციის მუშაობას ეხებოდა, მაგრამ იგი არა მარ-ტო თბილისში, არამედ მთელ საქართველოში მიმდინარე პროცესებს ასახავდა. მასში, "ნამდვილ მეცნიერულ საფუძველზე, პრინციპულ ლენინური პოზიციებიდან იყო გამოვლენილი რესპუბლიკის ეკონო-მიკის სერიოზული ნაკლოვანებები, მის საზოგადოებრივ-პოლიტი-კური ცხოვრების ნეგატიური მოვლენები" (ე.შევარდნაძე).

ხელმძღვანელთა უუნარობით ახსნა. ახლა უკვე ცხრა წელიწადია რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელობა ჭეშმარიტად ლენინურ ბრძოლას ეწევა სკპ ცკ-ის აღნიშნული დადგენილების ცხოვრებაში გატარე-ბისა და მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის. მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებებისა, რაც ამ მხრივაა მი-პოვებული და რაც აისახა კიდეც სკპ ცკ-ის შემდგომ (1976 წ. ივნისის) დადგენილებაში იმის თაობაზე "თუ როგორ ასრულებს სა-ქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზა-ტორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ" ნეგატიური მოვლენე-ბის სრული აღმოფხვრის შესახებ ლაპარაკი ჯერ ნაადრევი იქნებოდა.

რატომ მოხდა ეს ასე? რატომ უნდა მოჰყოლოდა მატერიალური კეთილდღეობის ზრდას მეშჩანურ-წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის რეციდივების რეალური საფრთხე? ვინც ჩვენი ქვეყნის განვითარე-ბის უაღრესად რთულსა და პერიპეტიებით აღსავსე ისტორიას იცნობს, მას არ გაუკვირდება ამ, ერთი შეხედვით, მართლაც პარადოქსულ სი-ტუაციაში გარკვევა.

ბ) საქმე ისაა, რომ ცარისტული რუსეთის მრავალტანჯული ხალხების მიერ, რომელთაც უწიგნურობისა და რიგ სხვა გარემოე-ბათა გამო, სოციალიზმისა და მისი გამარჯვების გზებზე მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ, ოქტომბრის სოციალისტური რევო-ლუცია აღქმულ იქნა, როგორც სასწაული, რომელსაც შეეძლო ერთი ხელის დაკვრით მოესპო სიღატაკე ამ ქვეყნად და საყოველთაო კე-თილდღეობა დაემკვიდრებინა. მაგრამ სასწაული, როგორც ცნობილია, არ მოხდა. საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები აღინიშნა საში-ნელი ეკონომიური სიძნელეებით, რაც სამოქალაქო ომის პერიოდში ნამდვილ აპოგეას აღწევდა. ეკონომიური სიძნელეებით ხასიათდებოდა სოციალიზმის მშენებლობის მთელი პერიოდი ჩვენს ქვეყანაში. და

როცა ბრძოლა ახალი საზოგადოების აშენებისათვის წარმატებით დაგვირგვინდა და საბჭოთა ხალხმა სოციალიზმის პირველი ნაყოფები მოიმკო, როცა ყველას ეგონა, რომ სიძნელეები წარსულს ჩაბარდა და მთელი ცხოვრების გზა ამიერიდან ია-ვარდით იქნება მოფენილი, ჩვენს ქვეყანას თავს დაატყდა კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არნახული ომი, რომელსაც ისევე ჯერ არნახული ნგრევა და გაჭირვება მოჰყვა. მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ ქვეყანამ საოცრად მოკლე დროში მოიშუშა ჭრილობები და შეუტია ეკონომიურ სიძნელეებს, რაზედაც მაშინ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებსაც კი ოცნებაც არ შეეძლოთ. არაფერიც არ არის გასაკვირი იმაში, რომ მატერიალური კეთილდღეობის ზრდის ომისშემდგომი ტემპებ.სათვის საბჭოთა ადამიანთა გარკვეული ნაწილი ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი აღმოჩნდა. მოპოვებული კეთილდღეობის ხელახალ დაკარგვის შიშთან ერთად ამ ადამიანებში იღვიძებს კერძომესაკუთრული ტენდენცია, რომელიც მანამდე, როგორც ჩანს, სულის სიღრმისეულ დანაშრევებში თვლემდა. მაინც რატომ მოხდა ეს? რატომ უნდა შეჰყოლოდა მატერიალური კეთილდღეობის ზრდას ნეგატიურ ფსიქოლოგიურ ტენდენციათა გამოღვიძება? აშკარაა, რომ აქ განმსაზღვრელი როლი ადამიანთა გარკვეული ნაწილის დაბალმა ესთეტიკურმა კულტურამ ითამაშა.

ესთეტიკური კულტურა უაღრესად რთული და მრავალფეროვანი ფენომენია. მის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს, როგორც ვიცით მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ  ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა თ ა  მ ო ხ მ ა რ ე ბ ი ს  კ უ ლ ტ უ რ ა შეადგენს. აი სწორედ ეს ნიშანი აკლდა პირველ რიგში ბევრ ჩვენთაგანს, როცა ხანგრძლივი ეკონომიური სიდუხჭირე მატერიალური კეთილდღეობის ინტენსიური ზრდის პროცესმა შეცვალა. განსაკუთრებით მოუმზადებელი ამ მხრივ სოფელი და ქალაქის მცხოვრებთა ე.წ. სოფლური ნაკადები აღმოჩნდნენ;

გ) მაგრამ მაინც უხერხულობას სოფლის მოუმზადებლობა და ეს-თეტიკური კულტურის დაბალი დონე კი არ ქმნიდა, არამედ სრულიად საპირისპირო პრეტენზიების არსებობა. სოფელს რადგანაც ღრმად სჯეროდა, რომ იგი უკვე ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ცხოვრებას და ნამდვილევე კულტურის მონაპოვრებს ქალაქთან ერთად ინაწილებდა.

ერთი შეხედვით, თითქოს სოფლის ესთეტიკურ პრეტენზიებში და-უსაბუთებელი არაფერია. განვითარებული სოციალიზმის პერიოდისათ-ვის დამახასიათებელია ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განს-ხვავების წაშლის პროცესის ინტენსიფიკაცია, რაც, რა თქმა უნდა, კულტურული შეწონასწორების პროცესის დაჩქარებასაც გულისხმობს. ეს ლოგიკური საბუთიც რომ არა, სოფლის მოსახლეობის ესთეტიკური კულტურის ამაღლების ტენდენცია განპირობებული იყო ისეთი ფაქ-ტორებით, როგორიცაა: მასობრივი ინფორმაციის საშუალებების არ-ნახული განვითარება და ტელევიზიის - ჩვენი საუკუნის ამ ნამდ-ვილი საოცრების დამკვიდრება სოფელში; სოფლის ინტელიგენციის რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდა; სოფელსა და ქალაქს შორის კავშირის გაღრმავება, საერთაშორისო ტურიზმის განვითარება და ა.შ. მაგრამ ის, რაც მოხდა მაინც ანომალიად, ნორმიდან გადახ-ვევად უნდა ჩაითვალოს.

მოხდენით კი ის მოხდა, რომ სოფელმა, რომელიც სტიქიურად მიიკვლევდა გზას ესთეტიკურ ღირებულებათა ნამდვილ ფეიერვერკში, საკუთარი ესთეტიკური კრედო შეიმუშავა და ეს კრედო გარკვეული აზრით თავს მოახვია ქალაქს. ამის დადასტურებაა თუ გნებავთ ნივთებით ავადმყოფური გატაცება, რაც თანამედროვე ქალაქელის თავისებურ ესთეტიკურ ნორმად იქცა. "მეჯღანუაშვილის კომპლექსის" ცნება, რასაც ზოგჯერ მეშჩანიზმის ესთეტიკის დახასიათებისას იყენებენ, ხოლმე მის სწორედ სოფლურ წარმოშობაზე მიგვანიშნებს.

ახლა ძალიან ძნელია იმაზე მარჩიელობა ავიდენტით თუ არა თავიდან წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის რეციდივებს, რომ ხალხის ესთეტიკური ძიება მიზანსწრაფულად წარგვემართა[1]. მაგრამ ეს რეციდივები, რომ ამგვარ მასშტაბებს არ მიიღებდა სრულად აშკარაა. აშკარაა ისიც, რომ მათი დაძლევა და საბოლოო აღმოფხვრა - ამოძირკვა სხვა ღონისძიებებთან ერთად ა დ ა მ ი ა ნ თ ა ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი კ უ ლ ტ უ რ ი ს ა მ ა ღ ლ ე ბ ი ს გ ზ ი თ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ; და თუ გავიხსენებთ, რომ მასების ესთეტიკური კულტურის ამაღლება განვითარებული სოციალიზმის პირდაპირი მოთხოვნაა, მაშინ ნათელი გახდება, რომ ესთეტიკურ აღზრდას დღეს არა მარტო ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი , არამედ ე თ ი კ უ რ ი მნიშვნელობაც ენიჭება. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მხატვართა კავშირების გამგეობათა გაერთიანებულ პლენუმზე 1980წ. 29 მაისს ამხ. ე.შევარდნაძემ თქვა: "რ ო გ ო რ ც მ. გ ო რ კ ი ა ღ ნ ი შ ნ ა ვ დ ა ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი მ ო მ ა ვ ლ ი ს ე თ ი კ ა ა . და რაც დღეს ჩვენ საფუძვლის ვუყრით ადამიანის ესთეტიკურ აღზრდას, ამით ხვალინდელ დღეს ვაშენებთ"[2].

## § 3. შრომა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში და ესთეტიკური აღზრდა

1. ეს საკითხი წინა პარაგრაფში დასმული პრობლემის ლოგიკურ გაგრძელებას, მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. არც ესთეტიკურად კულტურული ადამიანის ჩამოყალიბება და არც ცხოვრების სოციალისტური წესის სრულყოფა, რაზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი ე.წ.

---

1 ესთეტიკური აღზრდის მნიშვნელობის შესახებ გამუდმებული ხმაურის მიუხედავად მასების ესთეტიკური კულტურის ამაღლების საქმე ჩვენში თვითდინებაზე იყო მიშვებული. ესთეტიკურ აღზრდას არა სისტემატური, ზოგჯერ აშკარად სეზონური ხასიათი ჰქონდა.

2 ე.შევარდნაძე, სიტყვა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მხატვართა კავშირების გამგეობათა გაერთიანებულ პლენუმზე 1980 წ. 29 მაისს.

გა

შ რ ო მ ი ს  ე ს თ ე ტ ი კ ი ს  პრობლემის გადაჭრის გარეშე არ შეიძლება.

ბევრს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ჩვენში სადაც ლ. ბრეჟნევის მოსწრებული გამოთქმა რომ გამოვიყენოთ შრომისა და კულტურის ისტორიული შეხვედრა მოხდა[1] და სადაც შრომა დიდი ხანია იქცა სახელისა და დიდების საქმედ, შრომის ესთეტიკის, როგორც პ რ ო ბ ლ ე მ ი ს დასმა გაზვიადებულია: მაგრამ ეს არ იქნებოდა სწორი. რიგ გარემოებათა გამო და, უპირველეს ყოვლისა, ესთეტიკური აღზრდის არსების ცუდად გაგების გამო, შრომის ადგილი დღემდე ესთეტიკური აღზრდის სისტემაში ძალიან სუსტად იყო წარმოდგენილი. საკმარისია ითქვას, რომ ესთეტიკური აღზრდის მთავარ საშუალებადაც და მიზნადაც დარჩა ხელოვნება (მხატვრული შემოქმედება) ცხადდებოდა.

საბედნიეროდ უკანასკნელ წლებში მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. მართალია ხელოვნება კვლავაც ინარჩუნებს თავის განსაკუთრებულ ადგილს ესთეტიკური აღზრდის სისტემაში, მაგრამ მის გვერდით ჩნდება და ახალ-ახალ პოზიციებს იმკვიდრებს შრომის ფენომენი. ვინც ესთეტიკური აღზრდის პრობლემებისადმი მიძღვნილ უკანასკნელი წლების ლიტერატურას გაცნობია იგი, რა თქმა უნდა, შეამჩნევდა, რომ შრომა აქ უკვე უმაღლესი ესთეტიკური ღირებულების რანგშია აყვანილი. მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ თეორიის სფეროში, რაც შეეხება პრაქტიკას, ალბათ დიდი მუშაობა იქნება საჭირო, რომ შრომის ესთეტიკა რეალურ ფაქტად იქცეს.

ცუდად იყო რა გაგებული შრომის ესთეტიკური არსება, შრომისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბების საკითხიც ჩვენში, რა თქმა უნდა, ცუდად (ძალიან გამარტივებულად) წყდე-

---

1 იხ. Л.И. Б р е ж н е в, Ленинским курсом, речи и статьи м.6, с.530.

ბოდა. იგი უმთავრესად ტექნიკის გამოყენების კულტურასა და შრომით. გარემოს ესთეტიზაციის იდეამდე დაიყვანებოდა: მართალია სპეციალისტები, პირველ რიგში დიზაინერები ლაპარაკობდნენ *შრომის პროცესის ესთეტიზაციის* შესახებაც, მაგრამ ეს ლაპარაკი, ჩვეულებრივ, სურვილის ფარგლებს არ სცდებოდა. კაცმა, რომ თქვას, იგი შრომის ესთეტიკას ამ სიტ-ყვის ნამდვილი გაგებით არც ეხებოდა. მაგრამ სკკპ XXV ყრილობის შემდეგ, როცა ჩვენი წარმოების წინაშე მთელი სიმწვავით დადგა *ხარისხის* პრობლემა *შრომის ესთეტიკა*, მისი თეორია და პრაქტიკა იღებს სრულიად რეალურ განვითარებას: ყოველ შემთხვევაში, ყურადღების ცენტრში ამიერიდან *შრომი-თი ოსტატობის ამაღლებისა და მშრომელ ადამიანში სილამაზის კანონების მიხედვით შემოქმედე-ბის უნარის გამოვლენა-განვითა-რების* საკითხი იქნა დაყენებული.

და როცა გვეგონა, რომ ახალგაზრდობის შრომით-ესთეტიკური აღზრდის საქმე მაგისტრალურ გზაზე გავიდა და ამიერიდან ყველა-ფერი მხოლოდ აღზრდის სისტემის კარგ ორგანიზაციაზე იყო დამო-კიდებული, აღმოჩნდა, რომ ეს მთლად ასე არაა, რომ ამ გზაზე ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოგვიხდებოდა: განსაკუთრებით სერიოზულ დაბრკოლებას ქმნის ე.წ. შრომის გაუც-ხოების ტენდენცია, რაც თავისებურად (მხოლოდ თავისებური გაგე-ბით) ჩვენშიაც იჩენს ხოლმე ზოგჯერ თავს და რის ერთ-ერთი მთა-ვარი მიზეზიც *მეცნიერულ-ტექნიკურ რე-ვოლუციაში უნდა* ვეძიოთ.

2. უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ მეცნიერულ-ტექნი-კური რევოლუცია განვითარებული სოციალიზმის პირობებში საზოგა-

დების მატერიალური ცხოვრების პირობების ზრდისა და, ამისდა შესაბამისად, პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს  შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი  პ ო ტ ე ნ ც ი ი ს სულ უფრო მზარდი გამოვლენის მნიშვნელოვანი ფაქტორია. განვითარებული სოციალიზმის პირობებში, რომ ვამბობ, მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია სწორედ აქ პოულობს თავის რეალურ ფუნქციონირებას, რომ სწორედ განვითარებული სოციალიზმი იძლევა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების წარმოებაში დაუბრკოლებელი დანერგვის შესაძლებლობას. საოცრად დიდია და მრავალფეროვანი მიღწევები, რასაც, თავის მხრივ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მონაპოვრების წარმოებაში დანერგვა იწვევს, მაგრამ ამჯერად, ჩვენის საინტერესო პრობლემასთან დაკავშირებით, დავასახელებ მხოლოდ რამდენიმეს: 1) მძიმე ფიზიკური შრომიდან ადამიანის თანდათანობითი გათავისუფლება; 2) გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების თანდათანობითი წაშლის პროცესის დაჩქარება. 3) ქალაქად შრომისა და სოფლად შრომის პირობების თანდათან შეწონასწორება, 4) ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლა და თავისუფალი დროის ბიუჯეტის გაზრდა და 5) ადამიანის მიერ სინამდვილის ათვისების დიაპაზონის მნიშვნელოვანი გაფართოება.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ დასახელებული ასპექტების ფონზე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია წარმოგვიდგება, როგორც დ ა დ ე ბ ი თ ი  ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი ფაქტორი: საქმე ეხება არა მარტო იმას, რომ საზოგადოებრივი წარმოების დონე, რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მონაპოვრებითაა შეპირობებული, აუცილებლობით აყენებს საკითხს ახალი ტიპის მუშაკის — კულტურული განვითარების მაღალი დონის, გაზრდილი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების მქონე მუშაკის ჩამოყა-

ლიმების შესახებ, არამედ (და პირველ რიგში) იმასაც, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია შლის ახალ პერსპექტივებს ქვეყნად ადამიანის, როგორც ადამიანის თვითდამკვიდრებისათვის. ამასთან, თუ მძიმე ფიზიკური შრომიდან ადამიანის თანდათანობით გამონთავისუფლებას, თავისუფალი დროის ბიუჯეტის მნიშვნელოვან ზრდას, ადამიანის მიერ სინამდვილის ათვისების დიაპაზონის გაფართოებას და ა.შ. განვიხილავთ, როგორც აუცილებლობის სამყაროდან თავისუფლების სამყაროში გადასვლის პროცესს, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ესთეტიკური არსება სრულიად ნათელი გახდება.

მაგრამ ყოველ მედალს, როგორც ცნობილია, მეორე მხარე აქვს. ამ "მეორე მხარის" პოზიციიდან დანახული მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია კი, ესთეტიკური თვალსაზრისით, საკმაოდ მუქად გამოიყურება. არაკეთილმყოფელ გავლენას შრომის ესთეტიკაზე, უწინარეს ყოვლისა წარმოების ინდუსტრიულ-კონვეიერული სისტემა ახდენს, რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კვალობაზე სულ უფრო და უფრო მკვიდრდება ჩვენში. მართლაც, შრომის ერთეულ-პროფესიული[1] დანაწილების პირობებში, როცა შრომის პროდუქტს (ვთქვათ, მანქანას) ქმნის მთელი კოლექტივი (ქარხანა), რომელიც საამქროებად არის დაყოფილი და რომლებიდან თითოეულ საამქროს მანქანის მხოლოდ ერთი დეტალის გაკეთება ევალება (და შეუძლია), იქმნება გარკვეული საფრთხე შრომის დეუნივერსალიზაციისა და მშრალი ერთფეროვნების წარმოშობისა, რასაც მარქსი პროფესიულ იდიოტიზმს უწოდებდა. არის შემთხვევები (უნდა ითქვას, ყოველთვის არც თუ

---

1 შრომის კერძო-პროფესიული დანაწილებისაგან განსხვავებით, როცა სახალხო მეურნეობის ერთი ფირმის, ვთქვათ, მრეწველობის მუშაკები იყოფიან მანქანათმშენებლებად, მეტალურგებად და ა.შ. შრომის ერთეულ-პროფესიული დანაწილება გულისხმობს მრეწველობის დარგების, ვთქვათ მანქანათმშენებლობის შიგნით შრომით დანაწილებას (მაგ. ხარატის, მეინჩლისა და ა.შ. პროფესიის არსებობას).

მთლად ლოგიკურად მოფიქრებული და მოტივირებული), როცა შრომის პროდუქტის (ვთქვათ, იგივე მანქანის) ერთი დეტალი მზადდება ერთ ქალაქში, მეორე - მეორეში და ა.შ., ხოლო მანქანის საბოლოო აწყობა-დამონტაჟება მეხუთე თუ მეათე ქალაქში ხდება სრულიად აშკარაა, რომ მანქანის (შრომის პროდუქტების) შექმნის, ასეთი დეტალიზაცია მნიშვნელოვნად ამცირებს ცალკეული მუშის (პიროვნების) ესთეტიკურ-შემოქმედებით პათოსს. მართალია, მანქანის კონვეიერიდან ჩამოხსნის დროს მოწყობილ სახელდახელო მიტინგზე ყოველ მუშას შეუძლია თავისთავი წარმოიდგინოს მანქანის შემქმნელად და ამის საფუძველზე წარმოშობილ სიამაყის გრძნობასაც შემოქმედებით-ესთეტიკური განცდის ხასიათი ჰქონდეს, მაგრამ ჯერ ერთი: მანქანის კონვეიერიდან ჩამოხსნის საზეიმო ცერემონიალს ხომ არა ყველა მუშა ესწრება და მეორე: არც ყველა და ყოველგვარი შრომის პროდუქტის "კონვეიერიდან ჩამოხსნას" ახლავს ხოლმე თან საზეიმო ცერემონიალი. ამასთან, მუშის მიერ მანქანის შემქმნელად თავისთავის წარმოდგენა მოჩვენებითია, რადგან სინამდვილეში იგი მხოლოდ თანამონაწილეა და ისიც მექანიკური თანამონაწილეა[1].

მაგრამ საფრთხე, რომელიც ინდუსტრიულ-კონვეიერული წარმოების პირობებში შრომის ესთეტიკას ემუქრება მარტო შ რ ო მ ი ს პ რ ო ც ე ს ი ს ს ტ ა ნ დ ა რ ტ ი ზ ა ც ი ა შ ი როდი მდგომარეობს. ასევე (თუ მეტს არა) საფრთხეს ქმნის შ რ ო მ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ ი ს ს ტ ა ნ დ ა რ ტ ი ზ ა ც ი ა.

---

1 სინთეტური ხელოვნების მაგალითი აქ, რა თქმა უნდა, არ გამოდგება. სინთეზურ ხელოვნებაშიც, ვთქვათ, თეატრში "შრომის პროდუქტის" (სპექტაკლის) შემქმნელად გვევლინება მთელი კოლექტივი, რის გამოც შემოქმედებითი განპიროვნებულობის ხარისხი მეტად კლებულობს, ვიდრე, ვთქვათ, ფერწერაში, მაგრამ ავტორთა კოლექტივის როლი აქ მაინც სრულიად სხვაა და განსაკუთრებული, ვიდრე ქარხანაში. გამნათებელი, რომ [illegible], შემოქმედებითი თვალსაზრისით მისი პირადი წვლილი სპექტაკლის შექმნაში მეტად უფრო დიდია, ვიდრე, ვთქვათ ჭანჭიკისა მანქანის შექმნაში.

ის გარემოება, რომ ადამიანური მოხმარების სფეროდან თანდათან ქრებიან უნიკალური საგნები და მათ ადგილს სერიული ნაწარმის საგნები იკავებენ თვალნათლივ მეტყველებს ადამიანთა ესთეტიკური გემოვნების განვითარების არც თუ მთლად სახარბიელო პერსპექტივაზე[1]. პარადოქსი, თითქოს ის არის, რომ აღნიშნული პროცესი სწორედ ესთეტიკური მოთხოვნილებების ზრდისა და მოხმარების საგანთა ესთეტიკური ღირებულებების ამაღლების პროცესთანაა დაკავშირებული. მაგრამ პარადოქსი, ცხადია აქ არაფერ შუაშია. რომ არა ესთეტიკური მოთხოვნილებების სწრაფი ზრდა და ამის საფუძველზე მოხმარების საგნების ესთეტიკური ხარისხის ამაღლების საჭიროება, მოხმარების საგანთა მასიური ნაწარმის აუცილებლობა არც გაჩნდებოდა[2].

ესთეტიკისა (და არა მარტო ესთეტიკისა) სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, აგრეთვე ნაწარმის კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის შემდგომი პერსპექტივა, რასაც მეცნიერულ-

-----------

1 მდგომარეობას, ცხადია, ვერ ცვლის კუსტარული ნაწარმი, რასაც ჯერ კიდევ ვხვდებით ჩვენს სინამდვილეში და რაც ისე დაშორებულია ესთეტიკისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან.

2 ესთეტიკური მოთხოვნილებების ზრდა და აქედან გამომდინარე შედეგები, ცხადია მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასთანაა დაკავშირებული. სწორედ მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ, შეხამებულმა ნაწარმის სოციალისტურ წესთან განაპირობეს მატერიალური ცხოვრების პირობების არაჩვეულებრივი ზრდა, რასაც, საბოლოო ანგარიშით მოსახლეობის ესთეტიკური პრეტენზიებიც მოჰყვა. დამახასიათებელია, რომ მ ა ს ო ბ რ ი ვ ი ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი პ რ ე ტ ე ნ ზ ი ე ბ ი ს დაკმაყოფილება ესთეტიკურ ნაკეთობათა მ ხ ო ლ ო დ მ ა ს ი უ რ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს გზით შეიძლებოდა.

ტექნიკური რევოლუცია გვპირდება. დღესაც კი უკვე ბევრგან (ბევრ საწარმოში) ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებისა და სხვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებების ფართო დანერგვა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შრომის შინაარსზე. შრომას თანდათან მექანიზმებით მართვის ფუნქცია ენიჭება. ასეთ პირობებს რომ წინასწარმეტყველებდა, კ.მარქსი წერდა: "შრომა უკვე გვევლინება არა იმდენად წარმოების პროცესში ჩართული, რამდენადაც ისეთი შრომა, რომლის დროს ადამიანი პირიქით, თვით წარმოების პროცესს ეკიდება, როგორც მისი კონტროლიორი და მარეგულირებელი... იმის ნაცვლად, რომ წარმოების პროცესის მთავარი აგენტი იყოს, მუშა მის გვერდით დგება"[1]; დიდია, რა თქმა უნდა, სიკეთე, რაც შრომის ავტომატიზაციას მოაქვს ადამიანისათვის, მაგრამ ასევე დიდი შეიძლება იყოს მის მიერ მოტანილი ზიანიც: ადვილი წარმოსადგენია რა მოუვიდოდა ადამიანს თუ მისი როლი შრომის პროცესში მხოლოდ ღილაკზე თითის დაჭერის ფუნქციამდე იქნებოდა დაყვანილი. ამასთან ისიც ხომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ფუნქციაც ერთ მშვენიერ დღეს მანქანას დაეკისრება? საზოგადოება, სადაც ადამიანები არავითარ ღირებულებას არ ქმნიდნენ და მხოლოდ სხვის (მანქანების) მიერ შექმნილი ღირებულებების მოხმარებით იქნებოდნენ დაკავებულნი, არც იქნებოდა საზოგადოება ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. იმედის ერთადერთ სახსნელად, თითქოს ხელოვნება რჩება, მაგრამ ხომ არიან დღეს თეორეტიკოსები, რომლებიც მხატვრული შემოქმედების ფუნქციასაც მომავალში მანქანას უწინასწარმეტყველებენ?

ე. ძნელია წინასწარ განვსაზღვროთ შედეგები (ამ შედეგების მთელი პალიტრა), რაც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად აღნიშნულ ტენდენციებს საზოგადოებისათვის შეიძლება მოჰყვეს:

---

[1] К. Маркс, Ф.Энгельс, Соч., т.46, ч.II, с.213.

მხოლოდ წარმოების სოციალისტური წესი იძლევა შესაძლებლობას ასეთი შედეგების თავიდან აცილებისა. მაგრამ შესაძლებლობა, როგორც ვიცით სინამდვილე არ არის, რომ შრომის სწორი, მიზანმიმართული ორგანიზაციის გარეშე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მონაპოვრები სოციალიზმის პირობებშიც კი შეიძლება უარყოფით სიდიდედ იქცეს. ამის მკაფიო დადასტურებაა, თუ გნებავთ, შ რ ო მ ი ს ა დ მ ი . უ ც ხ ო , ბ ა ტ ო ნ კ ა ც უ რ ი დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ტენდენცია, რამაც ჩვენი ახალგაზრდობის (და მათი მშრომლების) გარკვეულ ნაწილში ამ ორი ათეული წლის წინათ იჩინა თავი და რასაც არაფერი საერთო არ აქვს სოციალიზმის ნამდვილ ბუნებასთან.

დიახ, შრომისადმი უცხო, ბატონკაცური დამოკიდებულების ტენდენციის ჩამოყალიბება, უწინარეს ყოვლისა დაკავშირებულია მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასთან, უფრო ზუსტად, იმ დადებით და უარყოფით ძალხაზების სტიქიურ გადაკვეთასთან, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მონაპოვრების წარმოებაში დანერგვის შედეგად წარმოიშვებიან ხოლმე. მართლაც, შრომის ნაყოფიერების არაჩვეულებრივ ზრდასა და მატერიალური ცხოვრების პირობების მნიშვნელოვან ამაღლებას, ერთის მხრივ და შრომის დეუნივერსალიზაციისა და სტანდარტიზაციის ტენდენციას, მეორეს მხრივ, არ შეიძლებოდა არ გამოეწვია (და გამოიწვია კიდეც) გარკვეული დისპროპორცია მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებსა და ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ფორმებს შორის. იმის გამო, რომ მატერიალური კეთილდღეობის ზრდისათვის საზოგადოების ყველა წევრი არ იყო ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ შემზადებული, გაჩნდა გამდიდრების მეშჩანური ტენდენცია. მატერიალური კეთილდღეობა-ფუფუნების ფეტიშიზაციას, რომ. ადენდენ, ახალი ტიპის მეშჩანები ამკვიდრებენ ნორმას, რომლის მიხედვითაც ჭეშმარიტი კეთილდღეობა

ა რ ა   შ რ ო მ ი თ ი   გ ზ ი თ  მოპოვებული კეთილდღეობა. ძნელად თუ მოიგონებს კაცი ამაზე უფრო მავნესა და ანტიჰუმანურ ტენდენციას. ჯერ ერთი, შრომის გარეშე ამ ქვეყნად არ იარსებებდა არავითარი კეთილდღეობა. საკუთრივ მატერიალური დოვლათიც ხომ, რომელიც მეშჩანთა ფილოსოფიაში ადამიანური კეთილდღეობის საფუძვლად საფუძვლადაა გამოცხადებული, შრომითი მოღვაწეობის შედეგია? მეორე: როგორც მკითხველს კარგად მოეხსენება, თვით ადამიანის, როგორც ადამიანის წარმოშობა-ჩამოყალიბებაც შრომასთანაა დაკავშირებული. "შრომამ შექმნა... ადამიანი" (ენგელსი). და ერთ მშვენიერ დღეს, რომ კაცობრიობას უარი ეთქვა შრომაზე, დედამიწა მკვდარ უდაბნოდ გადაიქცეოდა. დაშვების არავითარ საფუძველს არ იძლევა, რა თქმა უნდა, ის გარემოება, რომ კაცობრიობა ასეთ "კურიოზს" არ ჩაიდენს. მართალია შრომისაგან საერთოდ უარის თქმა შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება და გაჩნდა კიდეც არაშრომითი გზით გამდიდრების ტენდენცია, რომელსაც უდიდესი ზიანი მოაქვს საზოგადოებისათვის.

ეს ზიანი, უწინარეს ყოვლისა, ადამიანთა გარკვეული ნაწილის ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ა დ   ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო   შ რ ო მ ი ს ა გ ა ნ   ჩ ა მ ო შ ო რ ე ბ ა შ ი  მდგომარეობს. მატერიალურ მარაგზე რომ არაფერი ვთქვათ, აღნიშნული ფაქტი საზოგადოებისათვის უდიდესი  მ ო რ ა ლ უ რ ი  და  ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი  ზარალის მომტანია. მორალურის იმიტომ, რომ პრინციპი, რომლის მიხედვითაც უმაღლეს სოციალურ ღირებულებად არაშრომითი გზით მოპოვებული კეთილდღეობა ცხადდება, სანქციას აძლევს ყოველგვარ თვითნებობასა და ბოროტებას საზოგადოებაში. რაც შეხება ესთეტიკურ ზარალს, მასზე ორი აზრით შეიძლება ლაპარაკი. ჯერ ერთი, ადამიანები, რომლებიც ბატონკაცურ-აგდებულად უყურე—

ბენ შრომას, საკუთარ თავს ართმევენ შესაძლებლობას შრომით, რო-გორც ესთეტიკური ფენომენით დატკბობისა[1]. მეორე: გადამდებად მოქმედებს რა მშრომელთა გარკვეულ ნაწილზე, შრომის დევალვაციის ტენდენცია განაპირობებს შრომით დეესთეტიზაციის ტენდენციის წა-რმოშობას. ამის გამოხატულებაა, თუ გნებავთ უსახო სახლები და ზოგჯერ მთელი ქალაქი-დასახლებები, რომლებიც 50-60-იანი წლების მანძილზე მომრავლდნენ ჩვენში. მართალია უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით სკკპ XXV ყრილობის შემდეგ მდგომარეობა ამ მხრივ მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაგრამ როგორც ლ.ი.ბრეჟნევი აღნიშ-ნავს "მაინც, საერთოდ ქალაქთმშენებლობა მეტ მხატვრულ გამოხა-ტულებას და მრავალფეროვნებას მოითხოვს, რათა ისე არ მოხდეს, როგორც ერთი ფილმის გმირს მოუვიდა, რომელიც, როცა ბედის ირო-ნიამ სხვა ქალაქში ამოაყოფინა თავი ეგონა ჩემს სახლში, ჩემს ბინაში ვარო". თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს წინაშე მდგარი ბევრი პრობლემის, მათ შორის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ს ა ც წარმატებით გადაჭრა სწორედ შრომის ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი დ ო ნ ი ს ა მ ა ღ ლ ე ბ ა ზ ე ა დამოკიდებული, მაშინ ნა-თელი გახდება დასმული პრობლემის გადაჭრის უდიდესი ი ს ტ ო-რ ი უ ლ ი მნიშვნელობა. მაგრამ როგორ გავაკეთოთ ეს?

არიან სპეციალისტები, რომლებიც აღნიშნული პრობლემის გადა-ჭრის ერთადერთ გზას ე ს თ ე ტ ი კ უ რ ა ღ ზ რ დ ა შ ი ხედავენ. გარკვეული აზრით, ეს, რა თქმა უნდა, სწორია. ესთეტი-კური აღზრდა ხომ ჩვეულებრივ, ადამიანის ესთეტიკური კულტურის

---

1 უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს თავისუფალი არაიძულებითი შრომა და ამ შრომის შედეგი. დახვეწილი გემოვ-ნების მქონე ადამიანის მიერ სიამოვნებით აღიქმება სხვათა შრომაც და, მისი შედეგიც.

ამაღლებას გულისხმობს, ხოლო ესთეტიკური კულტურის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს შ რ ო მ ი ს ა დ მ ი  ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი  დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა წარმოადგენს? მაგრამ შეძლება კი შრომის დევალვაციის პირობებში ესთეტიკური აღზრდის საერთოდ და, კერძოდ შრომისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების აღზრდის სერიოზული იმედი ვიქონიოთ? იქმნება რაღაც მოჯადოებული წრის მაგვარი რამ: შრომის ესთეტიზაცია, რომ მოვახდინოთ, ჯერ მისი დევალვაციის ტენდენცია უნდა იქნას დაძლეული, ხოლო შრომის დევალვაციის ტენდენცია, რომ დავძლიოთ, ჯერ მისი ესთეტიკური დონ უნდა იქნას აწეული...

მკითხველი, რა თქმა უნდა, ხედავს, რომ მდგომარეობა აქ რამდენადმე გამუქებულადაა წარმოდგენილი, რომ "მოჯადოებული წრეც" ხედვის სწორედ ამ "მექი" წერტილიდან აღიქმება. მაგრამ არ არსებობს ხედვის არც ერთი სხვა წერტილი, საიდანაც ესთეტიკური აღზრდის სისტემაში შრომის აქტიური ჩართვის აუცილებლობა და მისი რეალიზაციის გზაზე არსებული სიძნელეები არ მოჩანდეს. როგორ დავძლიოთ ეს სიძნელეები? ამ და ბევრ სხვა კითხვაზე ამომწურავი პასუხები მხოლოდ სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში შეიძლება მოვიძიოთ.

## § 4. თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიური ბრძოლის თავისებურებები და ესთეტიკური აღზრდა

1. როგორც ზემოთ აღინიშნა, ესთეტიკური აღზრდის არაჩვეულებრივ სოციალურ რეზონანსს დღეს, განვითარებული სოციალიზმის მიერ დასმულ ესთეტიკურ მოთხოვნებთან ერთად, განაპირობებს. ორ სისტემას შორის იდეოლოგიური ბრძოლის უკიდურესი გამწვავება და ამ ბრძოლაში ესთეტიკურ-მხატვრული ორიენტაციის განსაკუთრე—

ბული როლი.

არა მგონია, რომ ორ სისტემას შორის იდეოლოგიური ბრძოლის უკიდურესი გამწვავების ფაქტი საგანგებო ახსნა-დასაბუთებას მოითხოვდეს. სსრკ-ისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების სულ უფრო მზარდი წინსვლის პირობაზე იზრდება კაპიტალიზმის კლასობრივი გააფთრება, კრიტიკულ მიჯნებს აღწევს მისი სოციალიზმისადმი ანტაგონისტური დაპირისპირების მასშტაბები. სრულიად გასაგები მიზეზების გამო სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის კლასობრივი ბრძოლის მთელი სიმძიმე თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიური ბრძოლის სფეროშია გადატანილი. იდეოლოგიური ბრძოლის მრავალფეროვანი ფორმებიდან კი წინა პლანზე ესთეტიკურ-მხატვრული ფორმებია წამოწეული. რატომ?

2. მეორე მხრივ იმის ქარცეცხლიდან საბჭოთა კავშირის ძლევამოსილი გამოსვლის შემდეგ იმპერიალიზმმა სამუდამოდ დაკარგა იმედი პირდაპირი სამხედრო დაწოლის გზით სოციალიზმზე რაიმე უპირატესობის მოპოვებისა. მით უფრო რომ სოციალიზმი ახლა უკვე წარმოგვიდგება სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მთელი სისტემის (და არა მხოლოდ სსრკ-ის) სახით. იმპერიალიზმი არც ტრადიციული იდეოლოგიური უპირატესობის მოპოვების პერსპექტივებს ხედავდა და არც ეკონომიურისა. დიდმა სამამულო ომმა საბოლოოდ დაამსხვრია მითი საბჭოთა ხალხის იდეოლოგიური არაერთგვაროვნების, ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების სისუსტის, სოციალიზმის ეკონომიკური პოტენციალის შეზღუდულობის და ა.შ. შესახებ. და როცა იმპერიალიზმის იდეური მესვეურებისათვის ნათელი გახდა, რომ სოციალისტური სისტემა დიდი საბჭოთა კავშირის მეთაურობით წარმოადგენს ციხე-სიმაგრეს, რომელზეც პირდაპირი იერიშის მიტანა შეუძლებელია, ჩნდება მუხანათური

დროა, ამ ციხე-სიმაგრეში ახალი ტიპის ტროის ცხენის შეგზავნისა. ტროის, ცხენის მოვალეობა ე ს თ ე ტ ი კ ა ს უნდა გაეწია.

იმპერიალიზმის ესთეტიკური პოლიტიკის არსი ძალიან მარტივად და მიუკიბ-მოუკიბავად გამოთქვა ვინმე ჯ.დიქსონმა. საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს შორის საკულტურო ხელშეკრულების გაფორმებისთანავე იგი გამოვიდა მოწოდებით ამ ხელშეკრულების მაქსიმალური გამოყენების შესახებ. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმასო, აცხადებდა დიქსონი, რომ რაც შეიძლება მეტი ამერიკული ყაიდის ფილმები და ხელოვნების სხვა ნიმუშები შევაგზავნოთ საბჭოთა კავშირში. დეე, საბჭოთა ახალგაზრდები დაეწაფონ ამერიკულ მხატვრულ შეჭამანდს და მაშინ ჩვენ შევძლებთ დავეუფლოთ მათ სულსა და გულს და მაშასადამე იმის გაკეთებას, რაც ატომური ბომბების მეშვეობით უნდა გაგვეკეთებინაო?! "ატომური ბომბებით!".. ხედავთ სად აღმოჩნდა ხელოვნება? რა ხვედრი განუმზადა მას ერთ დროს შემოქმედებითი თავისუფლების იდეებით მოკეკლუცე ბურჟუაზიამ?

ხელოვნებას, რა თქმა უნდა, ყოველთვის, კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავების ყველა მონაკვეთზე ეკავა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი იდეოლოგიური ბრძოლის სისტემაში. მაგრამ დღეს, კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეს ადგილი განსაკუთრებულია. რატომ? პასუხი არა მარტო ხელოვნების, არამედ თვით სინამდვილის ("თანამედროვე ეტაპის") განსაკუთრებულობაში უნდა ვეძიოთ.

საკითხს კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპის შესახებ, თავისებურად ისევე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მერიდიანზე გავყვავართ. ჩვენი ეპოქის სწორედ ეს თავისებურება, განხილული განვითარების სხვა კანონზომიერებებთან (ეკონომიკურთან,

პოლიტიკურთან, კულტურულთან და ა.შ.) მჭიდრო კავშირში, გვაძლევს შესაძლებლობას გასაღები მოვუნახოთ თანამედროვეობის მიერ დასმულ ბევრ პრობლემას და მათ შორის ხელოვნების განსაკუთრებული როლის პრობლემასაც.

პირველი, რაც ყურადღებას იქცევს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ფონზე კაცობრიობის მხატვრული განვითარების საკითხის განხილვისას, ესაა ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს ს რ უ ლ ი ა დ ა ხ ა ლ ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ს თ ა ნ და ტ ე ქ ნ ი - კ ა ს თ ა ნ ს ი ნ თ ე ზ ი რ ე ბ უ ლ ი დ ა რ გ ე ბ ი ს წ ა რ მ ო შ ო ბ ა (მაგ. კინო, ტელევიზია და სხვ.). ამ დარგების მეშვეობით ხელოვნება ბევრად უფრო მ ა ს ო ბ რ ი ვ ი და დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი გახდა, ვიდრე ოდესმე იყო. საქმე ეხება არა მარტო მხატვრულ ღირებულებათა მასებამდე მიტანის შესაძლებლობათა უჩვეულო ზრდას, არამედ თვით ხელოვნების შიგნით მომხდარ დემოკრატიზაციას. (მაგ. კინო თეატრთან შედარებით, თანამედროვე მუსიკა კლასიკურ მუსიკასთან შედარებით და ა.შ.).

ხელოვნების დემოკრატიზაცია, ცხადია, არ უნდა გავიგოთ, როგორც ხელოვნური, მეცნიერებისა და ტექნიკის მიერ მექანიკურად თავს მოხვეული პროცესი. ხ ა ლ ხ უ რ ო ბ ა ხელოვნების ბუნებაა და მეცნიერება და ტექნიკა მხოლოდ ხელს უწყობენ ამ ბუნების მაქსიმალურ გამოვლენას. ის ამბავი რომ ხელოვნებას ყოველთვის ბევრად მეტი მრევლი ჰყავდა, ვიდრე, ვთქვათ, მეცნიერებას, თვალნათლივ მეტყველებს მის ბუნებრივ-დემოკრატიულ ხასიათზე.

ადარებენ რა ერთმანეთს მეცნიერებასა და ხელოვნებას, სპეციალისტები, უწინარეს ყოვლისა, ხაზს უსვამენ ამ უკანასკნელის ენის (ე.ი. მხატვრული ენის) უნივერსალურობას. მართლაც, თუ

მეცნიერების ენა ვერ სცილდება განსაზღვრულ (ვთქვათ, ეროვნულ და სხვ.) ბარიერებს, მხატვრული ენისათვის არ არსებობს არც ეროვნული, არც კლასობრივი, არც ისტორიული, არც პროფესიული და არც სხვა სახის ბარიერი. ამასთან ხელოვნების საინფორმაციო შესაძლებლობები ამოუწურავია, ხოლო მისი ზემოქმედებითი ძალა განუსაზღვრელი. ხელოვნება არა მარტო ინფორმაციას გვაწვდის, არამედ გარკვეულად განგვაწყობს მიღებული ინფორმაციისადმი, არა მარტო გვაცნობინებს რა არის კარგი და რა არის ცუდი, რა არის მშვენიერი და რა არის მახინჯი, არამედ განსაზღვრავს ჩვენს ესთეტიკურ-ღირებულებით ორიენტაციას. ხელოვნების ამ თავისებურების შესახებ შესანიშნავადაა ნათქვამი საქართველოს კომპარტიის ცკ-ის საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისადმი. "ამოუწურავია ადამიანზე სულიერ ღირებულებათა იდეოლოგიური ზემოქმედების ძალა. აბა, რა ლექციები, მოხსენებები, დისპუტები, სიმპოზიუმები შეცვლის, ვთქვათ, გიორგი თორელის, ახალი ტიპის პარტიის რაიკომის მდივნის კინოსახის იდეოლოგიურ ეფექტს?... აქ საქმე სულაც არ ეხება პარტიული პროპაგანდის სისტემასა და ხელოვნების სფეროში ადამიანთა გულსა და გონებაზე ზემოქმედების საშუალებათა დაპირისპირებას. პროპაგანდას მეტი შესაძლებლობა აქვს იმისა, რომ უშუალოდ შეიტანოს იდეები მასებში, ხოლო ხელოვნებას იმისა, რომ იგივე იდეები მასების კუთვნილებად აქციოს მხატვრული სახეების მეშვეობით, დადებითი ემოციური ძალით და დიდი ხნით"[1].

ჩვენს დროში, როცა ადამიანები განუწყვეტლივ დროის ნაკლებობას ჩივიან, როცა, სოციალურ პათოსს, არც თუ ისე იშვიათად, გულგრილობის, ინდიფერენტიზმის, ნიჰილიზმის განწყობილება ცვლის,

---

1 ე.ა.შევარდნაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, თბ., 1981, გვ. 108-109.

როცა ლიბერალები გამუდმებულ გადაფასებას განიცდიან და ა.შ. სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ მთავარი იდეოლოგიური ორიენტირის როლი ხელოვნებას დაეკისრა. შექმნილ სიტუაციას ბურჟუაზიამაც კარგად აუღო ალღო. მართალია მას სპეციალური დადგენილებები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე არ გამოუცია, მაგრამ ბურჟუაზიული კრიტიკის არსენალიდან თანდათან ქრება ე.წ. "წმინდა ხელოვნების" ცნება და მის ადგილს იკავებს "ზემოქმედების", "მასების გაცნობიერების", "აღზრდის" და სხვ. ცნებები.

დიახ, ბურჟუაზია, რომელიც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ სოციალიზმის წინააღმდეგ პირდაპირი ბრძოლა შეუძლებელია, მიმართავს შემოვლითი ბრძოლის ტაქტიკას. თავისთავად ცხადია, რომ ამ ტაქტიკას ჩვენ საკუთარი უნდა დავუპირისპიროთ, მით უფრო, რომ პირდაპირი, ტრადიციული ფორმებით ბრძოლა დღეს არც ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეიძლება. თავისებური მოდერნიზაცია, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ "კაპიტალიზმის" ცნებამ განიცადა, ქმნის ილუზიას, რომლის გაფანტვა მეტისმეტად ძნელი საქმე ხდება.

კაპიტალიზმის შესახებ ილუზიის შექმნას ხელი შეუწყვეს ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა: 1) წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების მონაწილეობა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. 2) მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კაპიტალისტური ეკონომიკის გარკვეული სტაბილიზაცია. 3) ცხოვრების კაპიტალისტური წესის კარგად ორგანიზებული პროპაგანდა და ა.შ. ე.წ. "რკინის ფარდის" პერიოდში საბჭოთა ახალგაზრდის ცნობიერებაში ბურჟუაზია წარმოდგენილი იყო, როგორც სისხლისმსმელი ურჩხული, რომელსაც ადამიანის შესახედაობა არ ჰქონდა. ჩვენ დროში ეს შეხედულება დიამეტრალურად შეიცვალა. ტელევიზიისა და საერთაშორისო ტურიზმის წყალობით საბჭოთა ახალგაზრდობა პირისპირ ხვდება ბურჟუაზიის წარმომადგენლებს, რომლებიც გარეგნულად სრულიადაც სისხლისმსმელი ურჩხულის შთა-

ბეჭდილებას არ სტოვებენ. პირიქით. ჩაცმის ელეგანტურობით, საზოგადოებაში თავდაჭერის კულტურით, ხელოვნების კარგი ცოდნით და ა.შ. ისინი ნამდვილი ჯენტლმენების ილუზიას ქმნიან.

თქვენ წარმოიდგინეთ, ბურჟუაზიის ზოგიერთი ლიდერი დღეს ადამიანთა თავისუფლებისათვის მებრძოლი რაინდის როლსაც კი თამაშობს...

თუ შევადარებთ სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის იდეოლოგიური ბრძოლის მთავარი მიმართულების გამოკვეთას შეიძლებოდა იგი დავახასიათოთ, როგორც ბრძოლა ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი უ პ ი რ ა ტ ე ს ო ბ ი ს ჩ ვ ე ნ ე ბ ა - დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. სოციალიზმის კაპიტალიზმთან (ან პირუკუ) ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი უ პ ი რ ა ტ ე ს ო ბ ი ს ჩვენება დღეს ტოლფასოვანია სოციალიზმის კაპიტალიზმთან (ან პირუკუ) ს ა ე რ თ ო უ პ ი რ ა ტ ე ს ო ბ ი ს ჩვენებისა. ეს როგორც ჩანს, კარგად მოეხსენებათ ბურჟუაზიის იდეოლოგებს. ამიტომაა, რომ ისინი, უარს ამბობენ რა კაპიტალიზმის ყველა სხვა უპირატესობის პრეტენზიაზე, ყველაფერს აკეთებენ ესთეტიკური უპირატესობის ჩვენებისათვის.

გარკვეულ გარემოებათა გამო, უკანასკნელი ორი თუ ორნახევარი ათეული წლის განმავლობაში საზოგადოების ესთეტიკური ინტერესის ცენტრში ყოფითი ციკლის საგნებია მოქცეული. ბურჟუაზია სწორედ აღნიშნული საგნების ესთეტიკურ ღირსებებზე აკეთებს აქცენტს და, როგორც ვიცით, არც თუ წარუმატებლად. რა რიგ არასასიამოვნოც არ უნდა იყოს ამის აღიარება, ყოფითი რიგის ზოგიერთი საგნის ესთეტიკურ დამუშავებაში დასავლეთი ჯერ კიდევ გვისწრებს წინ. თუ ადრე ამ ფაქტს მხოლოდ ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა, დღეს იგი აშკარად პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს. საკმარისია ითქვას, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ღირსებაზე ხშირად ჯინსების ნა-

რმოების რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით მსჯელობენ. რამდე-
ნიც არ უნდა ვიძახოთ, რომ ეს ცუდი გემოვნების მაუწყებელია,
საქმეს არაფერი ეშველება. მით უფრო ჯაბრობა იქნებოდა ჭეშმა-
რიტად ლამაზი და ელეგანტური იმპორტული საგნების დევალვაციის
ცდა. ჯერ ერთი: ასეთი რამ საერთოდ შეუძლებელია. წარმოადგენს
რა უშუალო ესთეტიკური განცდის შედეგს, ესთეტიკური შეფასება
სხვას არაფერს – არც ახსნას, არც დასაბუთებას და არც დარწმუ-
ნებას არ ექვემდებარება. და მეორე: რომც ექვემდებარებოდეს,
ყოვლად დაუშვებელია არასწორი ესთეტიკური შეფასების ხალხისა-
თვის თავს მოხვევა. ლამაზი საგნების ნაძალადევ დეესთეტიზა-
ციას ადამიანთა ესთეტიკური გემოვნების მხოლოდ გაუკუღმართება
შეიძლება მოჰყვეს. მაშ რა უნდა ვქნათ? რა უნდა დაუპირისპი-
როთ ბურჟუაზიულ ესთეტიკურ შემოტევას"?

თავისთავად ცხადია, რომ აქ დიდი მნიშვნელობა საბჭოთა
ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ესთეტიკურ კულტურას
აქვს, მაგრამ ესთეტიკური კულტურა არ უნდა გავიგოთ, როგორც
მოთხოვნილებათა ხელოვნური შეზღუდვა. უარს ამბობს რა მეშჩანურ
ზედმეტობებზე, ესთეტიკურად აღზრდილი ადამიანი, ამასთან გაზ-
რდილ პრეტენზიას აცხადებს სახალხო მოხმარების საგნების ესთეტი-
კური ღირსებების მიმართ. საბჭოთა ადამიანის აღნიშნული პრეტენ-
ზიის დაკმაყოფილება, რა თქმა უნდა, უცხოური საქონლის იმპორტის
გზითაც შეიძლება, მაგრამ ეს გზა საუკეთესო არ გახლავთ. იმპორ-
ტზე აქცენტის გაკეთება მისი ესთეტიკური უპირატესობის აღიარე-
ბა იქნებოდა, და სანამ "ს ა ბ ჭ ო უ რ ი ", წინააღმდეგ, ვთქვათ
"ა მ ე რ ი კ უ ლ ი ს ა " (ან საერთოდ იმპორტულისა) ესთეტიკუ-
რის სიმბოლოდ არ ქცევა, ახალგაზრდობის მსოფლმხედველობრივი
ორიენტაციის პრობლემა გადაჭრილად არ შეიძლება ჩაითვალოს.

აღნიშნულ გარემოებას, რომ ითვალისწინებდა, პარტიამ თავის

XXV ყრილობაზე მთელი სიმწვავით დააყენა საკითხი სახალხო მოხმარების საგნების ხ ა რ ი ს ხ ი ს  ა მ ა ღ ლ ე ბ ი ს შესახებ. ყრილობის მასალებში ვკითხულობთ: 1) "ეს (ე.ი. სახალხო მოხმარების საგნების ხარისხის ამაღლება, ა.ჩ.) უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობის საქმეა"[1]. 2) "ეფექტიანობის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესების ამოცანა – ეს არ არის მხოლოდ ტექნიკური და ეკონომიური ამოცანა, ეს არის, აგრეთვე სოციალური, იდეოლოგიური ამოცანა, რომლის გადაწყვეტა საბჭოთა საზოგადოების შემდგომი განვითარების პროცესშიც გაგრძელდება"[2].

არიან ადამიანები, რომლებიც სახალხო მოხმარების საგნების ხარისხის ამაღლების გზით იმპორტული საქონლის ესთეტიკური უპ რატესობის დაძლევის საქმეს საეჭვოდ მიიჩნევენ. მათი აზრით უცხოური საგნების მოხმარების მრავალწლიანი პრაქტიკის შედეგად დამკვიდრებული ესთეტიკური პრინციპის –"რაც უცხოურია, უთუოდ ლამაზია" აღმოფხვრა ჩვენში შეუძლებელია. მაგრამ ეს არ არის სწორი. ერთის მხრივ, საბჭოთა ადამიანის ესთეტიკური კულტურის ზრდა, ხოლო მეორეს მხრივ, სახალხო მოხმარების საგნების ხარისხის ამაღლება ხელს უწყობენ ძველი ესთეტიკური პრინციპების მსხვრევის პროცესის დაჩქარებას. ამის გამოხატულებაა, თუ გნებავთ, ის გაზრდილი მოთხოვნილება, რაც ბოლო წლებში სამამულო ნაწარმოების ზოგიერთი საგნის მიმართ შეიმჩნევა (მაგ. ქუთაისური ავეჯი, თბილისური როლინგები და სხვ.).

როგორც ზემოთ აღინიშნა მთავარი იდეოლოგიური ორიენტირის როლი დღეს მაინც ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა ს ა  დ ა  ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ს  ენიჭება. კარგად ხედავენ რა ამ გარემოებას, ბურჟუაზიული იდეოლოგიის მესვეურები ცდილობენ, ჯერ ერთი: სასელი გაუ-

---

1 სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 74..
2 იქვე, გვ. 205.

ფენის და თავისი ძირითადი მიმზიდველი - ახალგაზრდობა ჩამოა-შოროს სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებას და მეორე: დაუკ მიჰყვებიან და ჩვენი ახალგაზრდების მხატვრული ინტერესის მთა-ვარ საგნად აქციონ თანამედროვე ბურჟუაზიული ხელოვნება. მორა-ლურად გახრწნილი, მოდერნიზმისა და სექსის კულტზე აგებული ხე-ლოვნება კაპიტალიზმის უპირატესობის ჩვენებას ვერ დანერგავს, მაგრამ იგი ასეთ მიზანს არც ისახავს. მისი მთავარი ამოცანა საბჭოთა ახალგაზრდობის დეიდეოლოგიზაციაში მდგომარეობს.

ბურჟუაზიული ხელოვნების ამ მზაკვრულ ამოცანას, ცხადია, საბჭოთა ახალგაზრდობის მაღალი ესთეტიკური კულტურა უნდა დაუპი-რისპიროს. მხოლოდ მაღალი ესთეტიკური კულტურა უზრუნველყოფს ჩვენი ახალგაზრდობის სწორ ღირებულებით ორიენტაციას და უადვილებს მოგზაურობას თანამედროვე ხელოვნების სხვადასხვა ყალბ ნაწარმოე-ბებით აღსავსე სამყაროში.

# შ ი ნ ა ა რ ს ი


თავი პირველი: ესთეტიკური აღზრდის ცნება 3

§ 1. საკითხის ისტორიისათვის . . 3

§ 2. ესთეტიკური აღზრდის განხილვის ასპექტების შესახებ 18

§ 3. სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების ჩამოყალიბება, როგორც ესთეტიკური აღზრდის საბოლოო მიზანი 30

თავი მეორე: ესთეტიკური აღზრდის ადგილის შესახებ კომუნისტური აღზრდის სისტემაში 53

§ 1. საკითხის დასმა 53

§ 2. ყოველმხრივ განვითარებული და ჰარმონიული პიროვნების არსების შესახებ . 67

§ 3. ესთეტიკური აღზრდის ინტეგრაციული ხასიათის შესახებ 85

თავი მესამე: ესთეტიკური აღზრდის ამოცანების შესახებ განვითარებული სოციალიზმის პირობებში 99

§ 1. საკითხის დასმა 99

§ 2. ცხოვრების საბჭოური წესის შემდგომი განმტკიცება-სრულყოფის ამოცანა და ესთეტიკური აღზრდა 108

§ 3. შრომა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში და ესთეტიკური აღზრდა 121

§ 4. თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიური ბრძოლის თავისებურებანი და ესთეტიკური აღზრდა . . 132

გამომცემლობის რედაქტორი ნ.ცაგარეიშვილი

კორექტორი ი.ვახტანგიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.05.82.

უე 00045 საბეჭდი ქაღალდი № 60X84 პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 9. სააღრ.საგამომც. თაბახი 6
ტირაჟი 1000. შეკვეთის № 655
ფასი 60 კაპ. შეკვეთილი

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი.ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр.И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი 380028, ი.ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.